


ვაჟა ქაკაბაძე



ზღაპრის ფილოსოფია - 2
(ჭკვიანებო?! საზიზღარი
შეიძლება იყოს ჭკვიანი?)

Philosophy of a Fairy-Tale - 2
(Clever?! Can bad be clever?)

თბილისი, 2016



უაგ (UDC)
პ-171

გაუა ვლადიმერის ქე კაგაბაძე - „ზღაპრის ფილოსოფია - 2 (ჭკვიანებო?! საზიზღარი შეიძლება იყოს ჭკვიანი?). გამომცემლობა: „მერიდიანი”, თბ., 2016. გვ., 182.

ზღაპრის ფილოსოფია - 2
(ჭკვიანებო?! საზიზღარი შეიძლება იყოს ჭკვიანი?)

ეს წიგნი წარმოადგენს გაგრძელებას წიგნის - „ზღაპრის ფილოსოფია (ზღაპრი სულელი დიდებისათვის და ჭკვიანი პატარებისათვის)”, და მასში აღწერილია საქართველოში არსებული ყოფა, საგანმანათლებლო სისტემაში ჩამოყალიბებული მანკიერი მხარეები, ქართველი ერის ხასიათი (როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი). გაკრიტიკებულია საქართველოს მეზობელი სახელმწიფოების და, განსაკუთრებით, რუსეთის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება ქართველი ერის მიმართ.
წიგნის მთავარი მიზანია სიკეთისა და ბოროტების არსის წარმოსახვა და სიკეთის მნიშვნელობის განსაზღვრა.

“Philosophy of a Fairy-Tale - 2
(Clever?! Can bad be clever?)”

This book is a continuation of a book - “Fairy Tale Philosophy (Fairy Tale for silly adults and clever children)”. It describes a life in Georgia and faulty sides of educational system. Characteristics of Georgian Nation (both – positive and negative). Attitude of neighboring countries, especially unfair attitude of Russia towards Georgian nation is criticized in it.

Main objective of the book is to show the good and evil and define the essence of good.

kakabadzev@hotmail.com

© წიგნი დეპონირებულია საქართველოში, დადგენილი წესის შესაბამისად.

ISBN 978-9941-0-8610-6

-2-

ზღაპრის ფილოსოფია - 2
(ჭკვიანებო?! საზიზღარი შეიძლება იყოს ჭკვიანი?)

გაუა კაგაბაძე



არსი

წიგნის მთავარი მიზანია სიკეთისა და ბოროტების არსის წარმოსახვა და სიკეთის მნიშვნელობის განსაზღვრა. მისი მთავარი გმირებია ბაბუა, და მისი შვილი-შვილები, ქლდის ნატეხი, რომელიც წამოღებულია დავითგარეჯის მონასტერიდან, სადაც მღვდლად მსახურობდა წიგნში მიმღინარე პროცესების მთავარი გმირი ბაბუა - სავლე. წიგნის უარყოფითი პერსონაჟია - საზიზღარი, რომელიც ცდილობს დაიყოლიოს სავლე, რომ მან შური იძიოს შვილისა და რძლის მკლელებზე; უარყოფითი პესონაჟის საპირისპიროა კეთილი ადამიანი - ქარაოცა, ის საზიზღარის მსგავსად, დამე სტუმრობს სავლეს და მასთან მართავს ფილოსოფიურ საუბრებს.

წიგნში ასევე, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დედოფალ მარიამს, რომელსაც სავლეს შვილი-შვილები წარსულში და მომავალში გადაჰყავს, და ამით, ის, ბავშვებს ანახებს დროის ჭეშმარიტ ლირებულებას. წინგში მოკრძალებული ადგილი უჭირავს სავლეს დას, მაგრამ მისი სახე სრულად ასახავს ქართველი ქალის ბუნებას.

ასევე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ წიგნში საქართველო მოიხსენიება როგორც იბერია, და ეს იმიტომაა გაკეთებული, რომ საქართველო იბერიული კულტურის ცენტრია, და მკითხველის საყურადღებოდ ისიც მინდა აღვნიშნო, რომ იბერიული კულტურის მატარებლები არიან ბასები და ირლანდიელები.

დაბოლოს, მინდა აღვნიშნო, რომ წინგში საუბარია სამყაროს წარმოშობაზე, ადამიანის არსზე, სიყვარულზე და, რასაკვირველია, ვაჟკაცობაზე.

წაიკითხეთ და შეიცანი საკუთარი თავი.



Concept

Main objective of the book is to show the good and evil and define the essence of good. Main characters of the book are grandfather, grandchild, and piece of rock that is taken from Davit Gareji Monastery where Savle – grandfather, main character of the book was a priest. Bad is a negative character of the book, who tries to convince Savle in taking revenge on murderers of his son and daughter-in-law. Karaotsa is opposite of negative character, he is a kind man. He visits Savle at night and has philosophy conversations with him.

Queen Maryam has an important part in the book. Savle takes grandchildren to the past and future and shows them a real value of the time. Savle's sister holds a modest place in the book but her character shows nature of Georgian women.

We should also mention that Georgia is called Iberia in the book because Georgia is a centre of Iberian culture. I would like to mention for readers that Basques and Irish people are carriers of Iberian culture.

In the end I would like to say that following topics are discussed in the book: creation of the world, essence of a human beings, love and heroism.

Read and find yourself.



ზღაპრის ფილოსოფია - 2 (ჭკვიანებო?! საზიზღარი შეიძლება იყოს ჭკვიანი?)

ღმერთო, შენ დაიფარე საქართველო, მარიამ ღვთისმშობელის წილხვედრი ქვეყანა, სადაც ინახება ილიაწინასწარმეტყველის მოსასხამი, მარიამ ღვთისმშობელის პერანგი, იესო-ქრისტეს კვართი, სადაც დაიბადა ნოე და იქმნებოდა ლეგენდები, სადაც დამალულია სამყაროს შემეცნების გასაღები.

საქართველოს ბევრი ჭირ-ვარამი გადაუტანია, არ დაკლებია გარეშე თუ, შინაური ნაძირალების მიერ ნასროლი ტალახი, მტერიც ბევრი ჰყოლია და მოყვარეც; ხშირად ფიზიკური განადგურების პირას დამდგარა, მაგრამ არ დახოქილა, რამეთუ ზნეობა აცისკროვნებდა თითოეული ქართველის გულს, ხოლო გაცისკროვნებული გულის მქონე ადამიანის დამარცხება შეუძლებელია.

დღეს გაცისკროვნებული გული ერთ-ორს თუ შემორჩა და ისინიც ხელს იფარებენ გულზე, ნათება სხვამ, რომ არ შეამჩნიოს - ეშინიათ სულელ კაცად, რომ არ მონათლონ, აი ასეთი მანკიერი ხედვა ჩამოუყალიბდათ შეთის შთამომავლებს, იმ ერს, რომელიც ორჯერ არის კურთხეული ღმერთის მიერ და, რომელსაც ორჯერ მეტი მოეკითხება, ვიდრე სხვას.

სულიერმა შიმშილმა ქართველი ერი სრულიად გარყვნა, ფულის მონად აქცია, ჩაძირა ცოდვებისა და უცოდინარობის ჭაობში, თითო-ოროლა თუ გადაურჩა, მაგრამ, ისინიც ჭაობის პირას დამდგარან, ცოდნისა და სიბრიუგეს შორის.



აირია საქართველო, ადამიანების უმეტესობა პოლიტიკოსობს და ხელისუფლების სათავეში მოსვლა სურთ, ქვეყანას კი არაფრად არგიან, არ იციან და არც აინტერესებთ თუ როგორ უნდა დაიბრუნონ მტრების მიერ მიტაცებული ტერიტორიები. ხოლო, ისინი ვინც ბიზნესში არიან ჩართულნი გამწარებული იტაცებენ მიწებს, იმას რადაც გადაიქცევიან ოდესმე. უგუნურებამ ქართველი გლეხი მიწას მოწყვიტა და უცხოეთში გადახვეწა, მის აღგილას კი, უცხო ტომის შვილებმა გაიდგეს ფესვები.

დღევანდელ საქართველოში სწავლა და ცოდნის მიღება ჭუჭყიანი ფულის შოვნის საფუძველი გახდა. უმაღლესი სასწავლებელის რექტორებისათვის მთავარი მიზანი ფულის შოვნაა და სულ არ ანაღვლებთ სტუდენტი მიიღებს ცოდნას თუ არა, კიდევ უფრო უარესი ის გარემოებაა, რომ მათ დაბეზღებას და ერთმანეთის ქიშობას აიძულებენ.

წლების განმავლობაში, ეკლესიას მოწყვეტილი ქართველის სულში ბევრი მანკიერი თვისებები დატბორდა, ამ ჭუჭყმა დღეს გარეთ გამოხეთქა, დააბინძურა გარემო, მოწამლა ახალგაზრდა თაობა.

დახმარება სჭირდება ქართველს, ან ვინ უნდა დაეხმაროს? თუ ჩვენ თვითონ არ ვუმკურნალეთ საკუთარ თავს. დროზე სჭირდება ჩვენს სულს შეწამვლა და გონებას გაჯანსაღება, თორემ გადავშენდებით.

და, ეს ჩემი მოთხრობა, პატარა წამალია, სიკეთეს ემსახურება, სიყვარულითაა დაწერილი და იმ მანკიერ მხარეებს ავლენს, რომელიც ჩვენს მომავალ თაობას უნდა ავარიდოთ - სარეველა თუ არ ამოძირებე, ხორბალს გახარება გაუჭირდება.



ლმერთო შენ დაიფარე მარიამ ლეთისმშობელის წილ-ხელი ქვეყანა და ქართველი ერი. დამიფარე მეც, იმ ადამიანებისაგან ვინც ამ მოთხოვნაში ვამხილე და ჩემს მიმართ შურისძიების გრძნობა გაუჩნდათ.

ამ ნამდვილ ზღაპარში ზოგიერთი გვარი განგებაა დამახინჯებული, რომ ლირსეულმა ადამიანმა, რომელიც თავის გვარს პატივს სცემს და მისით ამაყობს, უხერხულად არ იგრძნოს თავი. ხოლო, იმ უდირსმა, რომელიც ამ მოთხოვნაში არ მიგულისხმია, მაგრამ მსგავსი ცუდი საქციელი ჩაუდენია და ყოველივე თავის თავზე მიიღო ანუ ეცნო ამ წიგნში აღწერილი მანკიერებანი, და რახან ეცნო, ესე იგი განიცადა, ხოლო რახან განიცადა მაშასადამე შეეცდება ჩადენილის გამოსწორებას, რომ არც მან არ იგრძნოს თავი უხერხულად - დიახ, ამიტომ დავამახინჯე ზოგიერთი გვარები და სახელები.

და, კიდევ, ლექსები და გამოცანები ჩემს მიერ არის შეთხული, და ისინიც სიყვარულითა დაწერილი.

Philosophy of a Fairy-Tale - 2 (Clever?! Can bad be clever?)

God save Georgia, the country destined to the Most Holy Virgin, the country which keeps Prophet Elijah's mantle, the Virgin Mary's robe, seamless robe of Jesus (Holy Tunic), where Noah was born and legends have been created, and where the key to the cognition of the world is hidden.



Georgia has witnessed many disasters and torments including mud thrown by scoundrel compatriots too; it used to have plenty of enemies and friends alike, often facing physical destruction as well but it never fell on the knees as it was helped by the morality burnt into the hearts of every Georgian. And everyone knows how difficult it is to defeat a human with a radiant heart.

Today the radiant heart is hard to find, and if you do, it is still hidden to prevent others from noticing it, fearing not to be claimed as fools. This is the vicious vision that has been formed in the offspring of Seth, the nation twice blessed by God, thus double responsible for their sins than others.

Spiritual starvation has completely corrupted the Georgian nation, made it enslaved to money, plunged into the swamp of sins and ignorance. Very few have survived but still standing on the verge of the swamp, between knowledge and folly.

Georgia is at utmost confusion. Most of the people have been politicizing wanting to come to the power but doing no good to the country by either knowing or wishing to return territories taken away by the enemy. On the other hand, those engaged in business are desperately seizing the lands – the things they are soon to become. Stupidity tore Georgian farmers off the land and lost them abroad in foreign lands while settling foreigners in their places.

Getting education in present-day Georgia has become the basis for making dirty money. For the university rectors making money is the main goal and they never care about how or whether students obtain knowledge or not. The worst thing is that students are made to denounce or rival one another.

During years lots of vices have accumulated in the souls of the Georgian people distanced from the Church. These vices



have erupted today and polluted the environment, poisoned the younger generation.

The Georgians need help but who can do it unless we strive to heal ourselves? Our hearts need timely fertilization and the minds – speedy recovery. Otherwise we will become extinct.

And this short story of mine is a little remedy serving goodness, written with love and revealing the vices to be avoided by our new generations; wheat cannot grow unless you root out weeds.

God save Georgia, the country destined to the Most Holy Virgin, and the people of Georgia as well. God have mercy on me too and save me from the people unmasked in my tale as they might be wishing to revenge me.

In the fairy tale some surnames are purposefully misspelled not to put respectful people under these surnames in an awkward position. However, those not meant in the story but recognizing themselves conducting the same erroneous deeds not to feel awkward either inasmuch as they have realized their mistakes and will try to correct them. That is the reason I have distorted some of the names and surnames.




წინასიტყვაობა

„ყოველთვის, როდესაც შენ, ნაცვლად გულის გაწ-
მენდისა და ცუდთა ჩვეულებათაგან განშორებისა,
ჰმალავ ცოდვასა სიღრმესა შინა გულისა შენისასა და
მიიღებ კეთილსა გარეგანსა სახესა, ფარისევლობასა
შინა შთაგარდები. ფარისევლობ, ოდეს შენ პირისპირ
კაცს აქებ და ეფერები და პირიქით ცუდათ ახსენებ
მას; ფარისეველი ხარ, როდესაც ელაპარაკები შენზე
უფროსს კაცსა, ამბობ არა იმას, რასაც გული გეტყვის,
არამედ რაც იამება იმ კაცს; არა სიმართლეს იტყვი,
არამედ რასაც მოითხოვს შენი საკუთარი სარგებლობა.
ფარისეველი ხარ, ოდეს შენ ერთს კაცს აქებ, არა
მისთვის, რომელი ლირი არის ქებისა, არამედ მისთვის,
რომ იგი არს მოყვარე და მეგობარი შენი, ხოლო
მეორეს განკითხავ მისთვის, რომელ იმას აქვს შენთან
მცირეოდენი უქმაყოფილობა; ოდეს ენითა შენითა
ამტკიცებ დიდსა სიყვარულსა სიმართლისა და საონო-
ებისასა, ხოლო საქმით კი უმართლო ხარ. რა არის, თუ
არა ფარისევლობა, ოდეს სინდისი გამხილებს შენ
რომელთამე ცოდვათათვის და შენ კი პირმოთნედ
იტყვი: „ღმერთი მოწყალე არისო, რა ვქნაო, კაცი
სუსტი არისო, სხვანიც ესრეთ სცხოვრობენ, ვინ არის
უცოდველი ქვეყანაზედაო, თავის დროზე მოვინანიებო;
ყოველთა შინა ესევითართა შემთხვევათა კაცი ცხადად
ეზიარება ფარისევლობის ცოდვასა”.

.....

-10-




ზღაპრის ფილოსოფია - 2
(ჭკვიანებო?! საზიზღაპრი შეიძლება
იყოს ჭკვიანი?)

არსი – 3
გულის თქმა – 5
წინასიტყვაობა – 10

სადღო განახლება

- ცხოვრება თუ სიცოცხლე; იქნებ - ცხონება? – 12
ცოდვილების განდევნა საცოდველში – 16
წარსულიდან მომავალში მიმავალი დილა – 21
დატბორილი უდაბნო – 24
საზიზღაპრა არ იცის, რომ საზიზღაპრია? – 37
მოგონებების დილა – 48
სავლეს და – მაია – 56
ძმები სკოლისკენ მიიჩქარიან – 60
ცისარტყელას დილა – 83
დილა დილინებდა – 101
ხეტიალი წარსულის სამყაროში – 135
სიზმარში ნანახი სინამდვილე და რეალური სიზმარი
სიზმარში – 152
ზაფხულს, იანვარის ცივი დღე შეეპარა – 172



.....

ცხოვრება თუ სიცოცხლე; იქნებ - ცხონება?

- რაო ბებერო, შენი თავი გონიერი კაცი ჰგონია?
- საკუთარ თავს ჰყითხა თეთრწვერამ.
- არა. მაგრამ, რახან საკუთარი თავის მიმართ კითხვა გამიჩნდა, ესე იგი აზრიც უნდა გამაჩნდეს, – უპასუხა საკუთართავს, საკუთარმა.
- შენ, მე ვარ თუ, შენ ხარ ჩემი ნააზრევი? – ახლა უფრო ჩაუდრმავდა თეთრწვერა საკუთარ თავს.
- არა, არც მე ვარ შენი ნააზრევი და არც შენ ჩემი, ჩვენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ვარსებობთ, – რომელი რომელს პასუხობდა ვერ გაეგო, დაიბნა თეთრწვერა: „იქნებ კიდევ ვიღაც მესამეც არსებობს?” – გაიფიქრა თავისთვის, თუ იმათ არსებაშია, ესეც ვერ გაიგო.
- კი მაგრამ, განა ერთი სხეული არ გაგვაჩნია? – დაბნეული საუბრობდა თეთრწვერა, თან გონებაში აზრი დაურბოდა: „ეს სიტყვები, ნამდვილად, მე წარმოვთქვი?”
- აბა მოიხედე თუ არ გდგაგარ შენს უპან, – დაუძახა ვიღაცამ. მაგრამ ვინ?
- თეთრწვერა მიტრიალდა და, ვერავინ დაინახა.
- აბა ისევ მოტრიალდი, – ზურგს უპან ისევ გაისმა ხმა.
- თეთრწვერა ისევ მიტრიალდა და ისევ ვერავინ დაინახა.

-12-



— ასეა, ქმაო პარალელური სამყაროები; ვიცით, რომ არსებობს, მაგრამ, ვერ ვხედავთ, — თეთრწვერა, ამ ნათქვამშა ჩააფიქრა.

— იცი რას გეტვე, და მომისმინე, ჩვენი სამყარო შედგება მრავალგანზომილებიან პარალელურ სამყაროებისაგან, რომელიც მრავალწახნაგა მთლიანი გეომეტრიული სამყაროს პროექციული ანარეკლია და მის გარშემოა განლაგებული. რა?... კიდევ ვერ მისვდი? — ხმა დამაჯერებელი იყო.

— მაგრამ, თუ ჩეენ იმ გეომეტრიული სხეულის პროექცია ვართ, მაშინ საიდან გვაქვს შეგრძნება? ... ეი, სად ხარ? — და თეთრწვერა აწრიალდა.

— სიზმარში, არაფერს ეხები, მაგრამ შეგრძნება გაქვს. კედელზე პროექტორით ფილმს უშვებ და ჰყონია, რომ კედელი პროექტორიდან გამოსული სხივით არ თბება ანუ არ უჩნდება შეგრძნება სითბოსი? უჩნდება! და რატომ თბება? ჰოო, დაფიქრდი, დაფიქრდი, — ამჟამად ხმას იდუმალება შეეპარა.

— რა, მე არ ვარსებობ? — გაიკვირვა თეთრწვერამ.

— არსებობ! ოღონდ, იმ პროექტორის სხივისა არ იყოს, შენ, გრძნობას განიჭებს სული. მისვდი? — ახლა ხმას დამრიგებლური ტონი შეეპარა.

— ჩემი სული, ღმერთის სულის ნაწილია! — მტკიცედ უპასუხა იმ ვიდაცას თეთრწვერამ.

— და, ვინ უარყოფს ამას? — ხმას უკვე მზრუნველობის ტონი დაეტყო.

თეთრწვერა დადუმდა. და, ცოტახნის მერე ჰკითხა, იმ ვიდაცას, იქნებ საკუთარ თავს, ააა? რას გაიგებ.

— აბა სიკვდილი რა რის?



— შენზე მოკვადაო არ, და ვერც იტყვიან. „გარდაი-ცვალაო” - აი, ამას კი ნამდვილად იტყვიან... ჰო-და, ეს არის დაახლოებით ასეთი რამ... მოკლედ, რომ გითხრა პროექტორის მსგავსი ეფექტია, რომლის გამორთვის შემთხვევაში კედელზე გამოსახულება ქრება, კედელი გარკვეული დროის განმავლობაში სითბოს ინარჩუნებს, ხოლო სხივი საწყის ბუნებას უბრუნდება, შენს შემთხვევაში სხივი სულია, რომე-ლიც ღმერთს უბრუნდება. როგორც ხედავ სამებაა, სული - სული წმინდა, პროექტორის სხივთანაა გაიგივებული; პროექტორი, გაიგივებული მაქვს ღმერ-თთან; კედელი მატერიალური სხეულია შენი, გაიგი-ვებულია ძე ღმერთთან.

— მაშინ ჩვენი მისია დედამიწაზე რა არის? — თეთრწვერა უფრო და უფრო გრძნობდა, რომ ის ვიღაცა თვითონაა, ხოლო თვითონ სამყაროს პროე-ქციაა, და სული როგორც უსასრულობის განუყო-ფელი საწყისის საწყისი, წარმოდგენილი სასრულით, საიდანაც ყველაფერი იწყება.

— მოდი ერთ ლექს გეტყვი და შენ თვითონ მიხვ-დები შენს მისიას: - კარგი? — მორიდებით შესთავაზა თეთრწვერამ საკუთარ თავს.

— კარგი, — დაეთანხმა საკუთარი თავის მესაკუ-თრე.

— მაშინ, მომისმინე. ჰო, მართლა ეს ლექსი შენმა მეზობელმა პოეტმა დაწერა. ეს პოეტი სხვის გასახა-რად წერს ლექსებს, ცხოვრობს ლამაზად და შენსა-ვით ფილოსუფიური აზრები აწუხებს, მაგრამ არ წუხდება შეუწუხებლობის გამო. მაშ მომისმინე:



მინდვრებს ლაჟგარდი გადაეფარა
 და მზემ ულევი სხივი დაღვარა,
 ჩამწიფებულმა ვაზის მტევნებმა
 დვინის სურნელის დოლი გამართა.

ხორბალი, ფეტვი, ბარდა და შვრია.

ლობიო, სიმინდი, დიყი და ჭვავი.

ატამი, თხილი, მსხალი და ბია.

ლეღვი, საზმორო, ვაშლი და ნესვი.

სექტემბრის ბოლოს მუდამ ასეა:

შმაგდება სული არყით და დვინით,

ოფლის სურნელით სივრცე სავსეა,

დღე იღვინთება კაცების შრომით.

კახური მრავალეამიერი. იმერული მაყრული.

ქორწილი ხის ჩრდილში. თამადა განთქმული.

ლექსები, შაირი, ცეკვა - დავლური,

შეხედეთ! ახალი წყვილი - ტრფობა ფარული.

ხეებს ფოთლები შემოეცალა,

ცაზე ფერმკრთალი მთვარე კიდია,

ნაღვერდალს ქექავს ტქბილი მოხუცი

და ბუხრის პირას ცქმუტავს მურია.

ნაქურჩალი, ნამჯა, ჩალა და ნაფთევი.

ტყლაპი, ჩირი, ყველი და ლორი.

ნაშრომ-ნაჯაფით სავსეა ოჯახი,

იწვება თევზი, თუხთუხებს ღომი.

ცამ დედამიწას გაუვსო აბგა,

გადმოაბერტყა ულევი მადლი,

სოფლის მსახურებს შემატა ძალა,

ისმის სიმღერა: „შენ ხარ ვენახი”.



გასხვლა, დათესვა, მორწყვა, დამყნობა.
 ნერგების დარგვა, გამხმარის მოჭრა.
 თიბვა, ზვინის აგება, ჩალის გახმობა.
 კაკლის დაბერტყვა. ბადის მოქსოვა.
 სექტემბრის ბოლოს მუდამ ასეა:
 დღე იღვინოთება გარჯით და შრომით.
 საღამოს ისმის თამადას სიტყვა:
 დიდება უფალს! გფარავდეთ ღმერთი!

— მაშასადამე: ვიცხოვოთ მადლით! — და თეთრ-წვერამ სანთელი დაანთო, კელია განათდა, ფერწერულ სურათის ჩარჩოზე ჩამოკიდებული ზარი აწერიალდა, წყვდიადი გაქრა.



ცოდვილების განდევნა საცოდველში

თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და მიწა. მიწა იყო უსახო და უდაბური, ბნელი იღო უფსერულზე და სული ღვთისა იძვროდა წყლებს ზემოთ. თქვა ღმერთმა: იყოს ნათელი! და იქმნა ნათელი. თანდათანობით ღმერთმა გააჩინა მყარი და გაჟყარა ერთმანეთისაგან წყალი, რომელიც არის მყარს ქვემოთ, და წყალი, რომელიც არის მყარს ზემოთ. მერე, თქვა ღმერთმა: შეგროვდეს ერთგან ცისქვეშეთის წყალი და გამოჩნდეს სმელეთი. და იქმნა ასე. შემდეგ, გააჩინა ღმერთმა ორი მთავარი მნათობი, - დიდი მნათობი დღის განმგებლად და მცირე მნათობი დამის განმგებლად - და ვარსკვლავები. დასხა



ისინი ღმერთმა ცის მყარზე, რომ გაენათებინათ მიწა, განვეოთ დღე და ლამე, გაეყარათ ნათელი და ბნელი. დაინახა ღმერთმა, რომ კარგი იყო. იყო საღამო, იყო დილა, - შემოქმედის მეოთხე დღე. მეხუთე დღეს ღმერთმა ოქვა აფუთფუთდეს წყალში სულდგმული; მიწის ზემოთ კი, ცის მყარზე, ფრინველმა იფრინოს. და იქმნა ასე. აი, ყველაზე კარგი ქმნილება ღმერთმა მეექვე დღეს შექმნა, მაგრამ ოუ ღმერთმა ყველა ქმნილება გააჩინა სიტყვით, ადამიანის შექმნა კი, სხვაფრივ ინება; ჯერ თქვა: „შევქმნათ ადამიანი ხატად და სახედ ჩვენდა!“ და, მერე აიღო მიწა გააკეთა კაცის სხეული და ჩაჰდერა უკვდავი სული. ასე გაჩნდა ქვეყნად პირველი კაცი და მას ადამი უწოდა, ხოლო მის მოდგმას, ამავე სახელის მწარმოებელი სიტყვა „ადამიანი“, რაც მხოლოდ მისი საზეპური ერის, იძერიელებს, შორისაა გავრცელებული. მაგრამ, ადამმა ვერ იპოვა დედამიწზე მისი მსგავსი სულიერი სახე და მოიწყინა. ღმერთმა ეს რომ შეამჩნია, თქვა:

— არ არის კარგი მარტო ყოფნა, უნდა შევუქმნა მას მეგობარი. — და, ასეც ჰქნა, შექმნა ქალი, რომელსაც სახელად უწოდა ევა.

მერე, ღმერთმა კოლხეთის მშვენიერ ადგილას - ჰაველა(ია)ს მხარეში, მდინარეს პი(ღვთი)სიონის სანაპიროზე გაშენებულ სამოთხეში დაასახლა მისი ახალი ქმნილება - ადამი და ევა. სამოთხე სავსე იყო მრავალი საკვები ბალახით და ხეხილით. ხეხილს შორის ორი ხე იზრდებოდა, ერთს ერქვა ხე სიცოცხლისა, მეორეს კი ხე ცნობისა კეთილისა და ბოროტისა. პირველი ხის ნაყოფს იმისთანა ძალა ჰქონდა, რომ იმის მჭამელი ადამი და ევა სულ მუდამ ძალას იკრებდნენ და სიკვდი-



ლი არ აშინებდათ - არც იცოდნენ რა იყო ეს. მეორე ხის ნაყოფის ჭამა ღმერთმა აუკრძალა და უბრძანა ადამს:

— ნება გაქვს ჭამო ყველა ხეხილის ყველა ნაყოფი, მაგრამ, ამ ხილის ჭამას გიკრძალავ. — და მუქარის ნიშნად თითო დაუქნია.

ნეტარი ცხოვრება ჰქონდათ ადამსა და ევას. არაფერი არ აკლდათ, აგადმყოფობა იმათ არ იცოდნენ, დარღი იმათ არ ჰქონდათ და მუდამ სიხარულში იყვნენ, და გონება მათი გართული იყო ახლად შექმნილი მშვენიერი ქვეყნის შესწავლით, გული მათი სავსე იყო დვოის, ბუნების და ერთმანეთის სიყვარულით, სინდისი ჰქონდათ წმინდა და უცოდველი - არ ჭირდებოდათ აღსარების თქმა და მარხვის დაცვა. ღმერთს ისინი უყვარდა, როგორც თავისი შვილები და მათაც უყვარდათ ღმერთი, როგორც თავისი კეთილი მამა. უფალი მალიმალ ესტუმრებოდა მათ სამოთხეში, და დროს ერთმანეთთან საუბარში ატარებდნენ ან ერთად ქმნიდნენ ახალ მცენარეებს. მაგრამ, ადამს და ევას გაუჩნდათ ერთი დაუძინებელი მტერი. მას სურდა ისინი დაეღუპა საუკუნოდ. ეს მტერი იყო ეშმაკი - სული ბოროტი, რომელიც უფლის ყველა ქმნილებას ემტერებოდა, განსაკუთრებით ადამსა და ევას, რამეთუ შურდა მათი სიკეთისა, სისპეტაკისა და ამიტომ მოინდობა მათი დაღუპვა. თავისი განზრახვის აღსასრულებლად იგი შეძვრა გველში და სამოთხეში შეიპარა. გველმა, რომელშიც ეშმაკი იყო დაბუდებული, იპოვა სამოთხეში აკრძალული ხე და მასზე აცოცდა. ერთხელ ევა სამოთხეში დასეირნობდა და როცა იმ ადგილს მიუახლოვდა სადაც ცნობისა კეთილისა და ბოროტის ხე



იზრდებოდა, ეშმაკი, გველში მყოფი, მისრიალდა მასთან და ტებილი ხმით ჰქითხა:

- ლმერთმა, მართლა აგიკრძალათ სამოთხის ყველა ხილის ჭამა, თუ არა? – და გველურად გაიღიმა.
- არა, მხოლოდ ერთი ხის ნაყოფის ჭამა აგვიგრძალა, – მოკლედ უპასუხა ევამ.
- ჰოო... ვიცი, ვიცი რომელი ხილიც აგიგრძალათ. აი, ეს.
- შენ საიდან იცი? – გაიკვირვა ევამ.
- მეც ამიკრძალა ამ ხის ნაყოფის ჭამა, მაგრამ გუშინ მივირთვი და ძალიან მეგემრიელა. ჰო, მართლა, რა გითხრა იცი, ჩენი ცხოვრება საინტერესო, რომ გამხდარიყო ამიტომ შეთხება ლმერთმა ამ ხის ამბავი, – ცოტა-ხნით დადუმდა გველი, თითქოს რაღაცაზე ჩაფიქრდაო და ისევ განაგრძო: – ისე მართალი რომ გითხრა როცა ამ ხის ნაყოფი შევჭამე უფრო გავლამაზდი და უფრო მიმზიდველი გავხდი. ჰოო... მართლა, სად არის ადამი, რატომ არ ჩანს? – ორაზროვნად იკითხა გველმა და გასრიალდა.

ევამ, აშკარად შეამჩნია გველს, რომ ტანზე წინანდელთან შედარებით უფრო კაშკაშა ზოლები დაჟყვებოდა. ადამიც არ ჩანდა... მოეწყინა მარტო ყოფნა... ხეს მიუახლოვდა და გაიფიქრა: „მოდი ერთს ჩავგბეჩავ, მხოლოდ ერთხელ“. ასეც მოიქცა და როცა პირში სასიამოვნო გემო იგრძნო, ნაკბეჩი გადაყდაპა, სხეულში გამბაფრებული ვნება იგრძნო, ყვირილი მორთო: ადამ! ადამ! მერე ბალახზე გაგორდა და საკუთარ სხეულს დაუწყო ალერსი.

ადამს, ევას უცნაური ხმა შემოესმა და მისკენ გაემართა, მიდიოდა დინჯი ნაბიჯით, რამეთუ სჯეროდა,



რომ ცუდი არაფერი არ შეიძლებოდა მომხდარიყო, თაგად „ცუდიც“ კი რა იყო, ისიც არ იცოდა.

ადამმა, ევა უცნაურ დღეში იხილა, გაუკვირდა და ჰქითხა:

- რას აკეთებ?
- მოდი ჩემთან, – და ევა ადამს ფეხებზე მოეხვია.
- ადამი დაემორჩილა და როცა ყოველივე დამთავრდა ევას ჰქითხა:
- რატომ ხარ ჩვეულებრივზე უფრო აღგზნებული და რად გინდა ეს ყვავილის გვირგვინი, თაგზე, რომ დაბიდგამს?
- რა არ მოგწონვარ? – გადიზიანებულმა ჰქითხა ევამ.
- მე ყოველთვის მომწონდი, ამ ყვავილების გვირგვინის გარეშეც, – მშვიდად უპასუხა ადამმა.
- უფრო მოგეწონები თუ ამ ხილს შეჭამ, – და ევამ, თავისი მონაკებები ხილი მიაწოდა, რომელიც იქნებოდო.
- კი მაგრამ, ღმერთმა ხომ აგვიგრძალა ამ ხილის ჭამა, – გაიკვირვა ადამმა.
- ეს ისე გვითხრა... კარგი რა, შეამიანი, რომ ყოფილიყო განაცოცხალი დაგხვდებოდი?

ადამმა ფრთხილად გამოართვა ხილი ევას და ჩაეძიჩა. ზუსტად იგივე გრძნობა დაეუფლა რაც ევას, და ახლა მან მოისურვა ყოველივე, რაც ევას ასე აღაგზნებდა.

უინით დაღლილები ბალახზე დაეყარნენ და იმაზე დაიწყეს ფიქრი თუ რა მძიმე ცხოვრება ჰქონიათ და, თუ რამდენი რამე კლებიათ - მოუწესრიგებელი გამოქვაბული, ულამაზო ეზო, საჭმელიც კი მათი მოსა-



პოვებელი იყო. და, სამოთხე პირქუში, უაზრო გარემოდ მოეჩენათ, და ეს წარმოდგენა რეალობად ექცათ, ახალმა ხედვამ მუდმივად შეიძინა მუდმივობა, ხოლო უსასრულობისკენ გაჭიმულმა დრომ აზრი დაკარგა, რის გამოც მუდმივობა მუდმივობაში ჩაიკეტა, ასე აღმოჩნდნენ სამოთხის გარეთ ადამი და ევა, ანუ თავად გაერიყნენ იმას რაც მათში იყო სამოთხის სახით, რამე-თუ უმაღლურობის, ამპარტავნობის და სიძვის გრძნობამ გონების ხედვა შეუზღუდათ.



წარსულიდან მომავალში მიმავალი დილა

დილა, მთვარის საქანელაში ჩამჯდარიყო, და სევდიანად უღიმოდა მეგობრებს:

- რაო, მორჩით იგავების კითხვას, სხვისი საქციულის განჯას და სხვის ფანჯრებში ძრომიალს?
- ოჟ, შენ რა ჩემს საქანელაში მოკალათებულხარ, — სუმრობით უსაყვედურა მთვარემ დილას.
- ვინც მოვიდა გაუმარჯოს, — ღამე, მხიარულად მიესალმა დილას.
- გაგიმარჯოთ, გაგიმარჯოთ. რაო... ჰოო... გინდათ მომავალი დღის ამბავი მოგიყვეთ? — ჰკითხა დილამ მეგობრებს.
- ვიცით, მაგრამ მაინც მოგისმენთ. — სიხარულით დაეთანხმენ მეგობრები.
- კარგი, მაშინ მომისმინეთ, — და დილამ თხრობა დაიწყო:

დათქმულის თანახმად, ხეალ, როცა ეკლესის ზარი სამჯერ ჩამოკრავს, ჩემო კეთილო მეგობრებო, სემინა-



რიის ყოფილი მოწაფეები თავს მოიყრიან სემინარიის ბადში და ბებერი მუხის ხის ძირში, პატრიარქის მიერ დარიგებულ შინდისფერყდიან წიგნებს დააწყობენ,?
??? 7, ... : ! ...!! ... 2, ..., 3, !!!....

— დაასრულე თხრობა? — ჰკითხა დამემ.
 — ჰო, დავასრულე. — მოკლედ უპასუხა დილამ.
 — ეე, გახედეთ! ნახეთ, ვიღაცა ქუჩას ხვეტავს! — აღრფოთვანებით აღნიშნა მთვარემ და დილას შეხედა.
 — მართლაც! — გაიკვირვა დილამ და მენაგვეს გახედა, თან გულში გაიფიქრა: „რა გველაფერი ახლიდან დაიწყო?... კი მაგრამ?... ამირანმა ხომ დაამარცხა ბოროტება?! ... დაამარცხა!”

ახალი მენაგვე კი, ცოცხს აქეთ-იქით ცელივით იქნებდა, ნაგავს ხან აქეთ, ხან იქით და მერე, მეორე განზომილებიდან მესამეში ყრიდა, თან ლექს ამბობდა:

გერცხლზე გაგცვალეს, გაგყიდეს
 ოქროც არ გაიმეტესო,
 ეს არ გაკმარეს გათრიეს
 ლაფში გაგსვარეს იესო.
 ეპლის გვირგვინი დაგადგეს
 მეფედ აურთხეულს, ლმერთკაცო,
 წყალი გწყუროდა არ გასვეს
 გველები დაგასიესო.
 ხელში ლურსმები ჩაგარჭეს
 პირჯვარი არ გადაიწეროსო,
 სიკეთეს პირი უბრუნეს
 თვალთ ცრემლი დაგადინესო.
 ჯვარზე გაგაკვრეს, გაწამეს
 ლოცვა არ შეისმინესო,



შუბი გაძგერეს, გაგწირეს
საჩინო დაგიბნელესო.
წილი ყარეს, და დაჯიჯგნეს -
პერანგი დაგიხიესო,
დაგცინეს, გლანძლეს, გაფურთხეს
გული გატკინეს იქსო.
მეფობა სხვას დააბრალეს
შენ გლახად მიგიჩნიესო,
ეს რა დაგმართეს?
რა გიყვეს?
სულზე უტკბესო იქსო!
ვერცხლზე გაგცალეს, გაგჟიდეს
ოქროც არ გაიმეტესო,
ეს არ გაკმარეს გაწამეს
ჯვარზე გაგაკრეს იქსო.

დილას ეამა მენაგვეს გამოჩენა, მხრებში გასწორდა,
ამაყად გახედა ქალაქს და თავის საქმიანობას შეუდგა...
მთვარე კი გორაობ-გორაობით დედამიწის მეორე
მხარეზე გადაგორდა, დამეც მას აედევნა.

ქალაქი იღვიძებდა. ახმაურდა, ქუჩის ყველა კუთხე-
კუნჭული, დათბა, სითბომ ძალა შემატა მაწანწალა
ძაღლებს და ნაგავში დაიწყეს ქექვა, იმ იმედით, იქნებ
ადამიანებს, რაიმე გემრიელი რამ გადაურჩათ, მაგრამ
არა. ამიტომ, გაწილებულები, წემუტუნ-წემუტუნით ხან
ერთი ნაგვის გროვას მიაღებოდნენ, ხან მეორეს.

- ბაბუ, მომეცი პურის ნაჭერი, გადაგუბდებ ძალ-
ლებს, ძალიან საბრალონი არიან, - სოხოვა პატარა
ბიჭმა თეთრწვერა მოხუცს.



— აიგნიდან გადაგდება არ შეიძლება. წადი სამზარეულოში, მოატეხე პურს ნაჭერი და ჩაუტანე, — ალექსიანად მიმართა მოხუცმა შვილიშვილს, ბიჭმაც არ დააყოვნა.

ძაღლებმა შეამჩნიეს თუ არა ბიჭი, პურით ხელში, კუდის ქიცინით გარს შემოერტყნენ, ეტყობოდათ, რომ ბავშვისაგან განებივრებულები იყვნენ, ამგვარი ყურადღებით.

აიგანზე გადმომდგარ მოხუცს ძაღლების საქციელზე გაეცინა.

— კარგი გეყოფა, ამოდი, საცაა დაჩიც გაიღვიძებს, — თან ხელიც დაუქნია, სწრაფად ამოსვლის ნიშნად და ბინაში შეძრუნდა.

დღეს მოხუცი უდაბნოში უნდა წასულიყო, თავისი ნივთების ჩამოსატანად.



დატბორილი უდაბნო

მზისგან გახურებული კლდე ძლივს იკავებდა სხეულის მთლიანობას; შეამჩნია - გუშინდელთან შედარებით, დღეს, უფრო გაფართოვებოდა ნაპრალები, ქარიც უფრო თავისუფლად დანავარდობდა მის დამსკრაპ სხეულში, ქვიშასაც უფრო გამეტებით აყრიდა ახლად გაჩენილ ჭრილობებს - ქარის წუილი საშინლად აღიზიანებდა, ქვიშის ნაწილაკები კი ნემსებივით ერჭობოდა.

შუადღისკენ, კლდემ, ქარში სინესტეს სუნი იგრძნო, ეს აგადმომასწავებელი ნიშანი იყო და, მართლაც, ცოტასანში წვიმის წვეთი დაეცა. წვეთმა, მზისგან



გახურებულ კლდეზე სისველის კვალიც კი ვერ დატოვა, ის უეცრად აორთქლდა.

— „ეს იყო მხოლოდ მგონი გადავრჩი?”, — გაიფიქრა კლდემ, და ფიქრიც არ ჰქონდა დასრულებული, რომ წვიმა, მის გახურებულ სხეულს თქეშით დაასკდა.

— ვაიმე — ერთი ამის თქმა-და მოასწრო და, წვიმის წყლისგან დამძიმებული სხეული დაეშალა.

კლდის სხეულის თითოეული ნაწილი მიწას ზათქით ენარცხებოდა, პატარა ნაწილებად იშლებოდა და ლვარცოფათ წამოსულ წყალში იკარგებოდა.

უდაბნო წყლით დაიფარა. წყლის ფსკერზე, აღმოჩენილი კლდის ნატეხებს, ჯერ ვერ გაეცნობიერებინათ რა სამყაროში მოხვდნენ, და სანამდე გაგრძელდებოდა, ამ ახალ გარემოში, მათი ამგვარი ყოფა.

ნელა-ნელა ამღვრეული წყალი დაიწმინდა და კლდის ნატეხებმა მკაფიოდ დაინახეს ცა, სადაც ღრუბლები არსეინად დასეირნობდნენ და თვავისი საქციელით ტკბებოდნენ. ერთ-ერთმა ღრუბელმა დამცინავადაც გადმოხედა დატბორილ უდაბნოს, ისე, სხვათაშორის, კიდევ რამოდენიმე წვეთი გადმოაპკურა და ქარის ნებას დაჰყვა - გაცურა პორიზონტისკენ, ახალი მიწების დასასველებლად. კლდის ნატეხებმა, თვალი მოკრეს არწივს, იცნეს, ეს მათი მეგობარი თვალებბრიალა არწივი იყო, რომელიც ხშირად სტუმრობდა, შემოჯდებოდა მათ ხაოიან ზურგზე და ისეთ ყეფას მოჰყვებოდა, რომ ყველა ქვერწამავალს, შიშისგან გულის მანჭვები ემართებოდათ.

— „ახლა რა უნდა ვქნათ?“ — ერთდროულად გაიფიქრა კლდის ყველა ნატეხებმა, მათ ჯერ ერთიანობის შეგრძნება არ დაეკარგად. — „აგერ თეთრწვერაც. უი,



უი, საწყალი მას ხომ ჩვენს ჩრდილში უყვარდა მოსვენება”, – ესეც ერთდროულად გაიფიქრეს.

– „ვაი, რა ხდება?” – გაიკირვა კლდის ერთ-ერთმა ნატეხმა, როცა დაინახა თუ როგორ მიზანმიმართულად ჩამოყო ხელი წყალში თეთრწვერამ, წყლიდან ამოიღო და ზურგზე აკიდებულ ჩანთაში ჩააგდო.

კლდის ნატეხი საკმაოდ დიდხანს ეგდო ჩანთაში - ეულად, და როცა თეთრწვერამ ამოიღო, სულ სხვა, საოცრად განათებულ გარემოში აღმოჩნდა. კლდის ნატეხს, თავის ცხოვრების მანძილზე ბევრი რამ ენახა - მთვარეზე და მზეზე რომ არაფერი ვთქვათ; ხვლიკები, ფრინველები - რომლებიც ხშირად შემომჯდარან მის ზურგზე, რამოდენიმეჯერ გველმაც კი გადაისრიალა მის ძირში დაყრილ ქვებზე, მაგრამ ყველაზე უფრო აოცებდა დამე მთვარის იდუმალი ნათება და ვარსკვლავების სიკაშკაშე, უყვარდა ცქერა ჩამოვარდლი ვარსკლავის და ყოველთვის რაღაცას ჩაუთქვამდა - და, თქვენ წარმოიდგინეთ უსრულდებოდა კიდეც. დილაც, ძალიან ახალისებდა განსაკუთრებით ტოროლას გალობა და თუ ცხელი ზაფხული იყო - დილის გრილი ნიავი, რომელიც მის მკერდს ტკბილად ესალბუნებოდა, ეს სიგრილე კლდეს შუადგემდე მიჰყვებოდა, მერე კი, მზის მწველი სხივები ზურგს უწვავდნენ. სხვაგვარად არ იფიქროთ: კლდეს, მზეც უყვარდა, ოღონდ არა მწველი, არამედ თბილი, მოსიყვარულე და ამ დროს მას შეეძლო თვალი გაესწორებინა მისთვის; დაახლოებით მსგავსი ნათება ახლაც შეამჩნია, როცა თეთრწვერამ ჩანთიდან ამოიღო, მაგრამ, მზისგან განსხვავებით, უფრო სხვა, რაღაც არაბუნებრივი ნათება ჰქონდა, ამ „მზეს”, თანაც უფრო პატარა იყო - სწორედ ამან განა-



ცვიფრა, ყველაფრის მნახველი. კლდის ნატეხმა ორი პატარა ბიჭიც შეამჩნია, რომლებიც ცნობისმოყვარე თვალებით უცქერდნენ.

— ბაბუ, საიდან ეს ქვა? — იკითხა ერთ-ერთმა, რომელიც ტანით უფრო მომცრო იყო.

კლდის ნატეხმა შეურაცყოფად მიიღო, როცა ბაგშვმა ის ქვად მოიხსენია, ის ყოველთვის ზემოდან დასცექ-როდა მის ძირში დაყრილ ქვებს, და ახლა.... მაგრამ, უეცრად ერთი ლექსი გაახსენდა და დამშვიდდა. პო ეს ლექსი, ძალიან დიდი ხნის წინ ერთმა ხუროთმოძღვა-რმა დაწერა, როცა მის ჩრდილს შეაფარა თავი:

ქვა უბრალოდ ქვაა,
მაგრამ, გააჩნია ბედისწერა.

ზოგი, უპატრონოდ გდია -
დარდისგან იფარება ხავსით,
ზოგი, ჩუქურთმებით იხატება -
ხელთუქმნელის მადლით.

ზოგი, სიზარმაცისგან იფიტება -
მომგვრელია სევდის,
ზოგი, ეკლესის საყრდენია -
იმედია კედლის.

ზოგი, სასროლი ქვაა -
ცოდვის საზომი,
ზოგი, მდუმარების ზღვაა -
მძინარე ტალღა.
ზოგი, საფლავის ქვაა -
აწმყო და წარსული აწერია,
ზოგი, ბედისწერის დოლაბია -



თავად ბედისწერა.
 ზოგი, საიდუმლოს დარაჯია -
 ასეთი ერგო ხვედრი,
 ზოგი, ვიღაცის საბუდარია -
 იცის ამ სოფლის წესი.
 ზოგი, დასცქერის მიწას -
 მისგან კურთხევას ელის,
 ზოგი, პორიზონტს გაჟყურებს -
 თვალზე შეაშრა ცრემლი.
 ზოგი, გაექცა ოცნებას -
 სხვისი ცხოვრებით ცხოვრობს,
 ზოგი, თვითონ ქმნის სამყაროს -
 სხვისგან არ იღებს რჩევას.
 ზოგი, დაგვცქერის მრისხანედ
 და არ გაცილებს მზერას,
 უკაცურობა აშინებს -
 ზეცისგან ითხოვს შველას.

დიახ - ქვა, უბრალოდ ქვაა,
 მაგრამ, გრძნობები გააჩნია.

ბავშვის კითხვაზე თეთრწერამ პასუხი არ დააყოვნა:
 – დავით-გარეჯიდან, – და ქვას ადგილი შეუცვალა,
 წიგნების თაროზე შემოდო.
 – რატომ წამოიღე? – ახლა ტანით უფრო მაღალმა
 ბიჭმა იკითხა.
 – მასში ბევრი მადლია, – დამთბარი ხმით უპასუხა
 შვილიშვილს.
 – „გაჲ, ხედავ შენ, ჩემში მადლი ყოფილა?!“ – გაიფი-
 ქრა კლდის ნატეხმა, – „ნეტავ რასში გამოიხატება ეს?“



— საკუთარ თავს დაუსვა კითხვა, და მერე, — ვაჲ, ვაჲ,
— რაღაც უცნაურობა წაილულლულა და სმენა უფროს
ბიჭისკენ მიმართა.

— ბაბუ მადლი რა არის?
— მადლი?! პოო, მადლი... — ძველ იბერიაში აღნიშნავდა დმერთის ან რომელიმე ადამიანის მიმართ სიყვარულს. აი, მაგალითად წმინდა პავლე მოციქული მადლს ხსნის როგორც დმერთის მიერ ადამიანისათვის საკუთარი სიცოცხლის უანგარო მიძღვნას ქრისტეს მსხვერპლშეწირვით, რის შედეგადაც ქრისტიანები ნათლისდებისა და სული წმინდის ნიჭის მეშვეობით დმერთის სრულყოფილ შვილებად იქცევიან. — „ნიჭი”, — ამ სიტყვამ საუბრის პროცესში გაურბინა გონებაში თეთრწერას და გაიფიქრა: — „ხედავ ნიჭი რა ყოფილა. აღრე, ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. რატომ?” — და, ამ აღმოჩენით შინაგანი კმაყოფილება იგრძნო.

— ბაბუ, ესე იგი მადლი არის უანგარო დახმარება, რომელსაც დმერთი გვიწევს... და, როგორ შეიძლება ის ქვაში არსებობდეს? — ჰკითხა უფროსმა შვილი შვილმა - ანდრიამ.

— შეიძლება, — მოკლედ უპასუხა სავლემ შვილი-შვილს და ახსნას შეუდგა: — ბერი დავითი იმ კლდის ჩრდილში ლოცულობდა საიდანაც ეს ნატეხი ჩამოვარდა. წმინდანის ლოცვისას გარემო სუფთავდებოდა - ნათელი მადლით იქლინთებოდა, რომელიც ყველაფერში აღწევდა და იქ, დიდი ხნით, უფრო სწორედ - სამუდამოდ რჩება.

— „ხედავ შენ, მაშასადამე ჩემში მადლია,” — ამადლებული გრძნობა დაეუფლა კლდის ნატეხს, საკუთარ თავში ჩაღრმავდა და მართლაც რაღაც უცნაური თვისე-



ბა ადმოაჩინა სხეულში, რომელიც შიგნიდან ასხივოსნებდა მას. – „ჰო... ამას ადრე რატომ ვერ ვამჩნევდი?“ – გაიკვირვა, – „არადა მახსოვს ის წმინდა ბერი, რომელზეც თეთრწვერა საუბრობს. ჰო, ერთხელ როცა ხელით შემეხო, უფრო სწორედ დამეყრდნო, წამოდგომა სურდა, ჩემში უცნაური რამ შემოიჭრა, სწორედ ამ დღის შემდეგ გამიჩნდა მოვლენების წინასწარი აღქმის უნარი, მაგრამ იმდენად შევეჩვიყ და გავითავისე ეს, რომ ვერ გვრძნობდი ამ მაღლს,“ – სინანულით გაიფიქრა კლდის ნატეხმა და სმენა ისევ თეთრწვერასკენ მიმართა.

– მადლი, – საუბარს განაგრძობდა სავლე, – გვეხმარება გავხდეთ მარადიული ბუნების თანასწორნი.

– ეს როგორ? – ამჟამად, იკითხა უმცროსმა შვილი-შვილმა - დაჩიმ.

– აი, როგორ-და, მომისმინე! – იყო ერთი ხატმწერი ლირსი ლაზარე, რომელიც სიყმაწვილიდან შეუდგა საეკლესიო მსახურებას გამუდმებით მარხულობდა და ლოცულობდა. ამასთან, საოცარი გულმოწყალებით გამოირჩეოდა. ღვთისსათნო ღვაწლისა და კეთილმსახური ცხოვრებისათვის, ლაზარე, მღვდლად აკურთხეს, ამის შემდეგ მის მიერ დახატულ ხატს სასწაულების მოხდენა შეეძლო. აი, ასე გახდა ლაზარე მარადიული ბუნების თანასწორი.

– ბაბუა, მოგვიყევი დავით გარეჯელის შესახებ, – თხოვნით მიმართა დაჩიმ.

სავლეს დიდი თხოვნა არ დასჭირვებია, მოკალათდა თავის საყვარელ სავარძელში, უფროსი შვილი-შვილი გვერდზე მოისვა, უმცროსი კი, მუხლზე დაისვა და ხრინწიანი ხმით შეუდგა ამბის თხრობას:



— დავითი, თორმეტი წლის თუ იქნებოდა, მეტი არა - ეს როცა დაობლდა; კერ აიტანა სახლში მარტო ცხოვრება, რაც კი რამე ებადა ზოგი გაყიდა, ზოგიც უპოვართ დაურიგა და მოგზაურობას შეუდგა, ასე სულ შემთხვევით, მოხვდა ასურეთში სადაც მისი თანამემა-მულენი საღვთო წეს სწავლობდნენ, დავითი მათ შეუერთდა და ცოტახანში იქ მყოფი ბერები გააკვირვა თავისი გამჭრიახობით. თანდათანობით დავითმა არა მარტო ბერების, არამედ მთელი ასურელი ხალხის სიყვარული მოიპოვა, და როცა ბოლომდე ჩაწვდა მართლმადიდებელ ქრისტიანულ მცნებებს თავის თანამემა-მულე მამაოებთან ერთად იბერიისკენ გამოეშურა.

— ბაბუ, დავითი იბერიელი იყო და იცოდა ჩვენი ენა. მაგრამ, სხვებმა თუ იცოდნენ?... მათ ხომ იბერიულ ენაზე უნდა ექადაგად, — ჰერთხა ანდრიამ, და სავლეს ცნობისმოყვარე თვალები მიანათა.

— აკი გითხარი, თავის მემამულეებს შეუერთდა-თქო, უფრო დაკვირვებულდა უნდა მისმინო, — სავლეს წყენა შეეტყო, და თხრობა უფრო ნელ რიტმში განაგრძო: მამა დავითმა თავიდან სამოღვაწეოდ თბილისი აირჩია. ბერ ლუკიანესთან - თავის მოწაფესთან და სულიერ შვილთან ერთად ქალაქის დასავლეთით მდგარი მთის ფერდობზე არსებულ გამოქვაბულში დასახლდა და იქვე პატარა სამლოცველო მოაწყო. წმინდა მამათა საცხოვრებელი ანდამატივით იზიდავდა თბილისისა და მისი შემოგარენის მკვიდრთ. ბერებთან უამრავი ხალხი მიდიოდა აღსარებისათვის, მამა დავითი უსმენდა მათ, სინანულისაკენ და შენდობისაკენ მოუწოდებდა. ზოგჯერ კი ქალაქში ჩადიოდა, ქადაგებით ამხნევებდა ხალხს და რწმენას განუმტკიცებდა. ძალიან შეიყვარეს



ხალხმა მამა დავითი, – სავლემ ეს სიტყვები ამაღლებული განცდით წარმოთქვა. მას, სურდა ეს განცდა, შვილიშვილების გულამდე მიეტანა და იქ საუკუნედ დაებუდებია. და, როცა მათ სახეებს დააკვირდა, მიხვდა, რომ ეს მან შეძლო; ეამა და ოხრობა მშვიდი, მაგრამ უფრო დამაჯერებელი ხმით განაგრძო: – უცხო ტომის ხალხი ხედავდა, რომ დავითი უფრო და უფრო დიდ სიყვარულს იხვეჭდა და ყოველნაირად ცდილობდა შეებდაალად მისი სახელი. ერთ კვირა დღეს, საქადაგებლად ქალაქში ჩამოსული წმინდა მამას, მასზე, წინასწარ შეთხული ცილისწამების მოწმედ მეძავი ქალი მოუყვანეს. მეძავმა შეკრებილი ხალხის წინაშე მამა დავითს მრუშობა დააბრალა. უფლის მსასოებელმა მოძღვარმა ქალის მუცელს ჯვრის ნიშნიანი რკინის კვერთხი შეახო და ნაყოფს უბრძანა: – ეთქვა ნამდვილი მამის ვინაობა. ნაყოფმა სასწაულებრივად თავის მამად ვინმე მჭედელი დაასახელა. ამბის მოთავე, შერცხვენილმა უცხო ტომის წარმომადგენელებმა, თავიანთი დანაშაულის დაფარვის მიზნით, ქალს ქვები დაუშინეს, და ჩაქოლეს. ამ ამბის შემდეგ გულგატებილმა დავითმა, ბერ ლუკიანესთან ერთად დატოვა თბილისი. პოო და, იმ ადგილზე სადაც წმინდა მამას უყვარდა ქადაგება და ქალი ქვებით ჩაქოლეს, ამჟამად აღმართულია ქუაშვეთად წოდებული წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.

– ბაბუ, სად წავიდა დავითი? – ამჟამად თხრობა უმცროსმა შვილიშვილმა შეაწყვეტინა, რომელსაც აშკარად ეტყობოდა, რომ ძილი მიპარვოდა და ქუთუთუებზე შემოჯდომოდა.

– სად-და, კახეთის აღმოსავლეთით მდებარე გარეჯის უდაბნოში, ამჟამად მას ყარაიას ველს უწოდებენ.



— უდაბნოში სად უნდა დასახლებულიყო? — ისევ იკითხა დაჩიმ, რომელიც უკვე, ბაბუის წინ, ფეხებაღალა-ჯული დამდგარიყო და პირდაპირ სახეში ჩასცეკროდა, მაგრამ, ძილი მაინც ჯაბნიდა და საწოლისკენ მიათრე-ვდა.

— მამა დავითმა ქლდოვანი ადგილი აირჩია, — მშვი-დათ უპასუხა სავლემ და განაგრძო: ლუკიანესთან ერთად კლდეში ბუნებრივად გამოკვეთილი პატარა ქვაბულში მოაწყო სენაკი. ოთხშაბათს და პარასკევს მარხულობდნენ, საზრდელს თითქმის არ დებულობდნენ, სხვა დღეებში კი - ირემი მოდიოდა და მისი რძით იკლავდნენ სიმშილის გრძნობას, ირემს თან წითელხა-ლებიანი შველი დაყვებოდა, ამ შველს გასაოცარი უნარი გააჩნდა, სადაც თავის ფეხს დაჟკრავდა იქ წე-რო გადმოდიოდა და ახლო-მახლო გარემო მწვანეოთი იფარებოდა, რომელსაც დილაობით, ფოთლებზე, თაფ-ლის მსგავსი სითხე ედებოდა, მამა დავითი ამ სითხეს თიხის ქილაში აგროვებდა და ზამთარში საკვებად იყე-ნებდა.

უდაბნო, ასევე საშინელი არსებით იყო დასახლე-ბული და სენაკის მახლობლად, ერთ გამოქვაბულში ცხოვრობდა, ეს იყო აჯაგრული, უზარმაზარრქებიანი საზიზდარი ცხოველი. ერთ დღეს ირემმა და შველმა, რომლებიც ჩვეულებისამებრ მიდიოდნენ წმინდა მამე-ბთან სამსახურის გასაწევად, გზის შემოკლების მიზ-ნით, ხრიოკ ბილიქს გაუყვნენ, რომელიც ქლდის პირას გადიოდა, სწორედ იქ სადაც საზიზდარი მკვიდრობდა. საზიზდარმა მიპარვით, დედა ირემს შველი მოსტაცა და შეჭამა. როცა დავითმა, ირემი, მარტო, შვლის გარეშე, იხილა გაიკვირვა, ხოლო როცა ყოველივე შეიტყო,



გაჯავრდა, ქრისტეს ჯვრის ნიშნიანი რეინის კვერთხი აიღო და საზიზლარის გამოქვაბულისკენ გაემართა. საზიზლარმა წმინდა მამა დავითის მოახლოება იგრძნო, მაგრამ გაქცევა ვერ მოასწრო, პირდაპირ შეეყარა მამაოს, შეშინდა საზიზლარი, დაწვა მიწაზე და საცოდავად დაიწყო წმუტუნი, შეეცოდა წმინდანს და არ გაგმირა, მხოლოდ კერთხი ზე აღმართა და შორს გადახვეწა უბრძანა. საზიზლარი წმინდანის ბრძანებას დაემორჩილა, იქაურობას გასცილდა და გეზი წმინდა მდინარისკენ აიღო, მაგრამ ის-ის იყო მდინარეში უნდა ჩასულიყო, რომ ციდან ჩამოტყორცნილმა მეხმა მეყსეულად დაწვა. იმავე დღეს, როცა საზიზლარი დაიწვა, ანგელოზი ნათელი შუქის სახით ციდან დაეშვა წმინდანთან და მოუთხოო: „მამაო დავით, შენ, რომ დაინდე ის საზიზლარი, ღმერთმა განგმირა ცეცხლით; შეიტყო ღმერთმა, რომ საზიზლარს წმინდა მდინარეს დახმარებით პონტოს ზღვაში სურდა შეღწევა და იქაური ხალხის განადგურება“. ამ შეტყობინების შემდეგ წმინდა მამა დავითი, როცა რაიმე გადაწყვეტილების მიღება სურდა, განმარტოვდებოდა და ღმერთის ნიშანს ელოდა.

— ბაბუ, ბალიან შემეცოდა შველი, — გულნატკენმა თქვა დაჩიმ და ჰეკითხა: — ყველაზე დიდი სასწაული, რომელიც წმინდა მამა დავითმა მოახდინა, რომელია?

— რომელი და: — და, სავლემ თხრობა განაგრძო, — დავით გარეჯელს უყვარდა განმარტოებული ლოცვა. ამისათვის წმინდანი კლდის ნაპრალში შედიოდა, იმ კლდის ნაპრალში საიდანაც ეს კლდის ნატეხია, — და სავლემ წიგნის თაროზე შემოდებულ კლდის ნატეხისკენ გაიშვირა ხელი.



კლდის ნატეხმა როცა გაიგონა, რომ მასზე იყო საუბარი თავი უხერხულად იგრძნო, აიწურა და მორი-დებულად გახედა თეთრწვერას, რომელიც თხრობას განაგრძობდა:

— და, ზეციური მამისადმი აღავლენდა ლოცვას. ერთხელ როდესაც იგი განმარტოვებით ლოცულობდა მასთან მონადირის მიმინოსაგან გაქცეული კაკაბი მიფრინდა. კაკაბს მიმინო მოჰყვა და სულ მალე მონა-დირეც მოჯირითდა. წმინდა მამამ უცხო მხედარს აუწყა, რომ კაკაბი მფარველობას ითხოვდა მისგან და მას უარი უნდა ეთქვა მის მოქვლაზე. ნადირობით გატა-ცებულმა მონადირემ არა მარტო ყურად არ იღო ნათქ-ვამი, არამედ ხმალიც კი აღმართა წმინდანის მოსაკლა-ვად. მაგრამ, ხელი ჰაერში გაუშეშდა; ცოტახანში გამოერკვა და სინანულის ცრემლის ღვრით სთხოვა მამა დავით-გარეჯელს, რათა იგი სულიერად და ხორ-ციელად განედურნა. წმინდა მამის ლოცვით ასეც მოხ-და. ამ მონადირეს ბუბაქარი ერქვა. სულით განახლებუ-ლმა ბუბაქარმა წმინდანს შეევედრა, რათა მისი დავრ-დომილი შვილიც განედურნა. მართლაც შინ დაბრუნე-ბულ ბუბაქარს გამოჯანმრთელებული ბავშვი ხერუნვა-ხტუნვით მიეგება. ბავშვი სრულიად განკურნებული იყო. ამის ხილვით გაიხარა ბუბუქარი და, მეორე დღეს, უფროსი ვაჟების თანხლებით, ძლევნი მიართვა დავით-გარეჯელს და მოინათლნენ კიდეც. მათ საქციელს ყველა ახლო მოსახლემ მიმართა, მათ შორის იყო კანე-ლი თავადი, გვარად ანდრონიკაშვილი, რომელიც შემ-დეგ ბერად შედგა და ნინოწმინდაში განმარტოებით მოღვაწეობდა.



— ანდრონიკაშვილი? — განცვიფრებულმა აღნიშნა ანდრიამ, — დედაც ხომ ამ გვარის იყო, — და თვალები, ბაბუას მიანათა, ორი მოკაშვაშე ვარსკვლავი სიხარულს ვერ ფარავდა... ძილის ბურუსიც კი გამქრალიყო.

— მართალია, ის თქვენი დიდი წინაპარი იყო, — და სავლემ თვალი შეავლო კედელზე ჩამოკიდებულ, შავჩარჩოში ჩასმულ ვაჟისა და რძლის სურათს, — ჰმ, — ესლა თქვა და ბავშვებს მიმართა: — თქვენი ძილის დრო მოვიდა.

თეორწვერას მონათხობი, კლდის ნატეხს ეცნო, ცოცხალი სურათით წარმოუდგა ის დღეები როცა წმინდა დავითი თავისი ლოცვით ჰაერს უცნაური ძალით მუხტავდა, იმ დროს გარემო უფრო გამჭვირვალე ხდებოდა და იქაურობა უცნაურ იერს იძენდა. ამ მოგონებამ კლდის ნატეხი დასევდიანა, გაახსენდა თავისი ალაგი, კლდის ვარდი, რომელიც თავმომწონედ დასცექროდა კლდის ჩრდილში ამოსულ ლიჭას, გაახსენდა გულყვითელა ჩიტიც, მისი მშობლები და მშობლების მშობლები და იმათი მშობლები, გაახსენდა აბეზარა ქარი, რომელიც გამეტებით აყრიდა ქვიშას და გულისწასვლამდე წიოდა მის ნაპრალებში, მაშინ ეს ძალიან აღიზიანებდა ახლა კი, ესეც ტპბილ მოგონებად გადაქცეოდა და, აქვითინდა. უეცრად დაბნელდა, — „აჲა, ესე იგი დაღამდა,” — გაიფიქრა თავისთვის, მაგრამ უეცრად თვალი მოეჭრა მკვეთრი შუქისგან, ისევ გათვნდა, — „ვაჲ, ეს რა სწრაფად გათენდა,” — გაუკვირდა, და როცა ისევ დაბნელდა, საერთოდ დაიბნა და თვალებდაჲყეტილი ხელახალ გათენებას დაელოდა, მოლოდინი აუხდა - გარემო განათდა.



თავის გადასაცემა და გადასაცემა

საზიზლარმა არ იცის, რომ საზიზლარია?

კლდის ნატეხმა გადაწყვეტა კარგად დაეთვალიერებინა მის ირგვლივ არსებული; პირველად შეამჩნია ბრტყელზედაპირიანი, ბზინავი, კლდის მაგვარი რაღაცა, როგორც შემდეგ აღმოჩნდა ეს მაგიდა იყო, სავარძელი ადგილად აღიქვა - ეს იმწუთშივე შეძლო, როგორც კი თეთრწვერა მასში ჩაჯდა, ირგვლივ მოხატული კედლების ხილვაც არ გაკვირვებია, მსგავსი რამ მას მამა დავითის კერიში ენახა. ნელა-ნელა თვალი გარემოს შეაჩინა, სხვა ნივთებიც მონიშნა, მაგრამ მათ დანიშნულებას ვერ მიხვდა; უეცრად, მისი თვალის მზერა, არსებულ სიერცეს გასცდა, ოთხეუთხედში გაძერა, გაქანდა, გაქანდა და თავისუფლება აღმოაჩინა, - „გაიმე! გაიმე! ეს ხომ ცაა!!!“ - ფიქრმა, მის გონიებაში ყვირილი დაიწყო, ხოლო სხეულმა გამალებული ფერება, - „ჟო, ეს ნამდვილად ცაა, ვარსკვლავებით მოჭედილი, - ეს ცაა! ცა!“ - სიხარული ვერ დამალა და კინალამ ხმამაღლა მორთო ყვირილი, გაიხედა, გამოიხედა სურდა ეს სიხარული ვინმესათვის გაეზიარებინა და სავარძელში თეთრწვერა დაინახა - „ეი თეთრწვერა!“, უნდოდა დაეძახა, მაგრამ დადუმდა, იგრძნო, მოხუცს რაღაც დიდი ტკივილი აწუხებდა, იგრძნო - ის ფიქრს დაემონა და, რომ თავისუფლება საკუთარ თავში დაეკარგა. კლდის ნატეხმა პირველად დაინახა თეთრწვერა ასეთი დამძიმებული, ის მთელი სხეულით მოშვებულიყო და სადღაც, შორს სიერცეში, დაკარგულ იმედს ეძებდა... მაგრამ, გის იმედს? და, საერთოდ რატომ ეძებდა? - იცოდა კლდის ნატეხმა, რომ ეს კითხვა

-37-



იმათაც აწუხებდათ ვისაც არაფერი დაუკარგავს, და ისიც იცოდა, რომ ეს გაურკევლობა ტანჯავს ყველა ადამიანს, როცა არ იცის რას ეძებს, მითუმეტეს თუ პეონია, ადამისა და ევასი არ იყოს, რომ არაფერი არ დაუკარგავთ და ყველაფერი მასშია. კლდის ნატეხს შეეცოდა თეთრწვერა, და ის მარტოხელა მგელი გაახსენდა, რომელმაც რამოდენიმე წლის წინ კლდეში გაჩენილ გამოქვაბულს შეაფარა თავი, ისიც ადამიანივით დაკარგულ იმედს ეძებდა, — ეჭ, — ამოისვნეშა კლდის ნატეხმა, გაახსენდა, შარშანდელი ზაფხული თუ როგორ დაუნდობლად დაგლიჯეს ის მარტოხელა მგელი თავისიანებმა, და კიდევ უფრო მეტად შეეცოდა თეთრწვერა, მოუნდა მიახლოვებოდა და მოფერებოდა, მაგრამ გრძნობდა რაღაც უნდა მომხდარიყო და თავი შეიკავა.

— არ მანებებ თავს, მომეშვი, — უეცრად, ხმამაღლა დაიყვირა თეთრწვერამ და კედლის კუთხეს მიაშტერდა.

— რატომ უნდა დაგანებო თავი, ან მე რა შუაში ვარ, განა შენ არ მომიხმე. შენს გონებაში, რომ არ ვიყო, არც მე გეახლებოდი.

და, კლდის ნატეხმა ნათლად დაინახა კედელს როგორ მოსცილდა ადამიანის მსგავსი საზიზდარი არსება, რომელიც ზოზინ-ზოზინით მიუახლოვდა თეთრწვერას და მის პირდაპირ იატაზე უქმოროთხმული დაჯდა, და იქაურობას დამცინავი მზერა შემოატარა.

— პო, ჩემს გონებაში ზიხარ და ამით სარგებლობ. საერთოდ, შენი არსებობა ხომ ამაზეა დამოკიდებული, შე საზიზდარო, — მრისხანება შეეტყო თეთრწვერას.

— მრისხანებას გატყობ სავლე, თქვენი სარწმუნოებით კი, ეს ცოდვაა, — ირონიულად უპასუხა საზიზდარმა.



- მრისხანება შენს მიმართ ცოდვათ არ ჩამეთვლება,
- უკეთ მშეგიდად უპასუხა თეთრწვერამ.
- კაცის გვლა... თუ, შენს შემთხვევაში ეს შერის-ძიებაა? — და საზიზღარმა წვრილ ხმაზე ჩაიხითხითა.
- მე, არავინ არ მომიკლავს, და ცილს ნუ მწამებ, — მტკიცედ უპასუხა თეთრწვერამ.
- მაგრამ, ამაზე ფიქრობ... გაფიქრებაც ხომ ცოდვაა, ასე არაა განა? — და ჩასისხლიანებული თვალები მიაშრება თეთრწვერას.
- მოვერევი ჩემს თავს... აი, შენ რა გეშველება მაშინ? — მაგრამ, აშკარად შეეტყო თეთრწვერას, რომ თავისივე სიტყვის თვითონაც არ სჯეროდა.
- ხი, ხი, ხიი, — ორაზროვნად ჩაიხითხითა, და მერე წაისისინა, — არა გჯერა შენივე სიტყვების ხომ ასეა? ხი, ხი, ხიი, — ისევ ჩაიხითხითა და ნიშნის მოგებით დაამატა, — ამიტომაც ვარ აქ, შენთან.
- თეთრწვერამ, პერანგის შიგნით ხელი ჩაიყო და კისერზე ჩამოკიდებული ჯვარი მოისინჯა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ საზიზღარმა დაასწრო:
- კარგი, ხო, ჩემით წავალ, რა საჭიროა ჯვრის გამოჩენა, — და გაუჩინარდა.
- თეთრწვერა მარტო დარჩა, შვება იგრძნო, მაგრამ უეცრად გაბრაზდა და დაიყვირა:
- არა, გამოდი, შე იუდა და ვისაუბროთ!
- კი ჩემო ბატონო აქ ვარ, — დიდი ლოდინი არ დასჭირვებით თეთრწვერას, და ოთახის კუთხეში ისევ გამოჩნდა საზიზღარი.
- ნეტავ რად უხმო ისევ? — ჩუმად ჩაილაპარაკა თავისთვის კლდის ნატეხმა და სმენად იქცა — აინტერესებდა თუ კიდევ რაზე ისაუბრებდნენ.



— გისმენ ჩემო ბატონო, — ხელმეორედ მიმართა საზიზღარმა თეთრწვერას, რომელიც რაღაცის სათქმე-ლად მომზადებულიყო.

— მართალი ხარ, წარმოდგენაში მათ დიდ სატან-ჯველს ვუმზადებ, მაგრამ გული არ მიშვებს, — და დამნაშავედ ჩაქინდრა თავი.

— კარგი რა სავლე, გულსაც ეშველება რამე, თუ კარგად წარმოდგენ იმ სურათს, ხედები ალბათ რაზეც მიგანიშნებ, — დაკვირვებული მზერა ესროლა საზიზ-ღარმა თეთრწვერას და შთამაგონებელი ხმით დაუწყო ასენა: შენი ოჯახის წევრების ძკვლელებს ეს თუ შერჩათ, იფიქრებენ ასე იყო საჭიროო, და სხვასაც იგივეს უზამენ. დაფიქრდი ამაზე... მათი დახოცვით, შენ სხვასაც აარიდებ უბედურებას. გაიგე ეს ჩემო სავლე, გაიგე! გაიგე! გაიაზრე ყოველივე, ეს არის რეალობა და, ეს იცოდე! რეალობის ასახვა შენში, როგორც ღვთიური გრძნობის არსებით, კი არ უნდა მიმდინარეობდეს, არამედ გრძნობის მატარებელი არსებით. დიახ, რეა-ლობის ჭეშმარიტი შემეცნება გულისხმობს იმ სიძნე-ლეთა გადალახვას, რომლის დროსაც შესაძლებელია აღილი პჰონდეს დამახინჯებულ იდეალისტურ გაგებას, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს ყოველი იდეალისტური აზრი მოკლებული იყოს ჭეშმარიტ გარუ-მოებებს. მაგალითად, აი, მე, ჭეშმარიტება ვარ.

— არა! ჭეშმარიტება მხოლოდ დმერთია. შენ რაღაცას მიედ-მოედები. მე, მხოლოდ სამებას ვაღიარებ, — მტკი-ცედ უპასუხა თეთრწვერამ.

— მერე ვინ გიშლის? პმ... აღიარე ვინც გინდა. ისე მეც, რომ მაღიარო ამით ვითომ დაშავდება რამე? — საზიზღარმა ისეთი საშინელი გაიძვერა სახე მიიღო,



რომ სავლემ მის ცქერას ვერ გაუძლო, გვერდზე გაიხედა, მერე საგარეულიდან წამოდგა და ოთახში უაზროდ დაიწყო სიარული.

— კარგი დაწყნარდი, დაჯექი, — მშვიდი ხმით მიმართა თეთრწვერას, და საზიზღარმა საუბარი განაგრო: — მე, რომელიც გეახელი, ჩემდა გასაკვირად არ მაღიარებ, მაშინ ვინ უნდა აღიარო? მამა დმერთი? რომელიც არასოდეს არ გინახავს... კარგი რა, შენი გამკვირვებია. სად იყო ქრისტე, შენი ვაჟი და რძალი, რომ აწამეს ოსებმა? რას გეტყვი იცი!?

შენი რწმენა ფსიქიკურ შეგრძნებაზეა აგებული, ხოლო, ფსიქიკური შეგრძნების წყაროა შენი ნერვიული სისტემა და ტვინში მიმდინარე პროცესები, რომლის მეოხებითაც ხდება რეალობის აღქმა. მართალი ვარ თუ არა?... ჰო-და ამიტომაც მხედავ და, უნდა მაღიარო.

— არა. — მოკლედ მოუჭრა სავლემ, — მე მხოლოდ ქრისტეს ვაღიარებ, მისი არსებობა რეალურია, — ბოლო სიტყვა ისე ხმამაღლად წარმოთქვა სავლემ, რომ თვითონაც კი განცვიფრდა.

— დამიმტკიცე, — ჯიქურად მიახალა საზიზღარმა.

— კარგი, დაგიმტკიცებ, მისმინე! — არსებობს დმერთის არსებობის ონტოლოგიური დასაბუთება, რომელშიც უზენაესი არსების სუბიექტური იდეიდან გამოიყვანება მისი ობიექტური არსებობა.

— რაო, რაო, ვერ გავიგე და საზიზღარს ისეთი ბრიყვი გამომეტყველება აღებეჭდა სახეზე, რომ სავლეს სიცილი აუგარდა.

— დამცინი? — ამჟმად, საზიზღარს სახეზე, ჯიბის ქურდის გამომეტყველება გამოესახა.



— გინდა აგიხსნა ონტოლოგიური დასაბუთების ბუნება? — თეორწვერა არ დაელოდა თანხმობას და ახსნას შეუდგა: — ონტოლოგიურ დასაბუთებაში ადგილი არა აქვს დებულების გამოყვანას სხვა დებულებისაგან. აქ სიმართლე, უტყუარობა უშუალოდ გამომდინარეობს ცნების შინაარსიდან. მართლაც, თუკი მტკიცდება ისეთი შინაარსის არსებობა, რომელიც შეუძლია მოაზრებული იყოს სხვაგვარად, თუ არა როგორც რეალურად არსებული, მაშინ ცხადია, რომ რეალურად არსებობის ნიშნის დადგენა ხდება ამ შინაარსის უშუალო გონებრივი ჭვრეტით და არა გარკვეული წანამძღვრებიდან ლოგიკური გამომდინარეობის გზით.

— კარგი, მაგრამ ეს ვერაფერი დასაბუთებაა. არსებობს სხვა დასაბუთება? — ირონიულად იკითხა საზიზარმა.

— კოსმოლოგიური, ანუ სამყაროს არსებობიდან მტკიცება, — თეორწვერას გამარჯვებულის იერი აღებეჭდა სახეზე.

— კიდევ? კიდევ? — ჩაეძია საზიზდარი.

სავლემ სულმოუთქმელად ჩამოუთვალა:

— ფიზიკურ-თეოლოგიური, ეთიკურ-თეოლოგიური, ფსიქოლოგიური.

— რა ამბავია. ნუ, მომაყარე სიტყვების კორიანტელი. პოპ. ერთი ამიხსენი კარგად კოსმოლოგიური და, მერე, დანარჩენი სხვა.

— ყურადღებით მისმინე: ღმერთის არსებობის კოსმოლოგიური დასაბუთება ემყარება აქსიომას: ყველაფერს, რასაც ადგილი აქვს სამყაროში, უნდა გააჩნდეს საკმარისი მიზეზი, ანუ: არსებობს საგნები, მაშასადამე უნდა არსებობდეს საგანთა პირველი მიზეზი საწყისი - ეს



ერთი, და სხვა: სამყაროში ადგილი აქვს მარადიულ მოძრაობას, ამიტომ უნდა არსებობდეს მამოძრავებელი. ასევე თუ, არსებობს შემთხვევით საგანთა გარემო, მაშასადამე, უნდა არსებობდეს ამ გარემოს აუცილებელი მიზეზი.

— მერე, მერე, — არ აცლიდა საზიზდარი საუბარს. მაგრამ, სავლე მშვიდად საუბრობდა:

ჰო, კიდევ, თუ არსებობს გაპირობებული, მაშასადამე, უნდა არსებობდეს უპირობო. დაბოლოს, არსებობს ბოლოვადი, მაშასადამე, უნდა არსებობდეს დაუბოლოებელი.

— ფიზიკურ-თეოლოგიური რაღაა? — საზიზდარს თვალები მოლიანად ჩაუსისხლიანდა.

— ფიზიკურ-თეოლოგიური ანუ ტელეოლოგიური დასაბუთების ძირითადი აზრი დაფუძნებულია იმ მოწე-სრიგებულობის პრინციპზე, რასაც სამყაროში მიზანშეწონილობას უწოდებენ, რაც გულისხმობს, რომ სამყაროს ყოველ ნაწილში ადგილი აქვს საოცარ წესრიგს. ამდენად, მთელი სამყარო გონივრულად არის აწყობილი საუცხოო მექანიზმის მსგავსად, საღაც წესრიგი და მიზანშეწონილობა სრულიადაც არ გამომდინარეობს თვით საგნის ბუნებიდან, ესე იგი თვითონ საგანი შეუძლებელია იყოს მიზეზი გონივრული წესრიგისა და მიზანშეწონილობისა. წესრიგი და მიზანშეწონილობა შეიძლება იყოს შედეგი მხოლოდ გონივრული მოქმედებისა. ამიტომ, უნდა არსებობდეს გუნივრულად მომწყობი სამყაროს გონივრი მიზეზი ანუ სამყაროში არსებული წესრიგისა და მიზანშეწონილობის დამდგენი, სამყაროს არქიტექტორი, შემოქმედი - ღმერთი.



— პო-და მიზანშეწონილობისაგან გამომდინარე, უნდა იძიო შური, — საუბარში ჩაუხტა საზიზღარი, მაგრამ, სავლე ისე იყო ჩართული აზრების კენჭვლაში, რომ არც კი გაუგია საზიზღარის ნათქვამი, ის თითქს თავის თავს ეპაუქრებოდა:

— ეთიკურ-თეოლოგიური დასაბუთება აგებულია მორალური მსოფლიო წესრიგის საფუძველზე და ამ წესრიგის შემოქმედის არსებობაზე.

— ფსიქოლოგიური, ფსიქოლოგიური? — ყვიროდა საზიზღარი და ცდილობდა აზროვნების თანმიმდევრობიდან ამოეგდო სავლე, მაგრამ საზიზღარს არაფერი არ გამოსდიოდა.

— ფსიქოლოგიური, — სავლემ თითქოს ჰაერში დაიჭირა სიტყვა და გონებაში გამოამწყვდია... მერე კი, თავისუფლება მიანიჭა: — ცნობიერებაში ღმერთის იდეის არსებობის საფუძველზე მტკიცდება, რომ თვით ცნობიერება შეუძლებელია იყოს საქმარისი საფუძველი მასში ღმერთის იდეიის არსებობისათვის არასაკმარისი. ასეთ საფუძველს უნდა წარმოადგენდეს ზებუნებრივი ხასიათის გარეშე მიზეზი ანუ ღმერთი. მართალია არსებულის, ცოცხალის და შემმეცნებელი საფეხურებიდან ადამიანი სამივეს მოიცავს, მაგრამ, იგი არ არის ყოვლის შემძლე, რადგანაც მას არ შეუძლია ყველაფერი, რაც სურს; ეს შეუძლია მასზე ზემოთ მდგარს, ყოვლის შემძლეს და, როგორც უკვე გითხარი ეს ღმერთია. არ გჯერა? ახლავე დაგარწმუნებ, — და სავლემ გულზე დაკიდებული ჯვარი ამოიღო.

— უი, უი, ფშშ, — დაიფშვინა საზიზღარმა, და გაქრა.



- დოროზე ამოგელო ჯვარი, შე დალოცვილო, არ შევწუხდი ამ საზიზღრის ცქარით, — ჩუბად ჩაილაპარაკა კლდის ნატეხმა და შვებით ამოისუნთქა.
- მართლაც რომ, — გაისმა ხმა.
- ეს ვინდაა, — თითქმის ერთდროულად წარმოთქვეს კლდის ნტეხმა და თეთრწვერამ.
- მე ვარ ქარაოცა. შეიძლება დაგენახოთ?
- თეთრწვერამ, კლდის ნატეხს გახედა და ჰკითხა:
- ჩვენ გამოგვყვა?
- არ ვიცი. არა მგონია, — მორიდებით უპასუხა კლდის ნატეხმა.
- დაგვენახე, — მკაცრად მოიხმო სავლემ.
- კი ბატონო, — და ოთახის შუაგულში, უპვე ხორცშესხმული, წითელანაფორიანი, პირმშვენიერი ახალგაზრდა გამოჩნდა.
- საიდან გაჩნდი, — გაოცებას ვერ მალავდა თეთრწვერა.
- სწორად გამოიცანი, უდაბნოდან გამოგყევით. და, მინდა ვკითხო - კლდის ნატეხს, — და კლდის ნატეხის-კენ მიტრიალდა, — თეთრწვერას რომ არ წამოეყვანე უდაბნოში ქვიშათ გადაქცევა გერჩია? — არ დაელოდა კლდის ნატეხის პასუხს და თეთრწვერას მიმართა: — თქვენ, ჩემო პატივცემულო მოხუცო მინდა ჰკითხოთ:

სახეზე გატყობ წაგიხდა ნირი
 და ბრწყინვალება თვალში ჩაგიქრა.
 რაო მოხუცო, ბოროტმა სულმა,
 ხომ არ დაგჩაგრა?
 დაგიყოლია?
 მონად გაგხადა?



იქნებ კამათლით გიყარა წილი
და, ჯოჯოხეთისკენ გიბრუნა პირი?

თეთრწვერა ჩაფიქრდა და უპასუხა:

მე, კამათელი გამიგორა დემონმა სოფლად
და უდარდელი დარდით ჩემს თავზე მოთქვამს,
სურს ბოროტების მაქციოს მონად,
არ დაიშურებს ამისათვის გარჯას და შრომას.

ჯერ - შემომთავაზა თორმეტი ვერცხლი,
მერე, მეფობა და უდარდელი ცხოვრების წესი,
შემომთავაზა ოქროს სამოსი,
ბოლოს - ცხონება ბილწის საშოში.

მაგრამ, უვიცმა არ იცის,
რომ ჩემი ბედი
განსაზღვრულია

და
ჩემს სურვილებს განაგებს დმერთი,
ლმერთის მიერ მაქეს გაწერილი ცხოვრების წესი,
ასეთი მერგო ზეცისგან ხვედრი.

მაშ მეგობარო არ პქონდეს დარდი,
სულს ვერ წამიწყმედს უმგვანო ჩარჩი,
ვერ ჩამომართმევს პირობას - ფლიდი,
მე, არასოდეს გაგხვდები ბილწი.

ქარაოცას მოეწონა სავლეს ნათქვამი, და მორიდებით
მიმართა:

მესიამოვნა შენი ნათქვამი.
მჯერა! ის, ვერ იქნება შენი ამქარი,



ის მაცდურია, სულით ვაჭარი,
მოკლედ, რომ გითხრა არის ნაგავი.

თეთრწვერას აშკარად შეეტყო ახალგაზრდის მიმართ
კეთილი განწყობა. ისიც ახარებდა, რომ მეგობარი შეი-
ძინა. თანხმობის ნიშნათ გაუდიმა და უპასუხა:

ვიცი: მას ბევრი ცოდვა კისერზე აწევს
და ბევრ მამაკაცს დაუდო მახე,
სხვისი სიკეთე უსაზღვროთ სტანჯავს,
მზადაა - სიკეთეს მქნელი ააგოს სარზე.

ქარაოცამ, უკვე, დამაჯერებელი ხმით მიმართა:

პო-და შენ იცი,
მე, შენი მჯერა!
გახსოვდეს! – ცოდვების მქმნელი,
ტანჯვაში კვდება.

თეთრწვერას დაეტყო დამის დადლილობა და მორი-
დებით მიმართა ახლად შეძენილ მეგობარს:

შენ მართალი ხარ...
მაგრამ, გვეყოფა...
დღეს დავასრულოთ ჩვენი ბაასი,
და იმედია, ხვალაც შეგხვდები.

ფანჯრიდან დილის პირველმა შუქმა შემოანათა.
კლდის ნატეხმა ისევ იმ ოთკუთხედ სივრცისკენ გაა-
პარა მზერა, სადაც რამოდენიმე საათის წინ ცა, ვარს-



კვლავები და თავისუფლება დაინახა, ახლა კი მზეს სედავდა, და გაიფიქრა: „ჰო ქვიშად გადაქცევა მერჩია, აქ გამომწყვდევას... მაგრამ, თეთრწვერას რა ვუყო, ვერ მივატოვებ, ან მკითხა ვინმემ რამე, დამავლო ხელი და პირდაპირ აქ გამომაქანა”.



მოგონებების დილა

უანჯრიდან შემოპარულმა მზის პირველმა სხივმა ჩაძინებულ თეთრწვერას ღაწვები აუწვა, სავლეს სითბო ესიამოვნა, თვალები გაახილა, ოთახს მზერა შემოავლო, კლდის ნატეხს გახედა, გაუდიმა და პკითხა:

- სიმართლე მითხარი, უდაბნოში გერჩია დარჩენა?
- სიმართლე თუ გაინტერესებს, კი. – და, კლიდის ნატეხმა ერთი ისეც გაიფიქრა: „ჰმ, მგონი ვაწყენინე”.
- კარგი, როცა შევძლებ უკან დაგაბრუნებ, – და დამნაშავე მოძღვარივით ჩაქინდრა თავი, ცოტახანი ასე იჯდა, მერე წამოდგა, შვილიშვილების ოთახში შეიჭრიტა, პატარებს ჯერ კიდევ ეძინათ. უკან შემობრუნდა და ისევ სავარძელში ჩაეშვა.
- გახსოვს ჩემი მიმინო?
- როგორ არ მახსოვს, შენზე ისე იყო შეჩვეული, რომ წამითაც არ გცილდებოდა. – კლდის ნატეხს გაახსენდა უდალი ფერის მიმინო, ისიც გაახსენდა უვავების გუნდს როგორ დაერია, როცა მათ მისი ბარტყების გატაცება მოინდომეს და თვალწინ, ცოცხალი სურათივით წარმოუდგა, გაზაფხულის უჩვეულოდ ცხელი დღე: „სავლეს კლდის ჩრდილისათვის შეეფარა



თავი, შუადღის ლოცვა დამთავრებული პქონდა. მიმინო ამ დროს თავის ბარტყებს კეთავდა. სიცხე თანდათანობით მატულობდა და გაუსაძლისი ხდებოდა. მიმინომ დაამთავრა თუ არა ბარტყების გამოკეთა, სავლესთან დაეშვა და, როგორც ჩვეოდა, მარჯვენა მხარზე ჩამოუჯდა, ბრჭყალები ფრთხილად შემოაჭდო თეთრწვერას განიერ, მაგრამ გამხდარ მხრებს. მათ, ასე ერთად ყოფნა უყვარდათ, შეეძლოდ რამოდენიმე საათი განუძრევლად ყოფილიყვნენ და სივრცეში ეცქირად. მეგობრების ამგვარი ყოფა, შორიდან მომავალმა ჩხავილის ხმამ დაარღვია, რომელიც ხან გაქრებოდა და ხან კი ისევ გაისმოდა, მერე უცებ თითქოს სადღაც იყვნენო ჩასაფრებულები, საშინელი ჩხავილით, ფრთების ტყლაშუნით ყვავების უშველებელი გუნდი ერთიანად მოედო გარემოს. მიხვდა მიმინო რა საფრთხე შეიძლებოდა შექმნოდა მის ბარტყებს და გასროლილი ტყვიასავით შეფრინდა ყვავების გუნდში. სიმრავლით გაგულისებული ყვავები ეძგერნენ მიმინოს. ცაზე დიდი შავი ბურთი შეიკრა, რომლის შუაგულში მიმინო იყო. ამ შავ ბურთს დროდადრო მოწყდებოდა მიმინოსაგან განგმირული ყვავი, რომელიც ტყლაშანით დაეხეთქებოდა მიწას. ცოტახანში შავი ლაქა წყლის მორევს დაემსგავსა, რომელიც ნელა-ნელა ძირს, მიწისკენ ეშვებოდა. მიხვდა სავლე ცუდად იყო მიმინოს საქმე, თვალით გამოარჩია ყვავების გუნდში, შეამჩნია მარცხენა ფრთას ვეღარ ხმარობდა, მერე მისი ბარტყები გაახსენდა, ხელი დაავლო ჯოხს და კლდეზე აძვრა, დიდი წვალებით იმ ნაპრალის სათავემდე ავიდა, სადაც ბარტყები ეგულებოდა, ზურგით მიეყრდნო კლდეს, მარცხენა ხელით კლდის შვერილს მოეჭიდა, მარჯვენა ხელში კი ჯოხი



მოიმარჯვა - მოემზადა ყვავების მოსაგერიებლად. უეცრად სიჩუმე ჩამოვარდა, მიხედა ყველაფერს, და ჯონის ხელი უფრო მაგრად მოუჭირა. ცოტასანში, კლდის ქიმნის მარჯვენა მხრიდან ყვავების მთელი გუნდი გამოფრინდა, პირდაპირ სავლეს ეძგერნენ. სავლემ ჯონის უსტატური ქნევით პირველი შეტევა კარგად მოიგერია, დაახლოებით ცხრა ყვავი მოკლა. მეორე შეტევაც არ გამოუვიდათ ყვავებს, პირიქით, მათი დანაკლისი ორჯერ მეტი იყო და ყველა დანარჩენი შეტევაც უშედეგო აღმოჩნდა, თეთრწვერა ადგილიდანაც არ იძვროდა, ყვავებს ბარტყებთან მიახლოების საშუალებას არ აძლევდა. მიხედნენ ყვავები, რომ არაფერი გამოუვიდოდათ, თანაც დანაკლისი დიდი პქონდათ, მთელი გუნდიდან მხოლოდ ათი ყვავი თუ დარჩენილიყო, გაეცალნენ იქაურობას და ჩხავილ-ჩხავილით სადაც გაფრიდნენ. სავლე, ციცაბო კლდეზე გაჭირვებით დაეშვა, დაკორტნილ მიმინოს მიუახლოვდა, რომელიც ჯერ კიდევ სუნთქავდა. მიმინომ, იგრძნო სავლეს მოახლოება თვალები ძლიეს გაახილა, თავი წამოწია, აუინებით დააკვირდა სავლეს, სავლე მიუხვდა სათქმელს, ფრთხილად აიყვანა ხელში, ნაპრალთან მიიყვანა და ბარტყების ჭყივილი გააგონა, ესიამოვნა მიმინოს ბარტყების ხმა, თითქოს ძალა მოემატაო სხეული ერთიანად აუტოკრდა და მერე უცებ გაქვავდა. სავლემ, მიმინო იმ კლდის ძირას დაასაფლავა სადაც ერთად უყვარდათ ჯდომა". კლდის ნატეხს ისიც გაახსენდა თუ რა რუდუნებით უკლიდა სავლე ბარტყებს და ის მხიარული დღეც, როცა სავლე ბარტყებს ფრენას ასწავლიდა და, გულდაწყვეტაც, როცა ორივე ბარტყი ჰაერში აფრინდა,



კამარა შეკრეს ცაზე და დამშვიდობების გარეშე სად-ლაც გაფრიდნენ.

— ხომ გაგახსენდა ჩემი მიმინო? — ხელმეორედ გაუმეორა კითხვა სავლემ და თითქოს რადიო გადამცე-მის წამყვანია, ისე დაიწყო ამბის თხრობა: — შენ არ გეცოდინება, არ მომიყოლია შენთვის და ამიტომ... ერთ-ხელ, დაახლოებით შვიდი წლის წინ, მიმინო რომ დაკო-რტნეს ყვავებმა იმის შემდეგ ზუსტად ორი წელი იყო გასული, კაცების სვეტის მონასტერი უნდა მომენახულა და საოცარი ამბავი გადამხდა. განვაგრძო თხრობა, გაინტერესებს? — სავლემ შეატყო კლდის ნატეხს ყურა-დლება სადღაც სხვაგან გაქცეოდა.

— კი, ძალიან, — ფიქრიდან გამოერკვა კლდის ნატეხი და მთელი ყურადღება სავლესკენ მიმართა.

თეთრწვერამ განაგრძო:

— ნაბიჯის გადადგმა მინდოდა და ვერ ვდგამდი, მონუსხულივით ვიდექი, — გასაოცარი იღუმალებით ყვებოდა სავლე, თითქოს ყოველივე ახლა, ამ წუთში ხდებოდა. — წინ მედგა ყალყზე შემდგარი უშველებელი შავი გველი, ააა-და საცაა უნდა მცემოდა, სისხლი გამეყინა ძარღვებში, გონების მოქრეფა მაინც მოვახერ-ხე, მოვემზადე გვერდზე გადასახტომად. ჩემი მზერა მხოლოდ მასზე იყო მიმართული, უეცრად, მიწაზე ნათლივ დავინახე ორი მოზრდილი ფრინველის ჩრდი-ლი, წივილიც გავიგონე და, საოცრება, ორმა მიმინომ ჰაერში აიტაცა უხსენებელი და შუაში გახლიჩეს, მერე თავზე შემომიფრინეს და გაფრინდნენ.

— ვაიმე, — გაოცება ვერ დამალა კლდის ნატეხმა.



— პოო, მიხვდი ალბათ, ჩემი გამოზრდილი ბარტყები იყენებ, — სავლეს სასიამოვნო გრძნობამ დაურბინა სხეულში.

— საოცარი გრძნობაა ვალდებულება, ის სიყვარულზე უფრო მაღლა დგას, — და კლდის ნატეხს მამა ვაჩე გაახსენდა. — გახსოვს წმინდა მამა ვაჩე? — პკითხა კლდის ნატეხმა სავლეს.

— მახსოვს, აბა არ მახსოვს. ის ყველაზე ნიჭიერი მოწაფე იყო, ჩემს მოწაფეებს შორის. რატომ გაგახსენდა? — დაინტერესდა სავლე.

— მოვალეობასთან დაკავშირებით. ზოგს პგონია, რომ მოვალეობა ეს დამამცირებელი გრძნობაა, ჩემი მოსაზრებით არა, — კლდის ნატეხი ჩაფიქრდა და განაგრძო საუბარი: — მოვალეობა ადამიანს, და არა მარტო ადამიანს, არამედ ყველა სულიერს აიძულებს შეიყვაროს ის, რაიმე ან ვინმე, რომლის მიმართაც მსგავსი გრძნობა არ გააჩნდა, ან კიდევ უფრო უარესი - სიძულვილი გააჩნია. დედას, ბავშვის გაჩენა ტკივილს აყენებს, წესით უნდა ძულდეს ჩვილი, მაგრამ, დედა-შვილური ვალდებულება მასში იმ სიყვარულს უბრუნებს, რომელიც მას მთელი ცხრა თვე პქონდა ბავშვის მიმართ, როცა მუცლით ატარებდა.

— მაშასადამე, სიყვარული წინ უსწრებს მოვალეობას, — საუბარი შეაწყვეტინა სავლემ კლდის ნატეხს.

— არა ჩემო ბატონო, რა რომელს, ან ვინ რომელს უსწრებს წინ, ეს ძნელი დასადგენია. და, საერთოდ, თუ მოვალეობა სიყვარულის შემდგომია, ეს ცუდია. პო-და, რატომ გამახსენდა ვაჩე იცი? ჩემი ყურით გავიგონე როგორ შეუნდო ცოდვები აღსარებაზე მოსულ ქურდს, რომელიც უყვებოდა მისი მშობლების მკვლელობის



ამბავს, თუ როგორ წაასწრეს ქურდობაზე და როგორ მოკლა ჯერ ქალი, მერე კაცი, და თან, ცოდვების მიტე-ვებას თხოვდა. მოვალეობამ დაძლია მის გულში დანოე-ბული შურისძიების ცეცხლი. აი, როგორი ძლიერია მო-ვალეობა.

— ვაჩეში ქრისტეს სიყვარულმა გაიმარჯვა, — დიმი-ლით უპასუხა სავლემ.

— სიყვარული, სიყვარული, რა დაგიჩემებია. მე რა სიყვარულს კი არ ვუარყოფ, უბრალოდ, სხვა რამეს, უფრო მნიშვნელოვანს გიმტკიცებ. გინდა კარგი ამბავი მოგიყვე?

— მოყევი სანამ პატარებს არ გაუღვიძიათ, — მშვიდათ უპასუხა სავლემ.

კლდის ნატეხმა თხრობა დაიწყო:

ზღვაზე, ქალაქ ქობულეთში ისვენებდნენ: ბიძა და მისი დისტვილები, დედა - დიშვილების ბებია და, და - დიშვილების დედა. უმცროსმა დისტვილმა ცურვა არ იცოდა, თან ასაკითაც პატარა იყო, სულ ათი წლის თუ იქნებოდა. ბიძას თევზაობა უყვარდა და უმცროსი დიშვილი ყოველთვის თან დაჟყავდა, მასაც უყიდა სათევზაო მოწყობილობა. ერთხელ ზღვაში შეჭრილ კლდეზე დასვა და დაარიგა: „კლდის ნაპირს არ მიუახლოვდე“. - ზღვაში რომ არ ჩავარდნილიყო. მაგრამ, ბავშვი თევზაობით გაერთო, ბიძას დარიგება დაავიწყდა, კლდის პირს მიუახლოვდა, რომელიც მუდმივი სისველის გამო მოსლიპული იყო, ფეხი დაუცურდა და წყალში ჩავარდა, ეს ყველაფერი ბიძამ დაინახა, ტანსა-ცმელიანი გადახტა ზღვაში და ბეწვზე მიუსწრო უმცროს დიშვილს, რომელიც უკვე იძირებოდა. დამე, ბიძას ნერვიულობისაგან სიცხემ აუწია. მეორე დღეს



როცა ამ ამბის მხილველებმა ჰქითხეს: „ინსტიქტის გამო გადახტი... თუ ძალიან გიყვარს და ამიტომო?” ბიძამ უპასუხა: „მოვალეობის გამო”.

— შენ საიდან იცი ეს ამბავი, ზღვაზე არასოდეს ყოფილხარ და?... — ჰქითხა სავლემ.

— ქარით მოტანილმა ზღვის ქვიშამ მომიყვა, — ცოტა გაპვირვებულმა უპასუხა კლდის ნატეხმა, და სახეზე მთელი წინადადება „დაეწერა”: „ვითომდაც რა, შენ თუ მოგდის ამბები, მე რა მოწყვეტილი ვარ ამ სამყაროს”.

— გინდა ზღვის ქვიშაზე და გაზაფხულზე ლექსი წაგიკითხო? — თეთრწვერა არ დაელოდა თანხმობას, წამოდგა წიგნების თაროდან, ლურჯყდიანი წიგნი აიღო, დაპირებული ლექსი იპოვა და კითხვას შეუდგა:

ზღვამ ქვიშა ნაპირზე გამოფქვა,
 იქვე, კლდის ძირში მიყარ-მოყარა,
 მზემ შემოსძახა ჰოოპუნა!
 თურმე, გაზაფხული დამდგარა.
 ფერები ერთმანეთში აირია,
 შეიქმნა უსაშველო რია-რია,
 ყვავილი ყვავილს ჩააუინდა,
 ყურში ჩასჩურჩულებს: - მინდა.
 ჩიტები აირივნენ, აწრიალდნენ,
 თითქოს აგვიანდებათო სადღაც,
 მერე, ერთმანეთს დაედევნენ,
 ტოლი არ დაუდეს ქარსაც.
 ქარმა აისრულა განზრახვა,
 ზღვის ნაპირს მოსტაცა ქვიშა,
 გზაში უცნობ ქალს დაეწია,
 ქვიშით ამოუგსო კალთა.



„ოჲ, ეს რა მომხდარაო” -
კაცმა გაიკეირვა,
პეშვით ამოხაპა ქვიშა,
ირგვლივ ყველაფერი აირია,
ჰაერი გაიუღინთა დენთით,
სურვილი აფეთქდა,
გახეთქა -
ღვინით ავსებული ქვევრი,
„გაზაფხული მთლად გადარეულა” -
ასე ამბობენ ჩვენში.

- მოგეწონა? - ჰყითხა სავლემ კლდის ნატეხს.
- არაუშავს. ჰო მართლა, ძალიან ხომ არ გაუგრძელდათ ძილი ჰატარებს. ჰმ, ალბათ ტკბილ სიზმრებს ნახულობენ.

და, მართლაც, ანდრია ხედავდა ვარდისფრად დაფიფქილ ალუბლების ბალს; ის, ხეებს შორის მსუბუქათ დაფრინავდა, ყვავილების სურნელება მის წარმოსახვას უფრო ამძაფრებდა და ეჩვენებოდა, რომ ხეებიც მასთან ერთად დაფრინავდნენ. თითქოს ქარმაც დაუბერა, ხეებს ყვავილის ფურცლები მოსტაცა, დაატრიალა, ერთად შეკრა - გამჭვირვალე ბურთებად, შემდეგ ამ ბურთებმა ადამიანის გამოსახულება მიიღეს. - დედა! მამა! - ანდრია მათკენ გაქანდა, ხან ერთს ეხვეოდა, ხან მეორეს. გრძნობდა, რომ ყველაზე უფრო დედა მონატრებოდა, მაგრად ჩაეკრა, შუბლზე დედის თბილი კოცნა იგრძნო, ხელი მოისვა და რაღაც თბილს, მაგრამ ძლიერს შექმნა, ხელი ჩაავლო, მოუჭირა, თვითონაც იგრძნო ფრთხილი მოჭერა, მერე, თითქოს სხვა, შორეულ სამყაროდან, ხმა შემოესმა:



- გაიღვიძე ბაბუ,
- დილა მშვიდობის, — მიესალმა, და ბაბუას ხელი ლოყასთან ჩამოიცურა. — იცი, დედა და მამა ვნახე სიზმარში, — სევდიანი ხმით ამცნო, და უმცროს ძმას გადახედა, რომელსაც გვერდით მდგარ საწოლში მშვიდათ ეძინა.
- ადექი, თორემ სკოლაში დაგაგვიანდებათ. ხომ იცი, ის, პირველკლასელიც შენი წასაყვანია. ანდრიასა და დაჩის შორის ხუთი წელი იყო განსხვავება.
- კარგი ბაბუ... შენ საღმე მიდიხარ? — პასუხი, რომ ვერ მიიღო ეწყინა, ლოგინიდან ზლაზვნა-ზლაზვნით წამოდგა და უმცროს ძმას დაადგა თავზე.
- ეი, მეამბოხე ადექი, — ამ სიტყვებზე დაჩიმ თვალები დაჭყიტა და უფროსი ძმა, რომ დაინახა გაუხარდა, ხელები მისკენ გაიშვირა, ანდრია დაიხარა და ძმები ერთმანეთს ჩაეხუტნენ.
- ამის შემყურე სავლე, აღელდა, თავისი ბავშვობა გაახსენდა, თავისი და.
- კარგით, დროზე ადექით, თორემ დაგაგვიანდებათ,
- სავლემ, ფანჯრისკენ გაიხედა საიდანაც მენაგვე ტიმოთეს ხმა ისმოდა, და ფიქრი ისევ თავის დისკენ გაექცა.

თავისი განვითარების მიზანი

სავლეს და - მაია

მაია, სავლეზე შვიდი წლით უფროსი იყო. ახალგაზრდობაში მას ლია თაფლისფერი თვალები და წაბლისუერი თმა ამშვენებდა, მაღალ ფეხებზე იდგა, გამოხე-



დგა იდუმალი და ამასთან თბილი, ცხვირი ოდნავ კეხიანი, ტუჩემი იმდენად ვარდისფერი ჰქონდა, რომ ტუჩისაცხის წასმა არ სჭირდებოდა, მაგრამ, მისი ყველაზე უფრო დიდი მშვენება იყო ორი ბორცვი, რომლებიც ამაყი, ბრძოლაში გამარჯვებული და ხელმეორე შერკინებისათვის მზად მყოფი მხედრებივით იმზირებოდნენ. მაია, სილამაზესთან ერთად, თავისი განათლებითაც იყო გამორჩეული, ხელოვნებათმცოდნეობაში ჰქონდა დაცული საღოქტორო, კარგადაც ხატავდა, განსაკუთრებით ფერწერა იზიდავდა, ძალიან ხშირად ბუნებას ხატავდა, სურდა მისი ფერთა სამყარო შეეცნო, ამიტომაც მთას მიაშურა - სვანეთს, იქ სვანზე გათხოვდა სამი ვაჟი და ერთი ქალი აჩუქა მეუღლეს და ბედნიერად ცხოვრობდა, მხოლოდ ეს იყო სავლე - უმცროსი ძმა ძალიან ენატრებოდა, ეს მიუხედავად იმისა რომ ხშირად ჩამოდიოდა მის სანახავად; ბოლო დროს ძალიან გაუგრძელდა უნახავობა - ასაკმა სძლია, მაგრამ, დრომ მის სილამაზეს ვერაფერი დააკლო, პირიქით მგზნებარე სილამაზე, სინატიფეში გადაეზარდა, აი მხოლოდ თმები გაუთეთოდა. თმებს არ იღებავდა - ასე ამბობდა: „ბუნება ბატონია, და იცის გაზაფხულის და შემოდგომის მადლი“. მაიას ჩამოუსვლელობა სავლესაც ადარდებდა, თუმცა ტელეფონით ხშირად ესაუბრებოდა, თითქმის ყოველ საღამოს და, ერთმანეთის ამბებს გებულობდნენ. სავლესი არ იყოს მაიასაც ორი შვილი-შვილი ჰყავდა ერთი გოგონასაგან და ერთი უფროსი ვაჟისგან, შუათანა და უმცროს ბიჭებს ჯერ ოჯახი არ შეექმნათ. მთასვლელობდნენ და იმის იქით არც იყურებოდნენ; ეს იყო მხოლოდ, ერთი დარდი გაჩენოდათ ძმებს, და ეს დარდი იყო მიზეზი მათი მალულად



ბარში ჩამოსვლის; იმედი ჰქონდათ იქნებ გადაყროდნენ ბიძაშვილის და რძლის მკვლელებს, საყვარელი ადამიანების მკვლელობის დარღი აწუხებდათ - შურისძიება წყუროდათ. მათ ამ წადილს მაია ხვდებოდა, მაგრამ ერთხელაც არ წამოცდენია: „შვილებო ეს არ ქნაოთ”, ის კი არა, ლამის თვითონაც დაეწყო იმ უღმერთოების ძებნა, მაგრამ, ვერ ბედავდა მამაკაცებისათვის პირველობის წარომევას... თანაც სჯეროდა, რომ მაინც იპოვიდნენ შვილები იმ უჯიშოებს და...

გარდა ადამიანური ლირსებებისა მაიას, ადამიანების შარავანდედის ხედვის უნარიც გააჩნდა, ამდენად ადგილად არჩევდა კეთილს და ბოროტს, ერთხელ ერთ-ერთ უნივერსიტეტში მოუწია მისვლა, მისი მეგობრის შვილის - თეას, უფლებების დასაცავად, მაიას, დიდი ავტორიტეტი ჰქონდა ქალაქში, ამდენად მისი მისვლა უნივერსიტეტში თან გაუხარდათ, და თან არა. საქმის არსი შემდეგში მდგომარეობდა: თეას არ უნიშნავდნენ სადოქტოროს დაცვის თარიღს, ეს მიუხედავად იმისა, რომ მას სადოქტორო თემა დაწერილი ჰქონდა და თემასთან დაკავშირებით დადებითი რეცენზიებიც ჰქონდა მიღებული, აშეკარა იყო რომ დეკანს ავით ჯაჯლაჯლანიას და იქ „ქურდათ“ მომჯდარ მამა-შვილს ნინონი და რხევაზი ხარბი-ავების ფულის ინტერესები ამოძრავებდათ ანუ ქრთამი, და მათ, ამისათვის, მოხერხებული გეგმა ჰქონდათ შემუშავებული, რომელიც ასე იყო აგებული: დოქტორანტს, ხელმძღვანელად უნიშნავდნენ თავის კაცს - თავის თანამზრახველს, რომელიც ყელანაირად ცდილობდა სადოქტორო თემის დაკინებას და როცა სადოქტოროს დაცვის დღე მოახლოვდებოდა, დოქტორანტს ულტიმატუმს წაუყენებდნენ: „თემა დახვე-



წას მოითხოვს, ამისათვის კიდევ გჭირდებათ დრო, ხოლო დამატებითი საკონსულტაციო დროისათვის უნდა გადაიხადოთ ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში დაცვაზე არ დაიშვებით". მიზეზი: - თემა დასახვეჭია. მაია, ამ „პროფესორებს", როგორც კი შეხვდა, იმწუთშივე შეამჩნია თავზე დამდგარი შავი ფერის შარავანდედი, განსაკუთრებით უმჩნეოდა რხევაზ ხარბი-ავას და ამიტომაც არ გაკვირვებია მათი მლიქვნელური ქცევა. მოუსმინა მათ საუბარს და როცა დაასრულეს, გადაჭრით მოითხოვა სადოქტოროს დაცვის თარიღის დანიშვნა. ვერ შეეწინააღმდეგნენ და დაცვის თარიღი დანიშვნეს. თეამ, დისერტაცია წარმატებით დაიცვა.

დაახლოებით, მსგავსი ამბავი, მაიას, გადახდა ჯვრის ულელტეხილზე, ზამთარი იყო, ყინვას გზა მოეუინა, მანქანებს მოძრაობა უჭირდათ, ერთი მამაკაცი, თეთრი მერსედესით, ცდილობდა ყველას დახმარებოდა. აქეთ მიღებოდა, იქით მიღებოდა, რჩევას აძლევდა ყველას, თანაც იქ მყოფო, თავის სახელსა და გვარს აცნობდა: „მე ჩახტანგ ანთია გარ, ადამიანი რომელსაც დახმარება უყვარს". მაიამ, ახლაც ნათლად დაინახა შავი შარავანდედი მის თავზე, მაგრამ ის უკვირდა რატომ ირჯებოდა ასე, ეს ვიდაც ჩახტანგი და როცა იგივე შეთავაზებით საჭესთან მჯდარ მის მეუღლეს მიუახლოვდა, მაიამ კითხა: – „ბოდიში, თქვენ არჩევნებში, ხომ არ იღებთ მონაწილეობას? რაღაც თქვენი სახე მეცნობა", – მოიტყუა, და პასუხს დაელოდა. უცნობი ჯერ შეცბა, და მერე უპასუხა: – „განა სიკეთის კეთებას რაიმე მიზეზი სჭირდება". პასუხმა გააკვირვა, მაგრამ, ცნობისმოყვარეობა ამით უფრო გაუმძაფრდა, მაიას - აინტერესებდა მისი უცაბედი კითხვა ქვეცნობიერებიდან აღმოცენებუ-



ლი, სიმართლეს შეესაბამებოდა თუ არა, მოგვიანებით გამოიკვლია, და აღმოჩნდა რომ, ეს ფარისეველი მართლაც იყრიდა კენჭს დეპუტატობაზე. მსგავსი, და სხვა შემთხვევები მაიას ცხოვრებაში ბევრი პქონდა, მაგრამ ამან მისი კეთილი ბუნება ვერ შეცვალა. დღე-საც მის თვალებში სათხოება ანათებდა, აი მხოლოდ ზოგჯერ თუ გადაურბენდა შურისძიების ჩრდილი და ისე ძლიერად, რომ სახე სასტიკი უხდებოდა - ძმაზე უფრო, მას ძმიშვილი უყვარდა, ან როგორ არ უნდა ყვარებოდა ის ვინც გარეგნობითაც და სულითაც მშვენიერი იყო, ადამიანი რომელსაც სიკეთის კეთების გარდა სხვა არაფერი სურდა.



ძმები სკოლისკენ მიიჩქარიან

დაჩიმ და ანდრიამ მენაგვე ტიმოთეს გვერდით ჩაუარეს. ტიმოთემ, ერთი კი გახედა ქუჩაში მიმავალ ძმებს, და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— იძერიელები, — და თავისი საქმე განაგრძო. ცოცხეს ცელივით იქნევდა, ნაგავს ხან ერთ მხარეს მიაყრიდა, ხან მეორე მხარეს და, მერე, მეორე განზომილებაში გააქანებდა. ნაგავი, მეორე განზომილებიდან პიველში იყრებოდა, და როგორც წინა დღეებში, ტრიალებდა განზომილებებს შორის. ეს უსასრულობა სასურლში არ გადადიოდა, რამეთუ ადამიანს ყოველთვის ხიბლავდა ის რაც აკრძალულია; ამასთან, როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს ნაგავი ძაგს, და ცდილობს სამყაროს მისგან



განთავისუფლებას, იმედი კი დიდია, სწორედ ამ იმედით იქნევს ცოცხს ტიმოთეც, და თან ლექს ამბობს:

ერის მცდელობა მიაღწევს მიზანს,
ხე გამოიღებს სიკეთის ნაყოფს,
შუქი გალოპრავს გალიაულ ბნელეთს,
გიორგი აუთით განგმირავს ურჩეულს.
იქსო აწყავს ოშილ სურვილს,
გუთანი მოხნავს ნაწვერალ მინდორს,
კალო ჩამოფქვავს საკუთარ მზითვებს -
ნაჭირნახულევს დაუდებს ბინას.
მამაო მოსხეას ალორთქილ ნატვრას,
ვაჟი მიართმევს გოგონას ალავს,
შუქი ნათელი აავსებს საშოს
და აღსრულდება! აღთქმა - მეორედ მოსვლის!

- მე, ძალიან მომწონს ჩვენი მენაგვე, - დაჩიმ ახედა თავის უფროს ძმას, რომელსაც ფიქრი სულ სხვაგან გაბცეოდა, გული კი სურვილს აეტაცა, სურვილი ლამაზი გოგონას ხილვის, რომელიც თითქმის ყოველ დილით ხვდებოდა სკოლაში მიმავალს და, რომელიც გულში ჩავარდნოდა, იქ ბუდე დაედო და ფორიაქობდა.

ღიმილმა სიცრცე გააპო, და ანდრიას შეეჯახა:

- ის არის. - უამრავ ხალხში დაინახა ანდრიამ თავისი გულის დამტყვევებელი: - რატომ მიღიმის? ააა, ესე იგი იმანაც შემამჩნია. - და, ანდრიას გულმა, ბაგაბუგი ატეხა.

უცნობი გოგონა რაც უფრო უახლოვდებოდა ანდრიას, ღიმილი სახეზე მით უფრო და უფრო უფერმქოთა-



ლლდებოდა, ხოლო სახის გამომეტყველება მკაცრი უხდებოდა; ყველა ნაკეთზე ეწერა: – "აი, კი გამჩნევ, მაგრამ ფრთხილად იყავი ვარდივით ეპლიანი ვარ". და, როცა ჩაუარა, უკან გამოხედა და გაბრაზების მიზნით, მომხიბლავი ლიმილი ესროლა, შემდეგი მინაწერით: – "ააა, ხომ შეგაშინე". მერე, მამას იმედიანად ახედა და რონინი უფრო დამაჯერებელი გაუხდა.

ანდრიას, ამ დილამდე ეგონა, რომ გოგონა მას ვერ ამჩნევდა - თურმე კი. ამ გარემოებამ ძალიან გაახარა.

– ანდრია! – დაჩიმ ძმა სკვერისკენ მიატრიალა, – შეხედე ის მაწანწალა ძაღლი, გუშინწინ, რომ აგვეკიდა, ისევ იქ არის.

– კავკასიური ნაგაზია, – მოკლედ უპასუხა ანდრიამ, რომლის ფიქრები ჯერ კიდევ იმ უცნობ გოგონას ირგვლივ ტრიალებდა.

– ჩვენსკენ წამოვიდა, – დაჩიმ ძმა გააჩერა და ძაღლის მრახლოებას დაელოდა.

თეთრი ფერის, ბობმბორა ნაგაზი ძმებს მიუახლოვდა, ორივე დაყნოსა და ფეხებთან გაუწვა. ძმებმა ერთმანეთს შეხედეს და გზა განაგრძეს, ბობმბორა უკან აედევნა, როცა ქუჩის გადასასვლელს მიუახლოვდნენ, ძაღლმა, უქნიდან, ფრთხილად, პირი ჩაავლო ანდრიას შარვლის ტოტს, ანდრია გაჩერდა, დაჩიც. ორივე ძმამ გაპვირვებულებმა შეხედეს ბობმბორას, ძაღლმა პირი უშვა ანდრიას შარვალს და ძმებს ისევ გაუწვა ფეხებში. უეცრად, მოსახვევში, დიდი სისწრაფით მანქანა შემოვარდა, ქუჩის სავალ ნაწილზე ახტა და ხეს შეეჯახა.

ამ შემთხვევამ ძმები გააოგნა.



— ანდრია! ძაღლმა იგრძნო ხიფათი... გადაგვარჩინა, — უცბად გააცნობიერა დაჩიმ.

— მართლაც, ერთი ნაბიჯით წინ, რომ ვყოფილიყავით ეს მანქანა ჩვენ დაგვეჯახებოდა. — და ანდრიამ შინდის-ფერ მანქანას გახედა, საიდანაც ხალხმა ორი მთვრალი ახალგაზრდა ბიჭი გადმოიყვანა — საბედნიეროდ უვნებლად გადარჩინილები.

— ანდრო, ეს ძაღლი სახლში უნდა წავიყვანოთ, — თხოვნით მიმართა დაჩიმ უფროს ძმას.

— რამდენჯერ გითხარი ანდრო არ დამიძახო. ანდრია დამიძახე, ვააა, რით ვერ გაიგე, — გაბრაზებით მიმართა უმცროს ძმას ძმამ.

დაჩის გაეცინა, იცოდა ძმის გაბრაზება წამიერი იყო. აცალა და, ხელმეორედ გაბრაზების მიზნით რამოდენი-მეჯერ მიმართა:

— ანდრო, ანდრო. — დაჩის უკვე დავიწყნოდა ხიფათი, რომელიც რამოდენიმე წუთის წინ არსებობდა.

ანდრია, მიუხვდა ძმას ეშმაკობა, გაეცინა, მიეფერა და ალერსიანად მიმართა:

— წამოდი გინდა ძაღლს მოწუწნუპი გუშიდოთ.

— კი, — მოკლედ უპასუხა დაჩიმ, და დაამატა: — ოღონდ შენი ფულით.

— გამომძალველო! — ხუმრობით შეუდრინა ანდრიამ ძმას.

— ჰა, ჰა, ჰა, — გაეცინა დაჩის, რომელიც სულ თამა-შისათვის იყო მომართული.

— რა შევარქვათ? — იკითხა ანდრიამ.

— რასაკვირველია ბომბორა. შეხედე განა ბომბორა არაა? — გაპვირვებულმა აღნიშნა დაჩიმ.



— წამოდი დროზე ვუყიდოთ მოწუწნუკი, — დააჩქარა ანდრიამ.

— წავიდეთ, — და დაჩიც აპყვა ანდრიას ჩქარ ნაბიჯს, ბობნბორაც აედევნათ.

სასურსათო მაღაზიაში შესულმა ანდრიამ გამყიდველს მიმართა:

- თუ შეიძლება, ორი მოწუწნუკი.
- რა მოწუწნუკი, — გაბრაზება შეეტყო ახალგაზრდა გოგონას.

— სოსისკი, სოსისკი, — მიაყარა დაჩიმ.
— მერე, მითხარით წესიერად... რატომ მეუზრდელებით?! — გოგონამ დასარტყმელად მომარჯვებული ჯოხი ისევ ადგილზე დააბრუნა. ორი მოწუწნუკი აწონა და ანდრიას მიაწოდა. ანდრიამ გამოართვა, გადაიხადა მოწუწნუკის ლირებულება და სასწრაფოთ იქაურობას გაეცალა. გარეთ გამოსულმა აღმოაჩინა, რომ დაჩი თან არ ახლდა, უკან შებრუნდა და სასაცილო გარემოების შეესწრო:

— სოსისკს იბერიულად მოწუწნუკი ქვია, — უხსნიდა დაჩი გამყიდველ გოგონას, — ამხელა ადამიანი ბრძანდებით და არ უნდა იცოდეთ?! — დაჩის ამ დამრიგებლურ გამოსვლას, რამოდენიმე ქალბატონმა აუბა მხარი, განსაკუთრებით ხანში შესულმა ქალმა გამოიდო თავი, რომელსაც მასწავლებლის იერი ჰქონდა და მონოტონურად საუბრობდა:

- მართლაც, ჩვენ თუ არ გავუფრთხილდით ჩვენი ენის სიწმინდეს, სხვა ვინ გაურთხილდება?
- გეთანხმებით, — დაეთანხმა შედარებით დაბალი ტანის ქალბატონი.



— ჩვენი ენა უუძველესია და იმის მაგივრად სხვები სესხულობდნენ ჩვენგან სიტყვებს... არა ჩვენ უნდა ვაკეთებდეთ ამას... — ირონიულად აღნიშნა მასწავლებლის იერის მქონე ქალბატონმა და დაამატა, — რა გვჭირს რა? ინგლისური, ოუსული... ამ ენებზე ბევრად უფრო ძველია იბერიული, ჩვენ კი ვცდილობთ უცხო ენაზე ვისაუბროთ, უცხო ენებიდან ვიღებთ სიტყვებს. — პირველობას არ თმობდა, და თან ხელით თავზე ეალერსებოდა დაჩის.

ანდრიამ ცოტახანი უცქირა მიმდინარე პროცესს და, მერე, ბოდიშის მოხდით, მმა გარეთ გამოიყვანა — მართალია დაჩის არ სურდა დაეტოვებინა ის ვითარება სადაც პროცესის მთავარი გმირი იყო, მაგრამ მმას დაემორჩილა.

— რა დაგემართა?... დაგავიწყდა ძაღლს, რომ უნდა ვაჭამოთ? — უსაყვედურა ანდრიამ.

— არა, მაგრამ საინტერესო იყო, თუ როგორ იღვიძებდა ადამიანებში დავიწყებული გრძნობა.

— პატივისცემა მშობლიური ენის მიმართ?

— ჰოო, — დაჩის ამ თანხმობას ბომბორაც დაეთანხმა - ხანმოკლე, დაბალი ყეფით, თან მოწუწნუქს გახედა, იმ აზრით, რომ: — „ბოლო, ბოლო მაჭმევო თუ არა?”

ძმები, ბომბორას გულისთქმას მიუხვდნენ:

— ანდრია აჭამე. ნახე როგორ გიყურებს. — დაჩიმ არ აცალა მმას, ხელიდან გამოსტაცა ქაღალდში გახევული მოწუწნუქი, გაშალა და ბომბორას მიწაზე დაუდო. ძაღლმა უცებ გადასანსლა. აშკარა იყო მოწუწნუქი არ ეყო.



— ჩემს საუზმეს ვაჭმევ, — და დაჩიმ სკოლის ჩანთი-დან, ქადალდში გახვეული პური და ყველის ნაჭერი ამოიღო.

— არა ჩემსას ვაჭმევ, შენ შეინახე მოგშივდება სკოლაში, — არ დაუთმო უმცროს ძმას უფროსმა, უკან შეანახინა და ბომბორას თავისი საუზმე მიწაზე გაუშალა, ძაღლმა ჯერ დაყნოსა და ისიც ერთ წამში შესანსლა.

მმებმა ერთმანეთს შეხედეს. გაეღიმათ. დაჩიმ ისევ ამოიღო თავისი საუზმე და ბომბორას წინ დაუდო. ბომბორამ დაჩის საუზმეც გააქრო. მმები უკვე ხმამაღლად იცინოდნენ, ძაღლი კი მხიარულად, ხალისიანი ყეფით, ხან ერთს მიახტებოდა, ხან მეორეს.

— დაჩი დაგვაგვიანდება სკოლაში, — უმცრად გაახსენდა ანდრიას, რომ სკოლაში იყვნენ წასავლელები, ძმას ხელი ჩავლო, მაგრამ მისი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, დაჩის ძაღლთან თამაში ერჩია. — დაჩი დაგვაგვიანდება, — კიდევ ერთხელ გაუმეორა ძმას, მაგრამ, ამჟამად ბომბორამ დაავლო პირი დაჩის ჩანთას და სადღაც გაარბენინა.

მმები, ძაღლს დაედევნენ. ბომბორა დროდადრო ჩერდებოდა, მმებს გახედავდა, დაელოდებოდა, და როცა მიუახლოვდებოდნენ, ისევ გაიქცეოდა, მმებიც უკან დაედევნებოდნენ, ასე სირბილ-სირბილით, მმები, ორსართულიანი სახლის სადარბაზოსთან აღმოჩნდნენ, ბომბორა გაჩერდა, ისევ დაელოდა მმებს და იგივე ხრიკით სადარბაზოში შეიტყუა და კიბეებზე, პირველ სართულზე აიძულა ასვლა. ბომბორამ, ჩანთა ყავისფრად შეღებილ კარებთან დადო და, რამოდენიმეჯერ დაიყეფა, კარი გაიღო და გასაოცარი სილამაზის, ახალგაზრდა



ქალბატონმა, დაახლოებით, ასე ოცდაათი წლისამ, გაღებულ კარიდან გამოიხედა. ქალის სილამაზით განცვიფრებული ბავშვები, ადგილზე გაქვავდნენ:

— ქალბატონო ჩვენ შემთხვევით აღმოგჩნდით თქვენს კარებთან, — გამბედაობა მოიკრიბა ანდრიამ.

— ბონბორა ჩვენი მეგობარია... ჩანთა მომტაცა და უკან დავედევნეთ, — ძმის გამბედაობამ, ძალა დაჩისაც შემატა.

— არა, შემთხვევით არაფერი არ ხდება. ბომბორამ, თქვენ აგირჩიათ მეგობრებად და ამიტომაც აღმოჩნდით აქ. მობრძანდით, — და ქალბატონმა ძმები ბინაში მიიპატიჟა.

— თქვენც ბომბორას უძახით? — გაკვირვებულმა ჰკი-თხა დაჩიმ.

— ასე ქვია-და, — დიმილით უპასუხა ქალბატონმა.

ძმები მორიდებულად შევიდნენ ბინაში, რომელიც ერთი ოთახიდან შედგებოდა, ოთახს ფანჯრები არ გააჩნდა, და მიუხედავად ამისა მზის შუქით იყო სავსე. ოთახის კედლის ერთ მხარეს ოქროსფერი კარი იყო, ხოლო მეორე მხარეს ვერცხლისფერი, ორივე კარი გასაოცარ შუქს ანათებდა. ოთახის შუაგულში სამი სავარძელი იდგა, შუაში კი პატარა მაგიდა, მაგიდის ფეხებთან ნაცნობი ბომბორა წამოწოლილიყო.

— მობრძანდით, მობრძანდით, — და ქალბატონმა ბავშვები ოთახში შეიყვანა და სავარძლებში ჩასხდომა სთხოვა. ძმებიც დაემორჩილნენ.

— ეს რა უცნაური კარებია? — იკითხა ანდრიამ, თან უხერხულობა იგრძნო თავისი ცნობისმოყვარეობის გამო.



— ოქროსფერი კარი წარსულის კარია, ვერცხლის-ფერი კი მომავლის, — უპასუხა ქალბატონმა და თავისი სახელი გააცნო: — მე, მარიამი მქვია. — და, ცოტათი დაყოვნების შემდეგ პკითხა: — თქვენ რა პქვიათ?

— დაჩი, — დაასწრო უფროს ძმას, და გემრიელად ჩაიხითხითა.

— ანდრია, — უპასუხა ანდრიამ და თავი ვერ შეიკავა: — ძალიან ლამაზი ხარ.

მართლაც, უცნობ ქალბატონს ღია წაბლისფერი თმა ამშვენებდა, ტუჩები მზის სხივებით დახეთქილ ბრო-წეულს უგავდა. თვალები, უკიდეგანო ლურჯ ტბასავით ჩაძირულიყო შავი ფერის აპრეხილ წამწამებს შორის. წარბები მუქი წაბლისფერი, ფერწერული ტილოს ბოლო შტრიხივით საფეთქელამდე გარტყოცნილიყო. ოდნავ კეხიან ცხვირს პატარა, დაბერილი ნესტოები ამშვენებდა. მაღალ კისერს ისე მოხდენილად ეჭირა თავი, რომ გარდის კოკორსაც კი შეშურდებოდა. მხრები სწორი, ბოლოში ოდნავ ქვევით დაქანებული. ტანი იმდენად ჰაეროვანი და წელში გამოყვანილი ჰქუნდა, რომ ლერ-წამიც კი ინატრებდა მსგავს ჰაეროვნებას. ტანს ორი მშვენიერი მგერდი ამშვენებდა, რომლებიც ამოხეთქილი ვულკანივით ბობოქრობდა, და ეს მშვენიერება მაღალ ალვის ხის სადარ ფეხებზე დაშენებულიყო, მგძნობიარე თეძოების დახმარებით. ასეთი იყო მარიამი როგორც ქალი, მაგრამ ის უპირველეს ყოვლისა იბერიელთა დედა იყო და, მის თვალებში ახლა, დედობრივი სიყვარული ანათებდა.

— რით გაგიმასპინძლდეთ? — ალერსიანათ პკითხა მარიამმა.



- არ შეწუხდეთ. ჩვენ სკოლაში უნდა წავიდეთ. გვეჩქარება, — მორიდებით მიმართა ანდრიამ.
- დიახ, სკოლაში გვეჩქარება, — კვერი დაუკრა უფროს ძმას დაჩიმ.
- თქვენს იქ მიუსვლელობას უერავინ შეიტყობს. — დიმილით უპასუხა მარიამმა, და შესთავაზა: — გინდათ მომავალში ვიმოგზაუროთ, ან პირიქით ჯერ წარსულში და მერე მომავალში?
- დიახ, — უფროს ძმას დაასწრო დაჩიმ.
- შენ ანდრია? — ჰკიოთხა მარიამმა ანდრიას.
- მეც, — მოკლედ უპასუხა ანდრიამ.
- მაინც საიდან დავიწყოთ? — დაზუსტების მიზნით ჰკიოთხა მარიამმა ძმებს.
- წარსულიდან, — თითქმის ერთდროულად უპასუხეს ძმებმა.
- მაშინ ოქროსფერ კარებში უნდა შევიდეთ. გამომყევით, — მარიამი ოქროსფერ კარებისკენ გაეშურა ძმები წამოდგნენ და უკან გაჰყვნენ, ბომბორაც აედევნათ.
- კარი შეადეს თუ არა, საოცარ სამყაროში აღმოჩნდნენ. კარის ზღურბლიდან ჰორიზონტამდე მწვანე ველი გადაშლილიყო. სადაც სხვადასხვა ჯიშის ცხოველი ბალახს ძოვდა, შორს დინოზავრებიც მოჩადნენ, ჰაერში არქეოპტერიქსები დაფრინავდნენ. ძალიან, ძალიან შორს ვულკანი ბოლოვდა. კიდევ უფრო შორს, მოძრავი წერტილი გამოჩნდა, რომელიც ნელ-ნელა იზრდებოდა და იკვეთებოდა ოქროსფერი ფრინველის მონახაზე.
- ეს ფასკუნჯია! — აღტაცება ვერ დამალა დაჩიმ.
- სწორია ეს ფასკუნჯია, — დაეთანხმა მარიამი.



ფასკუნჯი ნელ-ნელა უახლოვდებოდათ. ძმები აღტაცებას ეკრ ფარავდნენ, მათ ასეთი ფერთა გამა და ბრწყინვალება ჯერ არცერთ ფრინველში არ ენახათ, თითქოსდა ფასკუნჯის თითოეული ბუმბული, ფერმწერს ფუნჯით მოეხატა. ფასკუნჯი მიახლოვებისთანავე, მიწაზე, დაახლოებით შვიდი ნაბიჯის მოცილებით, დაეშვა. უზარმაზარი ფრთები მიწაზე დააწყო და კეთილგანწყობის ნიშნად თავი ძირს დახარა.

— წავიდეთ! შემოვსხდეთ. — და, მარიამი ბავშვებს წინ გაუძლვა.

ძმები და ბომბორა, ფასკუნჯის ფრთებს შორის მოკალათდნენ, იქ სადაც კისერი ეწყებოდა, მარიამი კი მათ წინ, თავთან ახლოს. ლაგამი ამოსდო ფრინველს და: — „ჟეის” — შეძახილით აფრენა უბრძანა.

ფასკუნჯი, ფრთხილად აფრინდა, როგორც კი სიმაღლე აიღო ჰაერში გასწორდა.

— დაჩი შეხედე, იქით! იქით! რამდენი დინოზავრია, — ხელს იშვერდა ანდრია, ტყის პირას თავმოყრილ დინოზავრებისაკენ.

— შეხედე! ვულკანს ვუახლოვდებით, — ახლა დაჩი იშვერდა ხელს.

— შეხედე! შეხედე! აი, იქ ტბის სანაპიროზე სოფელია გაშენებული. შეხედე დაჩი, შეხედე! — შემდეგ მარიამს ჰქითხა: — ვინ ცხოვრობენ იქ.

— ჩვენი წინაპრები, — მშვიდათ უპასუხა მარიამმა.

— იბერიელები? — ჰქითხა ანდრიამ.

— იბერიელები, დიახ იბერიელები, — მარიამის მაგივრად უპასუხა დაჩიმ და მარიამს შეხედა, ვითომდა — „ხომ მართალი ვარ”. მარიამმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და ბავშვებს ჰქითხა:



- დავეშვათ სოფელში?
- კი, ძალიან გვინდა, – ორივემ თანხმობა გამოთქმა.
მარიამმა, შესძახა ფასკუჯას:
- მუნდ! მუნდ!

ფასკუნჯამა გეზი სოფლისკენ აიღო.

სოფლის მაცხოვრებლებმა როგორც კი შეამჩნიეს ფასკუნჯი, საქმიანობას თავი დაანებეს, ერთმანეთს გადასძახეს: – „მარიამი მოფრინავს, მარიამი!“ – და ყველა დიდი ნარინჯისფერ მინდვრისკენ გაეშურა, გზადაგზა ყვავილებს კრეფავდნენ, ზოგმა კი, ხილი დაკრიფა - ფასკუნჯს, რომ გამასპიძლებოდა.

ფასკუნჯი როგორც კი, მიწაზე დაეშვა სოფლის მოსახლეობა გარს შემოერტყა, თავზე ყვავილებს აყრიდნენ და ხილით უმასპიძლდებოდნენ. მაგრამ, როგორც კი მარიამი გადმოვიდა მიწაზე, ყველა დადუმდა და თავის დახრით მიესალმნენ დედოფალს, ხოლო როცა ბავშვები იხილეს განცვიფრდნენ, და განცვიფრება მით უფრო დიდი იყო, როცა ბავშვები მათვის გასაგებ ენაზე ალაპარაკდნენ. სოფლის მოსახლეობამ, მარიამი, სიმღერით და ყვავილების ფეხევეშ გაშლით, დედოფლის ტახტამდე მიაცილეს; ბიჭები მის გვერდით, ორივე მხარეს დასვეს და ცოტახანში დიდი ზეიმი გამართეს - სიმღერებს ცავები ცვლიდა, ჯამბაზებიც გამოვიდნენ. ძმებს, ყველაზე უფრო ჰაერში მოხტუნავე ბიჭები მოეწონათ. ბოლოს მომღერალი ქალების გუნდი გამოვიდა, ჩონგურის მსგავსი საკრავით, ერთ-ერთი ქალბატონი, ძმების დედას, ისე ძალიან ჰგავდა, რომ დაჩიმ თავი ვერ შეიკავა და ხმამაღლა წამოიყვირა:



— ანდრია დედაჩვენი! დედა! — და მისკენ გაგცევა დააპირა, მაგრამ, მარიამმა შეაჩერა და დაბალი ხმით, მაგრამ ისე რომ ანდრიასაც გაეგო, მიუგო:

— იმ ქალბატონის შვილები, ეგერ იქ სხედან... და ბავშვები შენი ქცევით არ გააკვირვო... მაგრამ, იმასაც გეტყვი, რომ ის ქალბატონი უშუალოდ დედაშენის წინაპარია და არის გასაკვირი მათი ასეთი მსგავსება.

— მე, ამას მივხვდი, — აღნიშნა ანდრიამ.

ამასობაში, შუაღღემ მოატანა. მარიამმა მზეს ახედა და ბავშვებს მიმართა:

— ახლა სახლში დაბრუნების დროა, მეც სამსახურში უნდა წავიდე.

— თქვენ, სად მუშაობთ? — ჰქითხა ანდრიამ.

— დამის რესტორანში მიმტანად, — უპასუხა მარიამმა.

— მიმტანად? — გაიკვირვა დაჩიმ.

— ჰო, რა მოხდა? — გაიკვირვა მარიამმა.

— კი მაგრამ, შენ ხომ დედოფლალი ხარ, — გაკვირვება ვერც ანდრიამ დამალა.

— დედოფლობა ღირსებაა და არა თანამდებობა. წავიდეთ, წავიდეთ თორემ დაგვაგვიანდება, — დააჩქარა მარიამმა ძმები.

ძმები სკოლიდან ბრუნდებოდნენ - ვითომ სკოლიდან, გერდზე ბომბორა მოჰყვებოდათ, რომელიც დროდადრო უკან ჩამორჩებოდა რაღაცას დასუნვდა და ისევ აედუვნებოდათ. ასე მიაცილა სადარბაზოს კარებამდე და უკან გამობრუნდა.

— რა გქნათ მოვუყვეთ დღევანდელი ამბავი ბაბუას? — ჰქითხა დაჩიმ ანდრიას.



— მოდი ამის შესახებ, ხვალ, ვკითხოთ მარიამ დეიდას. კარგი? — და ანდრია უმცროს ძმას დააკეთდა.

— ჰო, ასე ჯობია, — უპასუხა დაჩიმ და ბინაში შესასვლელ კარებზე დააკაკუნა. ანდრიას გაეცინა და სიყვარულით მიმართა უმცროს ძმას:

— ჰა, ზარს როდის მისწვდები.

— კარგი რა, შენც ძლიერს წვდები, — ნიშნის მომგები ღიმილი ესროლა დაჩიმ უფროს ძმას.

— ჰო, მართალი ხარ, ძალიან მაღლაა.

სავლემ კარი ფართოდ გააღო - ასე ჩვეოდა:

— ჩემი გაუკაცები! — სავლეს ბავშვების დანახვაზე სახე გაუნათდა, ეს, ასე ხდებოდა ყოველთვის, როცა ბავშვებს დაინახავდა და, არ ჰქონდა ამას მნიშვნელობა თუ რა დრო იყო გასული, რაც შვილიშვილები არ ენახა.

ძმებმა ტანსაცმელი გამოიცვალეს - სახლის ტანსაცმელი ჩაიცვეს, ხელ-პირი დაიბანეს და ბაბუას მიერ გაშლილ სუფრას მიუსხდნენ. თეთრწვერა, ყოველთვის ცდილობდა ისე გაეშალა სუფრა როგორც ამას ბიჭების დედა, მისი რძალი - ასმათი აკეთებდა. ბავშვები, ბაბუის მონდომებას ხედავდნენ და თავს კარგად გრძნობდნენ - თითქოს დედა ცოცხალი ყოფილიყოს.

— ახლა დროა გაკვეთილებს მიუსხდეთ, — სავლემ ოდნავი სიმკაცრე შეაპარა თავის ხმას.

ბავშვებმა ბაბუას დაუჯერეს და სამეცადინოდ გავიდნენ. მაგრამ, რა უნდა მოემზადებინათ? რაში ემეცადინათ არ იცოდნენ, რამეთუ სკოლაში არ ყოფილან და...

— რა გქნათ? — იქითხა დაჩიმ.



— მოდი ისტორიულ ნარკვევებზე დაწერილი წიგნი წავიკითხოთ, — შესთავაზა ანდრიამ.

— კარგია! — გახალისდა დაჩი, — შენ წაიკითხე და, მე მოგისმენ. კარგი? — დაჩიმ იცოდა, რომ ეს ისედაც ასე იქნებოდა, მაგრამ მაინც დააზუსტა - გაამაგრა თავისი მოლოდინი.

— კარგი, — დაეთანხმა ანდრია, გავიდა მისაღებ ოთახში, სადაც წიგნების თაროები იყო, თვალით მოძებნა მისთვის ნაცნობი წიგნი, გამოაძვრინა და დაჩისთან დაბრუნდა, რომელიც სავარძელში უკვე მოკალათებულიყო - ძმას ელოდა.

— დავიწყო კითხვა? — ჰერიოთხა ძმას.

— კი, — და დაჩიმ ყურადღება მოიკრიბა.

ანდრიამ დაიწყო:

ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესია, არის მართლმადიდებლური ტაძარი, რომელიც მდებარეობს ჰერეთში, დღევანდელ აზერბაიჯანში. განლაგებულია მდინარე ქურმუხის ხეობაში, კახის რაიონის მიმდებარე ტერიტორიაზე, კანგარაჯის მთის კლდოვან წვერზე. ის დათარიდებულია მეცხრე საუკუნით და პირველად მოხსენიებულია მაღალაშვილების სახარების 1310 წლით დათარიდებულ მინაწერში; რომელშიც აღწერილია იბერიიელთა კათალიკოს-პატრიარქ ექვთიმეს მის იურისდიქციაში მყოფ სხვადასხვა ეპარქიაში მოგზაურობა მათ შორის გიშ-ქურმუხის ეპარქიაშიც. ხოლო, ზეპირსიტყვაობა გადმოგვცემს, რომ კათალიკოს-პატრიარქ ექვთიმეს ქურმუხის მონასტერში მისვლა, იქ დაბანაკებულ მომთაბარე ტომს შეუტყვია და მისი მოკვლა განუზრახავს.

— უუ, მაგათი, — დაჩიმ მუშტი შეკრა, და ისე მოუღერა იმ უხილავ ავაზაკებს, თითქოს მათ მკაფიოდ ხედავ-



და. — მერე, მერე. — სთხოვა ძმას გაეგრძელა კითხვა, და ისევ სმენად იქცა.

ანდრიამ კითხვა განაგრძო:

— უცხო ტომის, ათ კაციანი რაზმი, ღამე, ჩუმად შეიპარნენ ეკლესიაში, მიაგნეს კათალიკოს-პატრიარქის სამყოფელს და მძინარეს თავზე დაადგნენ. ათივემ, ხმალი იშიშვლა, ექვთიმეს მოსაკლავად, მაგრამ წმინდა გიორგის ხატიდან, რომელიც ყოველთვის თან დაჰქონდა კათალიკოს-პატრიარქს, ხორც შესხმული გიორგი გადმოვიდა და ათივე შუბით გაგმირა, ისე რომ კათალიკოს-პატრიარქს არაფერი არ შეუტყვია, მხოლოდ დილით, როცა მისი მორჩილი ეახლა, გასაღვიძებლად, მან იხილა დახოცილები, რომლებსაც ჭრილობები ამომწვარი ჰქონდათ, დალვრილი სისხლი კი არსად არ ჩანდა. ყველა მიხვდა, რომ ეს წმინდა გიორგის ნამოქმედარი იყო.

— ასე უნდათ მაგათ, — დაქადნებით წამოიყვირა დაჩიმ და ამჟამად მუშტი ჰაერში შემოატარა.

— ბიჭებო, თუ მორჩით მეცადინეობას? გამოდით სამზარეულოში, ტელევიზორში კარგი ფილმია, — სამზარეულოდან უხმობდა ბაბუა შვილიშვილებს.

და, უკვე სამი რაინდი, სამზარეულოში შეკრებილი ყვნენ და არარეალურ სამყაროში ჩაძირულიყვნენ. როცა ფილმი დამთავრდა, ბავშვებმა გასული ზაფხულის ამბები გაიხსენეს, ისე რომ მოგონებით, დედ-მამას არ შეხებიან, ერთმანეთისათვის გული რომ არ ეტკინათ, მათ შეიარულ საუბარს უსმენდა სავლე და არ წარმოედგინა თუ მასზე ბედნიერი თუ იყო ვინმე ქვეყანაზე. ამასობაში ჩამობნელდა, და თეთრწვერამ შვილიშვი-



ლები დასაძინებლად გაისტუმრა. ისევ მარტო დარჩა, ჩაჯდა თავის სავარძელში და ფიქრს მიეცა.

— აქა ვარ, აქ, — და საზიზღრი კედლის კუთხიდან გამოძვრა.

— ვაიმე, რა თავხედია. სავლე! ჩაჟკარ თავში მაგ უგგანოს! — ბრაზობდა კლდის ნატეხი.

— მოიცა, ვნახოთ ამჯერად რას მეტყვის, — დაამშვიდა თეთრწვერამ კლდის ნატეხი.

— მე, ადამიანის გონებაზე მსურს საუბარი, — დაიმანჭა საზიზღრი და როგორც ჩვევია თეთრწვერას წინ - იატაკზე ფეხმორთხმული დაჯდა.

— ჰო, მიდი, აბა რას გვეტყვი, — ჯიქურ მიახალა თეთრწვერამ

— ახლავე, ჩემო ბატონო, — და საზიზღრარმა საუბარი დაიწყო:

— გონება ფილოსოფიური კატეგორიაა, რომელიც გამოხატავს აზროვნების უმაღლეს ფორმას, — ხომ არ ვცდები? და: — პროცესების ანალიზის შესაძლებლობას, განყენებასა და განზოგადებას ახდენს. ხოლო, ფილოსოფიაში გონება ცნობიერების ერთ-ერთი ფორმად განიხილება, და მიიჩნევენ, რომ გააჩნია, თვითცნობიერება, რომელიც თავის თავზეა მიმართული... გონება გამოხატავს თავის თავს და იდეებს. გონება ქმნის ცნობიერების სხვა ფორმებსაც, მაგალითად: ჭვრეტა, თვითშეგნება; და, დამოკიდებულია სულის თვითცნობიერებაზე. მხოლოდ გონება აღწევს საბოლოოდ ჭეშმარიტების ჭეშმარიტ გამოხატულობას როგორც ასეთს კონკრეტულს. გონების მოქმედება მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანის მეტყველებასთან.



- განათლებული ყოფილხარ, წაგიკითხავს წიგნი „ფიქრი ფიქრისათვის” – შეაქმო თეორწვერამ და დასძინა: – მაგრამ, იცოდე ყველაფერს სული განაგებს.
- ოჲ, რა იცით ეს ადამიანებმა, სული, სული. და, ამ სულის, ყველაფერზე ზევით ამაღლება, – ირონიულად აღნიშნა საზიზდარმა.
- შენ არ გაგაჩნია სული, და ამიტომაც ხარ მოქცეული ერთ განზომილებაში, – ნიშნის მოგებით უპასუხა თეორწვერამ.
- მართალი ხარ ერთ განზომილებაში ვარ მოქცეული, მაგრამ ამ განზომილებაში, მე, უკდავება მოვიპოვე და თქვენისთანებს სისხლს ვუშრობ, – გაბრაზება შეეტყო საზიზდარს.
- შენი უკვდავება ჩვენზეა დამოკიდებული და, როგორც კი, ჩვენში შური, სიხარბე და სხვა უგვანოქმედება მოისპობა, შენი უკდავებაც დასრულდება, – და თეორწვერამ გემრიელად გადაიხარხარა.
- იცინე, იცინე. პმ, შენც კარგად იცი, რომ თქვენი მოდგმა ამ თვისებებს ვერასოდეს მოიშლის.
- ვითომ რატომ? – თეორწვერას სიცილი, ირონიულ ღიმილში გადაეზარდა.
- თქვე მართლა უგვანოებო, ერთი კაცი გჰყავდათ სიკეთით აღვსილი და ისიც ჯვარზე გააკარით... ამისდა მიუხედავად დააშავებთ რაიმეს თუ არა, გარბისართ ეკლესიაში და მას შესთხოვთ პატიებას... არ გრცხვენიათ? აბა ახლა მითხარი: მე, ვარ საზიზდარი, თუ თქვენ? – ამჟამად საზიზდარმა გადაიხარხარა, და მისი სიცილი იმდენად შემზარავი იყო, რომ შიშისგან კედლებიც კი აკანკალდნენ.



— არ ხარ მართალი, — კატეგორიულად უპასუხა თეთრწვერამ.

— ბატონი, ბატონი? — ირონიულად იკითხა საზიზდარმა და მხცოვანი ბრძენივით დაიწყო საუბარი: — როდესაც ცდილობთ დაიმორჩილოთ გონებაში მოსული აზრი, სპონტანურად წინ გამოდის თქვენი შინაგანი „მე“ და წარსდგება თქვენ წინ, როგორც ბატონი. თქვენი შინაგანი „მე“ შავი ღრუბლებითაა დაფარული — უკუოური აზრებით, უგარგისი იდებით, უჭვებით, შიშით, შურის ძიებით და ასე შემდეგ. და, როგორც კი, შეეცდებით მის განდევნას, ის ახალი ძალით, განსხვავებული ფორმით, შემოიჯრება თქვენს გონებაში; ლოცვის დროსაც კი, თქვენშია... ამიტომაც ვარ უკდავი. — საზიზდარს გამარჯვებულის იერი აღებეჭდა სახეზე.

— მაგრამ, გარდა გონებისა ჩვენ გვაქვს გული, ის რაც ბევრად მაღლაა გონებაზე, და კიდევ - უფრო მაღლაა სული. აბა, გადახედე ადამიანებს, ჩვენს შორის რამდენია წმინდანათ შერაცხული... დამიჯერე, შენ დიდიხნის არსებობა არ გიწერია. — და თეთრწვერამ უცნაური ძალის მოძალება იგრძნო, მხრებში გაიშალა და ლრმად ჩაისუნთქა.

— გული... რას ნიშნავს გული? — ირონიულად დაუსვა კითხვა საზიზდარმა თეთრწვერას.

— თუ გონება ნეირონების დახმარებით მართავს ადამიანის ნერვულ სისტემას, გული სისხლის დახმარებით მართავს ადამიანის ყველა ქმედებას, ხოლო სული, რომელიც ადამიანის სხეულის ყველა უჯრედშია განლაგებული, ბიო-ელექტრონულ ველს ქმნის და იცავს ადამიანს უარყოფითი ზეგავლენისაგან. როგორც ხედავ



სამება ადამიანშია. – თეთრწვერა თავისივე ნათქვამზე ჩაფიქრდა.

– შურის ძიება? როდის...? მაწანწალა ძალლივით რომ დაწრწი... რა ჯერ ვერ იპოვე შენი შეილების მკლელები? ხი, ხი, ხი, – გაბრაზების მიზნით ჩაიხითხითა საზიზღარმა.

თეთრწვერამ, ერთი გახედა საზიზღარს და პერანგიდან გულზე დაკიდებული ჯვარი ამოაცურა.

– არა, არა, ვაიმეე, – აქნავდა საზიზღარი და გაქრა.
 საზიზღარის კნავილზე კლდის ნატეხს გაეცინა:
 – როგორ თაგვივით გაძვრა, – და შეეცადა საზიზღარივით დაკლანილიყო.

– არ გამოგივიდა, – გაისმა ნაცნობი ხმა.
 – ქარაოცა შენ ხარ?! – გახარებულმა იკითხა კლდის ნატეხმა.

– ჰო, აბა ვინ იქნება, – და ნელ-ნელა, ოთახის შუაბულში ქარაოცას გამოსახულება გამოისახა.

– მოდი აქ ჩამოჯექი, – შესთავაზა თეთრწვერამ და მეორე საგარმელი მიუწია. – და, ჩემო კეთილო მეგობარო რა მინდა გითხრა იცი:

მთელი ცხოვრება სიკეთეს ვთესდი,
 ახლა, შურისძიება მიმღვრევს გონებას,
 მინდა დავღვარო სისხლისწილ სისხლი,
 რა ვქნა?! ვერ ვეგუები უსამართლობას.

ქარაოცა დაფიქრდა და უპასუხა:

შენ მართალი ხარ:
 უსამართლობა სიძულვილს ბადებს,



სიძულვილი კი, გონებას ამღვრევს,
 ვემორჩილებით ბოროტ ბატონებს,
 არაფრად ვაგდებით საღვთო კანონებს.
 ვხვდებით უხეში და უმართავი,
 თითქოს ეშმაკი გვიზის უბეში,
 მგელს ვემზგავსებით ცხვრების ფარაში,
 ყელამდე ვძვრებით ცოდვის ნაგავში.

პასუხი არ დააყოვნა თეთრწვერამ:

პო, გეთანხმები, შენც - ხარ მართალი!
 ფურთხის ღირსია, ის ვინც სისხლს დაღვრის,
 მაგრამ, იცოდე არ დამიყრია მე, ჯერ ფარ-ხმალი,
 ეს ბოროტება ჩემში გაივლის,
 მე, ბოროტებას ვებრძვი
 და მაქვს იმედი,
 რომ იზეიმებს, ჩემში, დვთის მადლი.

ქარაოცამ მშვიდი ხმით მიუგო:

ღვთის სიყვარული დიდი მადლია,
 მას ვერ შეიძენ და ვერც გაყიდი,
 სხვა ყველაფერი ჩალის ფასია,
 ცხოვრების არსი მხოლოდ მასშია.

თეთრწვერამ გულდაწყვეტილმა უპასუხა:

მე, მიწიერი ცხოვრება დავთმე
 და ღვთის მცნებაზე გავზარდე ვაჟი,
 არ დამიკლია მისოფის სიკეთე,



მხოლოდ კეთილი საქმისთვის ვზრდიდი.
მაგრამ, უმღეანო ტომის, უმღეანო „ოესლმა”,
მუხანათურად მომიკლა შვილი,
მათ დამინგრიეს ცხოვრება მშვიდი
და ამისათვის დავსაჯო მინდა.

ქარაოცამ დამაჯერებელი და ოდნავ გაბრაზებით
უპასუხა:

ობლად დარჩენილ შენ შვილიშვილებს,
შურისძიება ვერაფერს არგებს,
ის ვერ შეუცვლის მშობლების ალერს,
მხოლოდ, შენს ცოდვებს, აკიდებ ბავშვებს.
ცოდვილის მოკვლა, დიდი ცოდვაა,
რადგანაც, იმისი ცოდვა შენზე გადმოდის,
ცოდვის სიმძიმე გიორმაგდება,
ამასთან, გადაჯერა შთამომავლობას.

თეთრწვერამ მოტეხილი ხმით უპასუხა:

ობლად დარჩენილ ჩემს შვილიშვილებს,
ცოდვის სიმძიმეს, მე, ვერ აგაიდებ,
ვერ ავუხლართავ ციურ ბილიქებს,
მიყვარს ორივე, და მათ გადიდებ.

ქარაოცა კმაყოფილი დარჩა თეთრწვერას პასუხით,
მაგრამ უკვე თენდებოდა:

კარგი გვეყოფა, შეგწყვიტოთ განსჯა,
უკვე თენდება, დრო აღარ დაგვრჩა,



მზე ამოვა, და დატრიალდება სხივების ჯარა,
ცუდი აზრებიც გაქრება, წაგა.

თეთრწვერაც დაეთანხმა:

ჰო, მართალი ხარ, სჯობს დავასრულოთ,
ხვალაც შევხვდებით,
დროებით...

კარგად.

დამემ, თვარეს გახედა და სთხოვა:

- თუ ძმა ხარ არ დამელოდო, დილასთან საქმე
მაქვს, წადი, გზაში დაგეწევი.
- ძალიან არ დააგვიანო, თორემ ადამიანები განა-
თებულ ცაზე, რომ მხედავენ უკვირთ. – და მთვარე
გორაობ-გორაობით დედამიწის მეორე მხარეზე გადა-
გორდა.

დამემ, დაინახა თუ არა დილა, მისკენ გაეშურა:

- რა მოხდა? ხომ მშვიდოობაა? – შეშინებულმა
იკითხა დილამ.

- მეჩქარება და უცებ გეტყვი, – და დამემ სხაპა-
სხუპით მიაყარა: – ამირანმა გაიმარჯვა! და ახლა, ამ
განზომილებაში თუ თეთრწვერამ საზიზდარი დაამარც-
ხა, ეს უკეთ დიღი წარმატება იქნება, რაც განზომილე-
ბების დაახლოების პროცესს მნიშვნელოვნად დაჩქარე-
ბს. მერე ჯერი ერეკლეზე დადგება, იმედი მაქვს ერე-
კლეც გაიმარჯვებს.

– ამირანის გამარჯვებას მეც შევესწარი!



— პო, მაგრამ ურჩხული პუტლერას თავის მოკვეთას ვერ შეესწარი, უკეე წასული იყავი. მე კი ვნახე, — ნიშნის მოგებით და სიამაყით აღნიშნა ღამემ.

— რას გაიხარებდა დავითის სული, — აღტაცება ვერ დამალა დილამ და თხოვნით მიმართა ღამეს: — წადი ახლა უკვე ჩემი დრო დადგა, თორემ სულ გადაირევიან ადამიანები, ერთად თუ დაგვინახეს, და რაღაცებს მოგვიგონებენ - მეცნიერები ჩვენს ერთად ყოფნას ფიზიკის კანონებს დააბრალებენ და ახალ თეორიებს შექმნიან, ცრუმორწმუნები ღვთის რისხვას, პოლიტიკოსები ამჟამინდელ მთავრობას, პო-და ჯობია დროზე წახვიდე, წადიო...

— პო, კარგი წავედი, — და ღამე მოვარეს დაედევნა.



ცისარტყელას დილა

საოცრება თუ გინდა, პმ, არასოდეს არ მინახავს დილით ცისარტყელა. გაიკირგა ცას მიშტერებულმა ტიმოთემ; ცოტახანში გამოერკვა, და თავის საქმეს შეუდგა - ცოცხს ცელივით იქნევდა ნაგავს ხან ერთ მხარეს, ხან მეორე მხარეს მიაყრიდა და მერე, მეორე განზომილებაში გააქანებდა, თან თავისთვის დილინებდა:

მობუბუნებდა სამხრეთიდან იბერთა გენი,
გენი ადამის, ევას და შეთის,
სულით მოპქონდა ლეგენდები შუამდინარეთის,
გენი შემქმნელი უკვდავი ერის.



ქუჩის ფეხით მოსიარულეთა ორივე მხარე, ხალხს გაევსო; ერთმანეთში გადი-გამოდიოდნენ და, თუ შეეჯანებოდნენ გაღინძიანებული იერით ერთმანეთს გახედავდნენ, გუნებაში შეიგინებოდნენ და უფრო მიზანმიმართულები აგრძელებდნენ გზას.

— ქალბატონო!... ბოდიში მაინც მომიხადეთ, — გაკვირვებული სახით და აჟინებით უცქერდა მამაკაცი ქალს, რომელმაც თავისი განიერი თემოებით ისე მოისროლა, რომ კინალამ წაიქცა.

— ნატი, როგორ ხარ? როგორ მომენატრე, — განიერ თემოებიანმა ქალმა ყურებში გაატარა მამაკაცის საყვედური და მასავით ფარფაშა ქალს მოეხვია.

— ვაიმე! თიკო! შენა ხარ... მეც როგორ მომენატრე. ეს კაცი რა გიუივით გიყურებს, ვაიმე, რა უნდააა? — ირონიულად მიანიშნა თიკომ მამაკაცზე, რომელიც ოდნავ მოცილებით გაჩერებულიყო და ჯერ პილევ იმედი ჰქონდა, რომ ქალში ზრდილობა გაიღვიძებდა და ბოდიშს მოიხდიდა. მაგრამ, რა იცოდა რომ, ის რაც არ გააჩნდა, არც მოვლემარე მდგომარეობაში არ ექნებოდა.

— ვიღაც ქაჯია; არ მიაქციო ყურადღება. პო, მართლა, იცი, გუშინ ვინ შემხვდა?... ზესტაფონელი ქათამა, — და ნატიმ უნუგეშოდ ამოიხვნეშა.

— რაო, კიდევ ლექტორი-ფაქტორია? — ირონიულად აღნიშნა თიკომ.

— პო გოგო... მართლა, წაიკითხე? მასზე სტატია იყო გაზეთში; „ქრონიკა+“-ში დაიბეჭდა. — ჰკითხა ნატიმ და დააკვირდა თიკოს, რომელიც დამცინავად უცქერდა იმ მამაკაცს, რომელიც ცოტახნის წინ მისმა მეგობარმა კინაღამ ძირს დასცა.



— სტატია! რა სტატია? — მზერა მოაცილა თიკომ მამაკაცს, რომელიც უკმი რამოდენიმე ნაბიჯზე დაცი-ლებოდა მათ და უიმედოდ მიაბიჯებდა.

— რა სტატია-და... ცნობილმა პროფესორმა პროტესტის ნიშნად მისი უნივერსიტეტი დატოვა. — შეპარული სიხარულით უპასუხა მეგობარს ნატიმ.

— რომელ ნომერშია? — იკითხა თიკომ.

— ორიათას თოთხმეტი წლის ცხრა დეკემბრის ნომერშია, — გაუხარდა ნატის, როცა თიკოს დაინტერესება შეატყო.

— ვაიმე, შეხედე რამხელა ძაღლია! — გაოცება ვერ დამალა თიკომ.

ხალხის აზვირთებულ ტალღაში, ბომბორა, აქეთ-იქით ყურებით მოაბიჯებდა, ქუჩაც ფრთხილად გადაკვეთა, მიუახლოვდა ძმების საცხოვრებელ კორპუსს და სადარბაზოს შესასვლელთან დაწვა.

სადარბაზოდან გამოსულმა ძმებმა, დაინახეს თუ არა ბონბორა, საკუთარ ჩანთებს ეცნენ, იქიდან საუზმე ამოიღეს და ძაღლის წინ დაალაგეს, ბომბორამაც არ დააყოვნა და იქაურობა წამში მოასუფთავა.

— რას შევბით? — ჰკითხა ბავშვებს სავლემ.

ძმები დადუმდნენ. ისევ დაჩიმ გაბედა — ისარგებლა უმცროსობით.

— ეს ჩვენი მეგობარია. სკოლამდე გვაცილებს.

— რადაც სხვა დროს არ შემიმჩნევია? — და სავლემ შვილიშვილებს, ზემოდან, არწივისებური მზერა დააჭერდა.

— ახლახანს დაგვიმეგობრდა, — გათამამდა ანდრია, და მუდარის მზერა შემოატარა სავლეს. — ბაბუ, ის ჩვენი მეგობარია.



— კარგი, წადით... იცოდეთ გზაში თამაშით არ გაურთოდ, და სკოლაში არ დაგაგვიანდეთ. — საელემ ბავშვები ქუჩაზე გადაიყვანა, კიდევ ერთხელ დაარიგა და მოპირდაპირე მხარეს გაეშურა, გონებაში კი ერთი აზრი შეუძრა: „ნეტა რას იზამენ დღეს, საკუთარი საჭმელი ძაღლს, რომ აჭამეს? ხომ კარგია, გამოცადონ საკუთარი თავი...” — ასე, და სხვა დარდებით მიღიოდა სავლე.

— ისევ, იმათი საძებნელად წავიდა, — ხმამაღლა თქვა ანდრიამ, ძაღლს ხელი გადაუსვა თავზე, ეშმაკურად გაუღიმა ძმას და როცა მის თვალებშიც თანხმობა წაიკითხა, ძაღლს ანიშნა: „მიდი, წინ გაგვიძეხიო”.

მიდიოდა ბომბორა და უკან მიჰყებოდნენ ძმები, საერთო სურვილით შებყრობილები, სურვილით ისევ ენახათ ის სასწაული რაც გუშინ იხილეს. ამ სურვილში ჩაძირულებმა ვერც კი შეამჩნიეს თუ როგორ ჩაუარეს ტიმოთე მენაგვეს, იმ უცნობ გოგონას, რომლის დანახვა საოცნებო იყო ანდრიასათვის. გამარჯობის გარეშე ჩაუარეს, მეზობლის ქალსაც, რომელსაც ოჯახისათვის პური ეყიდა, და ასე მომწყდარი გარემოს, მარიამის ბინის კარს მიადგნენ, ზარი ანდრიამ დარეკა.

— მობრძანდით, — მარიამი ახლად შეძენილ მეგობრებს სიხარულით მიეგება და ოთახში მიიპატიუა.

— დღეს სად წაგვიყვანო? — იკითხა დაჩიმ.

— სად, და... — ორჭოფობა შეეტყო და, მერე, ალერსიანად პკითხა ძმებს: — რომელ საუკუნეში გინდათ მოხვდეთ?

— დღეს მომავალში გვინდა ვიმოგზაუროთ, მეორმოცე საუკუნეში, — ითხოვა ანდრიამ და ძმასაც პკითხა: — ხომ გინდა?



— კი, საინტერესო იქნება, — და დაჩიმ მარიამს შეხედა: „აინტერესებდა შესაძლებელი იქნებოდა თუ არა ეს“.

— კი ბატონო. ოღონდ ამჟამად ვერცხლისფერ კარებში უნდა შევიდეთ, — და მარიამი ბავშვებს წინ გაუძლევა.

კარი შეაღეს თუ არა, ნათელმა შუქმა თვალები მოჭრათ. თვალები, შუქის სიკაშკაშეს თანდათანობით შეეჩიდა და მათ თვალწინ გადაიშალა უცნაური ფერებით განათებული ქალაქი, ცაში დაკიდებული გადასასვლელებით, ჰაერში მოდრეიფე მაღაზიებით, სილამაზის სალონებით და კაფეებით, ადამიანები ფეხით კი არ დადიოდნენ, არამედ ზურგზე დამაგრებული საფრენი აპარატებით გადაადგილდებოდნენ. მანქანები, ჰაერში მოწესრიგებულად, ზედა და ქვედა რიგებად, მოძრაობდნენ. დაჩიმ, მანქანის გაჩერებაზე შემდეგი წარწერა წაიკითხა: — „მარსზე გამგზავრება თოთხმეტ საათზე, იუპიტერზე თვრამეტ საათზე“. — დაჩიმ ასევე გამაფრთხილებელი წარწერაც შეამჩნია, სადაც ეწერა: — „უანგბადის ბალონების შეძენის გარეშე, პლანეტაზე გაფრენა სასტიკად აკრძალულია!“

— ანდრია, რა გქნათ? — გაპეირვებულმა იკითხა დაჩიმ, რომელიც კარების ზღურბლთან გაშეშებული იდგა და ვერ გადაეწყვიტა ნაბიჯი გადაედგა თუ არა, ამ უცნაურ სამყაროში.

— ცოტახანი მოიცადეთ. დაველოდოთ ჩვენს ძველ მეგობარს. — მშვიდი ხმით მიუგო ძმებს მარიამმა, და გაედიმა როცა მათ სახეებზე დაბნეულობა და შიშნარევი გაპეირვება შეამჩნია.

— ვინ ჩვენს მეგობარს? — იკითხა ანდრიამ.



- ფასკუნჯის. - მოკლედ უპასუხა მარიამმა.
- ფასკუნჯის! - სიხარული ვერ დამალა დაჩიმ და იმედიანი თვალები უფროს ძმას მიანათა. იგივე მზერა აღრიას თვალებშიც აკიაფდა.

და, მართლაც ცოტახანში, ჰაერში მოცურავე მანქანებს შორის ფასკუნჯი გამოჩნდა, რომელიც ოსტატურად არიდებდა გვერდს ჰაერში სწრაფად მოსრიალე მანქანებს. ზოგიერთი მანქანის მძღოლი მანქანას აჩერებდა და გზას უთმობდა ფასკუნჯის - აშკარა იყო მას აქაც პატივს სცემდნენ. ფასკუნჯმა, თვალი მოკრა თუ არა ძმებს მათენ გაეშურა და კარის ზღურბლთან ჰაერში დაეკიდა. ძმები და ბომბორა, როგორც წინა დღეს - ფასკუნჯის ფრთებს შორის მოკალათდნენ, იქ სადაც კისერი ეწყებოდა, მარიამი კი მათ წინ, ფასკუნჯის თავთან ახლოს. ლაგამი ამოსდო ფრინველს და - „ჟეის“ - შემახილით აფრენა უბრძანა.

- რა გაინტერესებო? - უკან მოუხედავად ჰერითხა მარიამმა ბავშვებს.

- ამ საუკუნის სოფელი, - ძმებმა თითქმის ერთდროულად წარმოთქვეს, თითქოს წინასწარ იყვნენ მოლაპარაკებულები.

ფასკუნჯი ძმების სურვილს დაემორჩილა და უახლოეს სოფლისკენ გაფრინდა. ცოტახანში მთის ძირში, მოგაკებულ ადგილზე, სოფელი გამოჩნდა. რაც უფრო უახლოვდებოდნენ სოფელს, ძმები, მით უფრო და უფრო ნათლად ხედავდნენ, რომ სოფელი ჰაეროვანი თაღით იყო დაფარული, უფრო სწორად გამოყოფილი დანარჩენ გარემოსაგან. აქაც, ქალაქის მსგავსად, ჰაერში მოძრავი ავტომობილები დასრიალებდნენ, ოდონდ ჰაეროვანი თაღის გარეთ. სოფლის მოსახლეობამ შეამჩნია თუ არა



ფასკუნჯი, მის შესახვედრად, ჰაეროვანი თაღის გარეთ, ეტყობა საგანგებოდ გამზადებულ, სხვადასხვა სახეობის ყვავილებით შემოფარგრულ, ოთხკუთხა მოედნისკენ დაიძრა; ფასკუნჯს, სწორედ იქითენ ჰქონდა გეზი აღებული. ძმებმა შეამჩნიეს, რომ სოფლის მოსახლეობა გაუგებარ ენაზე მდეროდა, ძმების ყურს მხოლოდ რამოდენიმე სიტყვა ეცნო. როცა მოედანზე დაეშვნენ, სოფლის მაცხოვრებლები, დიდიან-პატარიანად გარს შემოერტყნენ და კეთილგანწყობის ნიშნად უდიმოდნენ. ხალხს, ასაკოვანი მამაკაცი გამოეყო, მორიდებით მიესალმა, და მარიამს მიმართა:

– დღეს ჩვენთან ზეიმია და თქვენმა მოსვლამ კიდევ უფრო გაგვახარა.

ასაკოვანი მამაკაცის საუბარი ბავშვებმა გაიგეს და ორივემ შვებით ამოისუნოთქა.

– რას ზეიმობთ ბათე? – ასევე მორიდებით მიმართა მარიამმა.

– ახალ გამოგონებას, – ამაყად უპასუხა ბათემ.

– გვანახებთ?

– დიახ, ჩვენო დედოფალო, – და ბათემ სტუმრები სოფელში მიიპატიუა.

როცა სოფლის ჰაეროვანი თაღის ქვეშ შევიდნენ, ძმებს განსაკუთრებული შეგრძნება დაეუფლათ, თითქოს ჰაერი სხვადასხვა ყვავილის სურნელით იყო გაუდენოილი; გარშემო ჰაერი ლივლივებდა და ხელის გაქნევაზე ტალღებად იშლებოდა, სახლები გამჭვირვალე ოფსიდიანის მასალისაგან იყო აგებული. ქუჩის სავალი ბილიკები მალაქიტის ქვაფენილებით იყო მოპირკეთებული, დანარჩენი აღგილი დაბალი ბალახით - კოინდარით იყო



დაფარული, რომლებშიც აქა-იქ მინდვრის ყვავილებს ამოეყოთ თავი.

მასპინძლებმა, სტუმრები სოფლის შუაგულში აშენებულ უთაღო, მომგვრალებულ ნაგებობაში შეიყვანეს. შენობის შუაგულში, ამაღლებული, ვარდისფერი გრანიტის ქვით მოპირკეთებული სცენა იყო აღმართული, ირგვლივ კი სტავრა გადაფარებული ხის სკამები განელაგებინათ.

— დაბრძანდით, — და ბათემ სტუმრები სცენასთან ახლოს დასვა, თან მის ერთ-ერთ თანმხელებს რაღაცა ანიშნა. მწითურთმიანი მიხვდა რაც სურდა ბათეს, სცენაზე ავიდა, და რაღაც უზარმაზარს, რომელიც სცენის შუაგულში იდგა, ოქროსფერი სტავრა ჩამოაცურა. იქაურობა შუქით გაიგსო.

— ეს რა არის? — იკითხა მარიამმა.

— დროის მანქანა, — მშვიდად უპასუხა ბათემ. — დღეის შემდეგ, ჩვენ შეგვეძლება მომავალში გადავაადგილდეთ და, რათქმაუნდა - წარსულშიც. ეს ჩვენი გამოგონება გუშინ საქალაქო მეცნიერებათა ცენტრში დაამტკიცეს და გამოყენების უფლებაც მოგვცეს. პატენტი ჩვენს სოფელზე გაიცა, ეს ჩვენი სოფლის შემოსავალს გაზრდის და დამატებით ჟანგბადის ბურთულაკებს შევიძენთ, — ამაყად საუბრობდა ბათე.

— მანც რა პრინციპზეა აგებული თქვენი მანქანა? — იკითხა მარიამმა.

— შეიძლება ცოტა შორიდან მოყვე ჩვენი გამოგონების ისტორია? იმედია ამ ორ უცნობ პატარა მეგობარსაც დააინტერესებს, — და ბათემ მმებს გადახედა.

— დააინტერესებს და, მინდა გითხრათ, რომ თქვენი ენა ესმით, — მმების ნაცვლად უპასუხა მარიამმა.



— იცით თქვენ?! მომავალში მოგზაურობის თეორიული კელება, აგებული იყო რამდენიმე მიღეომაზე; პირველი ემყარებოდა რელატივისტური სიჩქარით მოცემული ადგილიდან დაშორებას და შემდეგ უკან დაბრუნებას. ამ დროს მოძრავი ადამიანისათვის ნაკლები დრო გადის, ვიდრე ადგილზე დარჩენილისათვის. მაგრამ, ფარდობითობის თეორიის თანახმად, არ არსებობს ობიექტური პასუხი კითხვაზე; თუ „სინამდვილეში“ რა დრო გავიდა დაცილებისას და უკან დაბრუნებას შორის, რამეთუ დრო ნულის ტოლია, ესე იგი პირველიდან გამომდინარე ჩენების დრო უნდა გავზომოთ როგორც მანძილი ანუ განვიხილოთ როგორც სიგრძის მეოთხე განზომილება და, მაშასადამე, მომავალში გადაადგილება შესაძლებელია მეოთხე განზომილების ანუ დროის სიგრძის შემოკლებით, კოსმოსური სიმების რხევის გაზრდის ხარჯზე - სიმები როცა ირხევიან იკუმშებიან და მანძილი საწყის და საბოლოო წერტილებს შორის მცირდება, და ამასთან მათ შორის მცირდება გრავიტაციული ძალა. მაგრამ, ეს ერთიანობაში მიუღწევადია შავი ხვრელების არსებობის გამო.

— გეთანხმები, და ეს თეორია ჩემთვის ცნობილია, ისევე როგორც პირველიც, — საუბარი შეაწყეტინა მარიამმა და ჰკითხა: წარსულში მოგზაურობის კიდევ რა თეორიაა თქვენთვის ცნობილი?

— წარსულში მოგზაურობა თეორიულად შესაძლებელია შემდეგი მეთოდებით: — ბათე მშვიდეათ საუბრობდა, — თუ ადამიანი უეცრად დაიწყებს მოძრაობას და იმოძრავებს სინათლის სიჩქარეზე უფრო სწრაფად, ისე რომ, კოსმოსური სიმები გერ აღიქვამენ მის მოძრაობას, მაშინ დასაშვებია, რომ ადამინმა გააღწიოს შავი ხვრელი.



ლის მეორე მხარეს, მაგრამ, ადამიანის ბიოლოგიური აღებულება შავი ხერელის სიმკერივეს ეერ გაუძლებს და დაიშლება ურთიერთსაწინააღმდეგო ჟანგბადის, წყალბადის და ბიოლოგიურ დისპერსიულ ნაწილაკებად, ოომელიც გახწევის ან უკან გამორტყოცნის შემთხვევაში, ისევ შეერთდებიან, და სხეული დაიბრუნებს ადრინდელ მდგომარეობას.

— მაშინ თქვენ რა აპარატი გამოიგონეთ? — გაკვირვებით იკითხა მარიამმა.

— თქვენი ლაბორატორიული ოთახისაგან განსხვავებით, სადაც თქვენ, ქალბატონო მარიამ, სივრცითი კარები შეჰქმენით, ჩვენ, ადამიანს ვსვამთ აი, იმ აპარატში სადაც ხდება სხეულიდან სულის გამონთავისუფლება, ხოლო სული გონიერი არსებაა და ამასთან ის სინათლის სიჩქარეზე უფრო სწრაფად მოძრაობს, მის-თვის გრავიტაცია ნულის ტოლია... თქვენ, ალბათ წაკითხეული გაქვთ წიგნი: „ფიქრი ფიქრისათვის“. ამ წიგნში კარგადაა ყოველივე აღწერილი.

— წაკითხეული მაქეს. — მკაცრად უპასუხა მარიამმა და ასევე მკაცრად დაუსვა კითხვა: — სულს, რომ არ მოუდეს ადრინდელ სხეულში დაბრუნება, რა მოუგა ან რას უშვებით მაშინ სხეულს?

ბათე დადუმდა.

— ასე ხომ მოხეტიალე სულები გაჩნდება, — შეშინებულმა წამოიყვირა დაჩიმ.

— მართალი ხარ დაჩი! ეს აპარატი უნდა განადგურდეს! — და მარიამმა ხელის გული მიუშვირა აპარატს, ხელის გულიდან უეცრად, ელგას მსგავსი სხივი გამოგარდა და აპარატი დაადნო.



ირგვლივ სიჩუმე ჩამოვარდა. სიჩუმე ისევ მარიამმა დაარღვია:

— სულმა სხეული მხოლოდ ნებაყოფლობით უნდა დატოვოს! — ეს უკეთ ბრძანება იყო.

დაჩის და ანდრიას, ასეთი შეუგალი და მტკიცე მარიამი არ უნახავთ, მათ არც წარმოედგინათ ასეთი, და უფრო შეუყვარდათ; ორივე მოეხვია. ბავშვების ალე-რსმა მარიამი დაამშვიდა.

— როგორც ხედავთ ზეიმი გადაგედოთ, — უკვე დამთბარი ხმით მიმართა მარიამმა ბათქს, — თან ჩვენი წასვლის დროც მოვიდა. მიდი, ბომბორა გაგვიძეხი! — და მარიამმა ძალლი წინ გაუშვა.

მმები ჩვეულებისამებრ სამ საათზე უკვე სახლში იყვნენ და ბაბუას გაკეთებულ საჭმელს მიირთმევდნენ. მერე, ისევ თავის ოთახში გავიდნენ, ვითომ სამეცადი-ნოდ და ისევ გუშინდელ წიგნის კითხვას შეუდგნენ:

— ათასცხრაას თვრამეტი წელი იდგა, იბერია მრავალმხრივ ომში იყო ჩართული, თურქებმა დაიკავეს ბათუმი და შეუტიეს გურიას. საფრთხე დაემუქრა ოზურგეთს. გიორგი მაზნიაშვილი პატარა რაზმით მოულოდნელად თავს დაესხა თურქებს, მდინარე ჩოლოქთან და თურქების მრავალრიცხოვანი ჯარი გაანადგურა. ხოლო ივნისის თვეში წარმატებული დარტყმა მიაყენა რუსეთის ჯარს. დაიბრუნა ქალაქები გაგრა, სოჭი, ტუაფსე, რომლებზეც პრეტენზიას აცხადებდნენ როგორც თეთრი რუსი ვირთხები, ისე წითელი რუსი ვირთხებიც. ამავე წელს, თავისი რაზმით, იბერიის საზღვარს გადმოსული, სომხებიც დაამარცხა.

— რა მაგრები ვიყავით! ახლა რა გვჭირს ანდრია?



— მაშინ ერთმანეთი გვიყვრდა, ახლა ძმაზე უფრო, განცხომაში ყოფნა გვიყვარს, — დანანებით აღნიშნა ანდრიამ.

— შენ ხომ გიყვარვარ? — პკითხა დაჩიმ ძმას და შეშინებულმა შეხედა: — „ვაი თუ არა“.

— სიცოცხლეზე უფრო! — დაუფიქრებლად უპასუხა ანდრიამ.

დაჩიმ ძმის პასუხმა გაახარა სკამიდან წამოხტა და სავარძელში მჯდომ ძმას ჩაეჭუტა.

— აქ რა ხდება? — იკითხა ოთახში შემოსულმა სავლემ, და როცა ჩახუტებული ძმები დაინახა გული აუჩუყდა. — წამოდით სამზარეულოში თქვენი საყვარეული ფილმი იწყება.

— „ავატარი“? — იკითხა დაჩიმ.

— ჰო, — მოკლედ უპასუხა სავლემ.

— ვაშა! ვაშა! — ატეხეს სმაური ძმებმა და სამზარეულოში გაქანდნენ.

ფილმი თერთმეტის ნახევარზე დამთავრდა. ბაბუამ ბავშვებს რძე დაალევინა და დასაძინებლად გაისტუმრა.

— ბაბუ, რამდენიხანია იგავი არ წაგიკითხავს ჩვენთვის, — თხოვნით მიმართა დაჩიმ.

— კარგით წაგიკითხავთ, — და სავლემ იგავების წიგნი გამოიტანა, ჩამოჯდა ძმების საწოლებს შორის ჩამდგარ სკამზე და კითხვას შეუდგა:

— ერთ სახელმწიფოში, ხანში შესული მეფე ცხოვრობდა, მას სამი გაუი ჰყავდა. ხელმწიფეს ბაღში, შესანიშნავი ხე იზრდებოდა, რომელიც ძალის მომცემ ნაყოფს ისხამდა. მაგრამ, ფასკუნჯი შეჩვეოდა ბაღს, რომელიც დამწიფებულ ნაყოფს იპარავდა. ხელმწიფე დიდად წუხდა ამ გარემოების გამო, და უბრძანა თავის



შვილებს: - „ჩაუსაფრდით ფასკუნჯს და დაიჭირეთ“. პირველად სადარაჯოდ უფროსი ძმები გავიდნენ, მაგრამ ვერ დაიჭირეს - ჩაეძინათ. მერე, უმცროსი წავიდა, ავიდა ხეზე, ტოტზე თოკით მიება, რომ არ ჩამოვარდნილიყო და დაუდარაჯდა ფასკუნჯს. შუალამეს, ფასკუნჯიც მოფრინდა, მოგლიჯა ნაყოფი, და გაფრენა დააპირა თუ არა, ყმაწვილმა ხელი სტაცა, გაიმართა გაწევ-გამოწევა, მაგრამ იძალა ფასკუნჯმა და გაფრინდა. უმცროს ძმას, ხელში, მხოლოდ ერთი გრძელი ბუმბული შერჩა. მაშინ, მამას მიმართა თხოვნით და მამის თანხმობით, სამივე ძმა ჩაუსაფრდა ფასკუნჯს და ორცა ხელმეორედ მოფრინდა ფასკუნჯი, ერთად დაეხსნენ თავს, გაკოჭეს და მამასთან მიიყვანეს. მამას ეამა შვილების გამარჯვება და უთხრა: „გახსოვდეთ სანამ ერთად იქნებით თქვენი მომრევი არავინ არ იქნება“.

- ბაბუ! ეს როგორც სულხან-საბა ორბელიანის იგავშია: „ძალა ერთობაშია“, ხომ? - იკითხა ანდრიამ.

- კი ბაბუ ასეა. და დაიმახსოვრეთ! სანამ ერთად იქნებით თქვენ ვერავინ ვერ მოგერევათ. ახლა კი დაიძინეთ, - და სავლე მისაღებ ოთახში გავიდა, სადაც საზიზღარს უნდა შეხვედროდა.

თეთრწევერა საგარძელში ჩაეშვა და ცალი თვალით კლდის ნატეხს გახედა:

- აბა თუ გამოჩნდება ის ვიგინდარა, - და პასუხს დაელოდა.

- რად შემოიჩიი ეგ უზნეო, დაჟკარ ჯგარი და მოსპე! - გაბრაზებული ხმით მიმართა კლდის ნატეხმა თეთრწევერას.

- რაო, რაო უზნეო? ის არ გეყოფად საზიზღარს, რომ მიძახით, ახლა „უზნეოც“ მაკადრეთ. ეს ერთი, და



მეორე: სანამ თქვენნაირები იქნებიან და თქვენს გონებაში შური, ცილისწამება, ბილწი ზრახვები იარსებებენ მეც ვიარსებებ. ხომ გიოთხარით ამაზე უკვე. ხოლო შენ, კლდის ნატეხო თუ ნაგლეჯო, საერთოდ ჭკუა არ მოგეთხოვება, — და საზიზღარი, როგორც ჩეკვედა ჭიასავით დაიკლაკნა და თეთრწვერას წინ, იატაკზე დაჯდა.

— ვინ მე? — გამოეხმაურა კლდის ნატეხი.
— პო შენ! — და საზიზღარმა თვალები მოჭუტა, — შენ, ჩემი არ იყოს, სული არ გაგაჩნია და ჯობია ჭკუით იყო. თორემ გამოგფიტავ და მტვრად გაგცევ. — და საზიზღარმა ჩაიხითხითა.

— არც მასეა საქმე. ამ კლდის ნატეხებში მადლია, რაც თითქმის სულის იგივობას უსწორდება, ასევე გააჩნია ენერგია, სხვადასხვა ელემენტების მიხედვით, რომელიც ნიადაგს ასაზრდოებს და სამყაროს სასიცოცხლო ციკლში მონაწილეობს, — და თეთრწვერამ ხელის აწევით ანიშნა კლდის ნატეხს: - „შენთან ვარ“.

— რას ნიშნავს სულის უკვდავება? — ირონიულად იკითხა საზიზღარმა.

— სულის უკვდავება ეს დიდი იმედია! — მშვიდი ხმით უპასუხა თეთრწვერამ.

— ვინ დაასაბუთა სულის უკვდავება? — ისევ ირონიულად იკითხა საზიზღარმა.

— უპირველეს ყოვლისა ამას ღმერთი ასაბუთებს, მერე წმინდა წიგნი და, რაოდენ გასაკვირვი არ უნდა იყოს, შენი არსებობაც ამას ამტკიცებს. და, კიდევ იცი, რას გეტევი საზიზღარო, — და დავითმა დამაჯერებელი ხმით განაგრძო საუბარი: — კვანტური ფიზიკა, ამტკიცებს, რომ სინათლის წყარო - ტალღაა, რომელიც იძლევა საშუალებას გავზომოთ სივრცე და მას ასევე,



შეუძლია ერთდროულად გავიდეს ორ ხვრელში და ამის შემდეგ უნარი აქვს გაიყოს კიდევ ორ სხივად, რაც იძლევა იმის საფუძველს ვთქვათ, რომ სიცოცხლეს ანუ სულს შეუძლია შექმნას სამყაროს ერთობლიობა და ადამიანის გარდაცვალების შემდეგ გადავიდეს პარალელურ სამყაროში. და, ეს პროცესი უწყვეტია.

— ჩემი არსებობა?... მე, რა ნაწილი ვარ სულის? — გაკირვებულმა იკითხა საზიზღარმა.

— არა. შენ ამ შემთხვევაში შედარების საშუალებაც კი არ ხარ... აი, მაგალითად ადამიანები სინათლეს ვერ აღიქვამდნენ თუ სიბნელე არ იარსებებდა, ამასთან სიბნელე არ არსებობს, რამეთუ მისი გაზომვა შეუძლებელია, სინათლის გაზომვა შესაძლებელია. შენ, უსულო, რომ არ არსებობდე, სულის არსებობის დამტკიცება როგორც ზემატერიალურის მამოძრავებელი შეუძლებელი იქნებოდა. ამასთან, სინათლის არ იყოს, სული უაკდავებით იზომება. ხოლო, უსულო არსება ანუ შენ, როგორც სიბნელე - არ იზომები, რამეთუ არ არსებობ.

— მაშასადამე, მე, შედარების საშუალებაც არ ვარ... მაშასადამე შენში ვარ... ეს კიდევ უფრო უარესი შენთვის... და, მაშინ მითხარი, შენში ხომ კარგიც არის და ცუდიც, და როგორც შენი ნათქვამიდან გამოდის ერთი მეორეს შედარების საშუალებაა და თუ ასეა რა არის შენში ათვლის წერტილი ანუ საწყისი? — და, და-კვირვებული მზერა ესროლა საზიზღარმა თეთრწვერას.

— კარგი, — მოკლედ უპასუხა თეთრწვერამ.
 — და, ცუდიც რომ შენშია, — წაისისინა საზიზღარმა.
 — ეს მერე შევიძინე, — ცოტა გაბრაზებით უპასუხა თეთრწვერამ.



— პირსახოცი წყალს იმიტომ ისრუტავს, რომ ის ფორებიანი ქსოვილისაგან არის შეკერილი. ანუ, შენში ცუდის საწყისი, რომ არ არსებობდეს ვერც შეითვისებდი, — და საზიზღარმა გამარჯვებული იერით შეხედა თეთრწვერას.

— ალბათ? და სწორედ ამიტომაც დავდივართ ზიარებაზე, — უპე მშვიდად უპასუხა თეთრწვერამ და დაამატა: — სრულყოფილი მხოლოდ ქრისტეა! ჩვენ ამ სრულყოფილებისკენ მივისწრაფით.

— რას მოგცემს ეს სრულყოფილება? — შეპარული ირონით მიმართა საზიზღარმა თეთრწვერას.

— თავისუფლებას და ბედნიერებას, — დავითს სახეზე ნათელმა შუქმა გადაურბინა.

— გუშინ შენ სვან დისშვილებთან ერთად დაგინახე, შენი შვილის ერთ-ერთი მკვლელის სახლთან იყავით გაჩერებულები. არ გასვენებს შურის ძიება? აი, შენი სრულყოფილება, — და საზიზღარმა ისევ ჩაიხითხითა.

— უხ შენი... დაახვიი აქედან, — თეთრწვერას მაგივრად შეუკურთხა კლდის ნატეხმა.

— მართლაც მოგვაბეზრა თავი. შენთან დროს დახარჯვას, არ ჯობია ჩემს მეგობართან გავმართო ბაასი, — და თეთრწვერამ საზიზღარს გულზე დაკიდებული ჯვარი დაანახა.

საზიზღარი ბზრიალასავით დატრიალდა, დაპატარავდა, მუჭისოდენა გახდა და გაქრა.

— კარგია! მომეწონა შენი მტკიცებულებები, მაგრამ სიფიცხე ვერ მოიშალე, — გაისმა ქარაოცას სმა.

— სად ხარ? ვერ გხედავ! — შეწუხდა თეთრწვერა, როცა ქარაოცა ვერ დაინახა.



- ცოტა მაცალე, დავმდიო სივრცის გარდატეხის ზღვარი, - ისევ გაისმა ქარაოცას ხმა.
- შენ არ უნდა გაგიჭირდეს, - გაამხნევა თეთრწვერამ.
- აპა-და მეც, - და ჰაერში უცებ გამოიგვეთა ქარაოცას სხეული.
- გამარჯობა, - ფეხზე წამოუდგა თეთრწვერა ქარაოცას, ხელი ჩამოართვა და თავის სავარძელში დასვა, თვითონაც იქვე მეორე სავარძელში ჩაეშვა.
- რაო, რაღაც სევდას ვამჩნევ შენს თვალებს. ისევ საზიზღარმა დაგტანჯა? - მორიდებით ჰკითხა ქარაოცამ თეთრწვერას.
- არა ძმობილო, - და თეთრწვერამ გაუმხილა დარდის მიზეზი:

გუშინ შემთხვევით ძველ კარადაში,
 ჩემი, ბავშვობის ნივთი ვიპოვე,
 გადამავიწყდა ჩემი ასაკი,
 გულის ტკივილით წარსულს გავხედე.
 გადაიშალა ცხოვრების წიგნი,
 გამოანათა თეთრმა ფურცლებმა,
 დრომ ჩაირბინა ყველა სტრიქონი,
 თვალწინ დამიდგა ჩემი ბავშვობა.
 ყველაზე უფრო ის მაოცებდა:
 წარსული აწყმყოს უთანაგრძნობდა,
 და ჩადენილი ოინბაზობა,
 გულს სიყვარულით როგორ ათბობდა.
 ბავშვობის ნივთი ისევ დავმალე,
 ხვალინდელ დღისთვის შემოვინახე,
 ვიცი ალმაგზნებს, ხვალაც ეს გრძნობა



და ჩადენილი ოინბაზობა.

— ალბათ, ხშირად შენი შვილიშვილების საქციელში, შენი ბავშვობის ოინბაზობას ხედავ. ასეა? — და ქარაოცამ თეორწერას თვალებში ჩახედა:

თვალებში გატყობ გიყვარს ბავშვები,
მზად ხარ, რომ მათოვის გაწირო თავი,
იცოდე! ამას ისინიც გრძნობენ,
ფრთხილად იყავი არ გათავხედნენ.

ხშირად სიყვარულს სიბრმავე ახლავს,
სიბრმავეს მოსხდევს მცდარი დასკნები,
მცდარი დასკნები ბადებს შეცდომებს
და ამით ხარობს სული ბოროტი.

— მართალი ხარ:

ჩემი ბავშვობის ოინბაზობას,
როცა შევამჩნევ ჩემს შვილიშვილებს,
მოგონებები უფრო მიტკბება,
მათი ცელქობა ძაან მახარებს.

არ მეშინია, გეტყვი სიმართლეს,
ჩემს პატარებში ვხედავ მომავალს,
ძალას ეს მატებს, ეს მასულდგმულებს
და ამიტომაც ვუძლებ ყველაფერს.

— მე მჯერა შენი და:

შენი მცდელობა მიაღწევს მიზანს,
ხე გამოიღებს სიკეთის ნაყოფს,



მათი მახვილი გააპობს ბნელეთს
და აღსრულდება სურვილი დმერთის.

თეთრწვერას ესიამოვნა ქარაოცას ნათქვამი:

შენმა ნათქვამმა გამითბო გული,
შენი არ იყოს, მეც მჯერა მათი,
მჯერა - გააღვიძებენ სიყვარულს ერში,
დაგვიძრუნებენ დაკარგულ წარსულს.

წარსულის ცოდნა სულს აამაღლებს,
ისევ გაჩნდება იმედის გრძნობა,
გამოიღვიძებს ერის ფუნქცია
და იძერია აღორძინდება.

ქარაოცა:

ასეც იქნება დიდო რაინდო!
მაგრამ, მე მგონი წასვლის დრო დადგა,
დროა წავიდე - კეთილო კაცო.

და, ქარაოცა უეცრად გაქრა.



დილა დილინებდა: გაზაფხული მიიღია,
მინდორს ფერი ეცვალა,
მწყერი ხორბალს მიეტანა,
შეიმოსა ლაპია და ბახალა.

დილიდანე ქალაქში სიცხე იგრძნობოდა. ტიმოთე
ადრიანად ამდგარიყო, ცოცხს ცელივით იქნევდა, ნაგავს

-101-



ხან ერთ მხარეს, ხან მეორე მხარეს მიაყრიდა და მერე, მეორე განზომილებაში გააქანებდა. მუშაობაში გართულს დილის დილინი შემოესმა. და თავისთვის გაიფიქრა: „აჟა, ჩემი არ იყოს, ამასაც დაუწეუია ლექსების წერა”, და ოამოდენიმე სტრიქონი აკენწლა:

ცა ლაინით დაიბურა,
ტყე ზურმუხტის ფერებით,
ლაბა ჩაკუნწულებულა -
თავს იწონებს ვარაყით.

დილამ, ტიმოთეს გამოწვევა მიიღო:

კეგრი კალოს ეტანება,
კალო პურის ყანას.
ცელი მინდორს მიეპარა,
საქონელი ჩალას.

— ახლა ჩემი ჯერია, — და ტიმოთე, დილას მიერ შეთხზულ რითმს აჟყვა:

ქვევრს სასმელი მოენატრა,
ღვინოს კაიკაცობა,
შემოდგომას ქალწულობა,
ზამთარს, თავის ბავშვობა.

— ჩემი ჯერია! — დილას შეეშინდა არ გააგრძელოსო ტიმოთემ და მიაყარა:

ბავშვი სურვილს ჩაუსაფრდა,



ზნეს სურვილი ეცვალა,
დღოს ასაკი აედევნა,
ასაკს - გაზაფხულის ოცნება.

ტიმოთე მიუხვდა დილას, და უფრო ცხადად თქვა
სათქმელი:

ომას ჭალარა გაერია,
გულს დააჩნდა იარა,
სიყმაწვილე სადღაც გაქრა,
გაქრა თავისთავადა.

— რაო მენაგვე, სევდა შემოგაწვა? მთავარია გული
არ დაგიბერდეს! — გაუდიმა დილამ ტიმოთეს და
ტიმოთესაც გაედიმა. და, ეს ყველაზე ლამაზი დილა
იყო ტიმოთეს ცხოვრებაში, რამეთუ კიდევ ერთხელ
დარწმუნდა, რომ:

მაგრამ:
გაზაფხული ისევ მოვა!
აყვავდება მინდვრები,
ხორბალს მწყერი შეესევა,
მარანს - მსმელი ბიჭები.

— პოხ, რა პოეზიის საღამო გაგიმართიათ, — და
ქარმა ისე ჩაიქროლა, რომ ტიმოთეს კინაღამ ქუდი
მოჰკივად.

— ეი, ფრთხილად! — მიაძახა ტიმოთემ, და უკან
მობრუნებულ ქარს შესთავაზა: — მოდი შენც ჩაერთე



პოეზიის პაექტობაში; თუ შენ, სხვა რამეები უფრო გაინტერესებს?

— მე, ხალხის ქცევას ვაკვირდები, აი, ეს უფრო მაინტერესებს. ამასწინებზე, ერთ რესტორანში შევესწარი ქალმა სილა როგორ გააწნა მამაკაცს. ეს, ის ქალი ძალიან შემიყვარდა, — და ქარმა ისე ამოიხვნება, რომ ტიმოთეს ძალიან შეეცოდა.

— სიყვარულს დიდი ძალა აქვს... მოუსვენარო ძმობილო! შენ ყველაზე, ყველაზე თავისუფილი ხარ ჩემს მეგობრებს შორის და მიკვირს სიყვარულმა როგორ დაგჯაბნა? — და ტიმოთემ გამოცდილი მზერა ააყოლა ქარს, რომელიც ადგილზე ციბრუტივით ტრიალებდა და საღეჭი რეზინივით გაიწელა ჯერ სიმაღლეზე და მერე კი სიგანეზე.

— ძმობილო თავისუფლება შინაგან ბუნებიდან გამომდინარეობს და ქცევის მთავარი განმსაზღვრელია... თუმცა გარეშე გარემოებებიც ახდენენ ჩემზე გავლენას. ამდენად, უნდა გაგვაჩნდეს გარემოს სწორი აღქმის უნარი. — და ქარმა ზუსტად ისეთივე გამოცდილი მზერით შეხედა ტიმოთეს როგორითაც ცოტახნისწინ ტიმოთემ, მერე დილას გახდა, რამოდენიმეჯერ დატრიალდა და, ჰქითხა: — შენ როგორ ფიქრობ?... და, რა ჰგონია რა არის აღქმა?

დილა დაფიქრდა, მისთვის ჩვეული ხალისით შემოსკუპტა ტიმოთეს ცოცხის ტარის თავზე, თვალი შემოავლო გარემოს და ახსნას შეუდგა:

— აღქმა არის ფაქტების, მოვლენების, საგნების მყისიერი ანალიზი, რომელიც შეიძლება მოხდეს თვითნებურად ან უნებურად. თვითნებური აღქმისათვის დამახსასიათებელია აღქმული ფაქტების, გარემოებების, მოვ-



ლენების, საგნების შედარებითი სიზუსტე, ამგვარი თვისება, შედარებით მოკლებულია აღქმის ისეთ ფორმას როგორიცაა უნებური აღქმა, რომლის დროსაც ყურადღება გაფანტულია და აღქმა ხდება უნებურად.

— მე, შენგან განსხვავებით, ძირითადად ადამიანის ქცევებს, აღვიქვამ თვითნებურად ანუ გარკვეული მიზნის არსებობის საფუძველზე. მაგრამ, ამას არ ვჯერდები და შემდგომში ვახდენ ქცევის ანალიზსაც, — ქარმა შეაწყვეტინა რა საუბარი დილას, ამაყი კაცის გამომეტყველება მიიღო.

— კარგი, თუ ასეა, როგორ ახსნი აი, იმ გოგონას ქცევას, — და დილამ ქარი მიახედა ქუჩაში მიმავალ ახალგაზრდა გოგონასაკენ, რომელიც უეცრად გაჩერდა, შემოტრიალდა, დაბნეულმა დაიწყო აქეთ-იქით ყურება და ტანსაცმელების მაღაზიაში შევიდა.

— ააა, ამ გოგონამ ნაცნობი დაინახა და თავი აარიდა. — ქარს თავის ნათქვამზე გაეცინა და მორიდებით მიმართა მეგობრებს: — უნდა ვაღიარო, რომ ამ გოგონას ვიცნობ, და ვიცი რატომაც მოიქცა ასე... ეს არ მეთვლება.

— კარგი ვდებულობთ შენს აღიარებას, ოღონდ მოგვიყევი ამ გოგოს საქციელს რა უდევს საფუძვლად. — თხოვნით მიმართა ტიმოთემ.

— ჰო, ჰო მოგვიყევი, — დილამაც გამოხატა დაინტერესება.

— ეს გოგონა ნაწყენია აი, იმ კაცზე... რომელიც მამამისია, — და ქარმა, მეგობრები ხანში შესული სათვალებიან კაცისკენ გაახედა.

— რატომ? — გაკვირვებულმა იკითხა დილამ.



— ეს გოგო, სულ რამოდენიმე თვის იყო, იმ კაცმა ანუ მამამისმა, რომ მიატოვა, — და ქარმა თვალი გააყოლა ჩაფიქრებულ სათვალებიან მამაკაცს, რომელმაც ისე ჩაუარა გვერდზე, რომ ყურადღებაც კი არ მიაქცია მათ ლაპარაკს; არა-და ქარმა იცოდა, რომ ამ მამაკაცს ესმოდა არა მარტო მათი საუბარი, არამედ ყველა სულიერი არსების და უსულო საგნების ქცევასაც ზუსტად აღიქვამდა.

— რა მოხდა ასეთი? — ახლა ტიმოთემ იკითხა.

— მართალი გითხრა არც არაფერი. მაგრამ, თვითონ დრო იყო ძალიან არეული... თან, ამ კაცს, უახლოესმა მეგობარმა უდალატა, იყო ასეთი კაკო-ტრაქო ელისა და აღარავის სჯეროდა — უნდობლობის ბრალია. მერე ხომ იცით, ხალხის ამბავი ვიღაცა რაღაცას მოიგონებდა, ვიღაცა რაღაცას იტყოდა... მოკლედ რომ გითხრათ, კაცი გადარიეს, არც ცოლმა დააკლო... და გაერიყა ყველას და ყველაფერს. ძალიან გაუჭირდა, ლგინოს მიემალა და არავის უმხელდა თავის დარდს, ყველაფერი გადაიტანა, ფეხზე დადგა და ქალიშვილის დაბრუნებაც ცადა, თითქოს დაიბრუნა კიდეც, მაგრამ აქაც გაუგებრობა მოხდა... ვერ გაუგეს ერთმანეთს, იჩეუბეს მამა-შვილმა, ქალიშვილი დედის ჭკუაზე იყო გაზრდილი, და ყველაფერი ისევ აირია. ახლა შვილს მამის დანახვაც არ უნდა; თუმცა მამას ჯერა, რომ შვილს გულის სიღრმეში მაინც უყვარს მამა და შეურიგდება.

— ეს რა მთელი ტრაგედიაა, — და დილამ იმ მაღაზიაში შეიხედა სადაც ის გოგონა იყო შესული. გოგონა, მაღაზიაში, ვითომ ტანსაცმელს ათვალიერებდა... სინამდვილეში კი, მზერა ქუჩისქენ მიემართა - დარაჯობდა მამამისს, თუ როდის ჩაივლიდა.



— კარგი ამ ამბავს შევეშვათ. აი, იმ კაცის საქციელ-ზე რას იტყვი, — და ტიმოთემ, ქარი მაღალი მამაკაცისკენ მიახედა, რომელიც ყველას უდიმოდა და ოუნაცნობს დაინახავდა მისკენ მოკრძალებით და განათებული სახით გაემართებოდა — თითქოს-და მას რომ შეხვდა, ეს მისთვის დიდი ბედნიერება იყო.

— ეეს... ამ განზომილებაში საიდან გაჩნდა? — ჩუმად, საკუთარ თავს პკითხა ქარმა და მერე, ყველას გასაგონად თქვა: — ის, რუსეთის უშიშროების ყოფილი თანამშრომელია, დიდი გაიძვერაა, ეს კოტ აბუ-ლიფ-ძე გახლავთ, ზესტაფონელი ქათამას მარჯვენა ხელია.

— ამასაც იცნობ? — პკითხა დილამ.

— ვიცნობო? მან თავის საქციელით ყველას გააცნო თავი. რასაკვირველია, თუ ის არის, მაგრამ, მგონი არ ვცდები; მან უმუშევარი დატოვა, სამი შვილის პატრონი ნანა ნადარეიშვილი, აი ის ქალი ქუჩის მეორე მხარეს რომ მიდის ახლა. — და ქარმა, მეგობრები, ქუჩის მეორე მხარეს გაახედა და, განაგრძო საუბარი: — არა მარტო ეს ქალი, უნივერსიტეტში სხვებიც ისე ოსტატურად დატოვა ფუნქციის გარეშე, რომ იძულებულები იყვნენ დაეტოვათ სასწავლებელი. ხოლო, მისი ყველაზე დიდი დანაშაული ისაა, რომ ამირანის მამის, დავითის, მკვლელობაში მიიღო მონაწილეობა. პო-და, მისი, ეს საქციელი, რაც თქვენ ამჟამად იხილეთ, ადვილი ასახსნელია როგორც ქცევა გამოწვეული შიშის ფაქტორით, ხოლო, ფაქტორის განმსაზღვრელია მის გონებაში არსებული ეჭვი: — „ხომ არ გამიკეთებია მისთვის, კონკრეტულად ვისაც ახლა შეხვდა ქუჩაში, რაიმე ცუდი?“



— კარგი ამ ბავშვის საქციელს როგორ აღიქვამ, — და ახლა დილამ, ქარს, ბავშვი დაანახა, რომელიც ხან ერთ გამლელს შეხედავდა თვალებში, ხან მეორეს.

— ეს ბავშვი ეძებს იმ ადამიანს, რომელიც შეიძლება იცნობდეს მას და იცოდეს მისი გაჭირვება. ამ ბავშვს ახლახანს, სულ ორი თვეა რაც მშობლები გარდაეცვალა, მარტო დარჩა, ძალიან უჭირს, შია და მშველელს ეძებს, — და ქარმა ტიმოთეს გახედა.

— ნამდვილად იცი? — ჰეითხა ტიმოთემ.

— სახელსაც გეტყვი: ლაზარე ჰქვია. — და ქარი რაღაცის მოლოდინის გამო დადუმდა, ასეც მოხდა - ტიმოთემ გაუბედავად დაუძახა ბავშვს:

— ლაზარე!

ბავშვმა უკან გამოიხედა და გახარებული თვალები მიანათა ტიმოთეს:

— ბატონო?! — და გაუბედავი ნაბიჯით ტიმოთესაკენ წამოვიდა.

— სად მიდიოდი? — ისევ გაუბედავად ჰეითხა ტიმოთემ ბავშვს.

ბავშვმა მხრები აიწურა.

— გინდა ჩემთან ავიდეთ? — ტიმოთეს ხმას გამბედაობა დაუბრუნდა.

— კი, — მოკლედ უპასუხა ლაზარემ.

და, ტიმოთემ ხელი ჩაჭიდა ბავშვს. ორივე ჩუმად შევიდა ტიმოთეს სახლის სადარბაზოში.

— ტიმოთეს საქციელი როგორ აღიქვი? — ლიმილით ჰეითხა დილამ ქარს.

— დმერთის სიყვარული და საკუთარი მარტოობის დამარცხების სურვილი ამოძრავებს. — და ქარი ტიმოთეს ფანჯრის მინას აეკრო.



ოთახში ტიმოთე და ლაზარე შემოვიდა. ტიმოთემ შეამჩნია ფანჯრის მინას აკრული ქარი, გაედიმა და თითო დაუქნია. ქარს მოერიდა და მოცილდა ფანჯარას, მიიხედ-მოიხედა და გზაში მიმავალ ძმებს აეღევნა.

ქარის სიგრილე ძმებს ეამათ, განსაკუთრებით ბომბორას. ასე ზდია ქარმა ძმებს მარიამის სახლის სადარბაზოს კარებამდე და მერე თავი დაანება.

ძმებმა ამჟამად კარებზე დააკაკუნეს.

— მოღრძანდით, — ჩვეული გულდიაობით შეეგება მარიამი ძმებს.

ძმებმა ოთახში შესვლისთანავე, თითქოს პირველად ყოფილიყვნენ, იქაურობის თვალიერება დაიწყეს.

— რას ეძებთ? — იკითხა მარიამმა.

— ეს ოთახი სივრცითი კარიბჭეა? — ჰკითხა ანდრიამ. ეტყობა ძმებს მარიამის ოთახის შესახებ ბევრი ემჯელათ და რეალური პასუხი აინტერესებდათ.

— მართალია, კარიბჭეა, — დაეთანხმა მარიამი, და ჰკითხა: — გინდათ მოგიყვეთ ამ კარიბჭის შესახებ?

— დიახ, — ძმას დაასწრო დაჩიმ.

— კარგით. მაშინ, აი, იმ სავარძლებში ჩასხედით. — მიანიშნა მარიამმა და თვითონაც მოპირდაპირე მდგარ სავარძელში მოკალათდა, და თხრობას შეუდგა: — დედამიწაზე სამი სივრცითი კარიბჭეა; ერთი რომელიც გოა-ირუბაქიძე-რამ გიზაში ააგო, მეორე დიდი გამყინვარების წინ ანტარქტიკაში ააგო იბ-ქართიმ და მესამე აქ ჩვენთან აიგო, იბ-ქართის შვილის კაიკამმაის მიერ. მე, კაიკამმას შთამომავალი ვარ... და, როცა ვამბობ ააგო-თქო, ვგულისხმობ ისეთი სივრცის შექმნას, რომელსაც გარს არტყია მაღალი მაგნიტური ველის სარტყელი და, რომელიც თავის მხრივ შემორტყმულია



უწონადი თხელი გარსით. ამ სარტყელების მონაცემლებით იქმნება წარსულში და მომავალში შემავალი კარები.

- ეს, როგორც ამ ოთახში? – იკითხა ანდრიამ.
- დიახ, – მოკლედ უპასუხა მარიამმა და თხრობა განაგრძო: – გიზას კარიბჭე, ეგვიპტის უკანასკნელი გამგებელი დადეშეკელიანის ვაჟის – თერახის, წამოსვლის შემდგა, ქვიშით დაიფარა და, მხოლოდ მეოცე საუკუნეში ეგვიპტოლოგმა, პროფესორმა დაგფორგსმა აღმოაჩინა. პროფესორმა ეს აღმოჩენა ამერიკელ მეცნიერებს გააძლი, მაგრამ, მისი გადატანა ქალაქ ვაშიგტონში ვერ მოხერხდა, ეს სისტემა ჯერ გერმანელებმა ჩაიგდეს ხელში და, მერე, მეორე მსოფლიო ომის მიწურულს, რუსმა ფაშისტებმა.
- აი, თურმე, რითი აშინებს პუტინი დასავლეთის ქვეყნებს, – და ანდრიამ გამჭრიახე პოლიტიკოსის გამომეტყველება მიიღო, მაგრამ ეს მისი ასაკისათვის იმდენად შეუფერებელი და სასაცილო იყო, რომ მარიამს და დაჩის სიცილი აუგარდათ. ანდრია, ჯერ განაწყენდა, მაგრამ, მერე, თვითონაც აჟყვა სიცილში.
- ანტარქტიკაში არსებული კარიბჭე სად არის? – იკითხა დაჩიმ, რომელიც ჯერ კიდევ სიცილის ტყვეობაში იმყოფებოდა.
- ხომ არ ჯობია წარსულში მოგზაურობა დავიწყოთ? თორემ დრო ისე მალე გაირბენს, და... – მიუხედავად იმისა, რომ ანდრია მარიამს და მმას სიცილში აჟყვა, მაინც ეტყობოდა წყენა.
- წარსულში? კი ბატონო. რომელი პერიოდში გსურთ მოგზაურობა? – სიცილს ვერ იცილებდა სახი-



დან მარიამი, თან ანდრიას შეჰყურებდა: „ვაი, ზედმეტი ხომ არ მომდის, არ ეწყინოს?"

— აფხაზეთის ომში, — ანდრიამ თხოვნით მიმართა მარიამს.

— აფხაზეთის ომი? ჰოო... ეს უკეთ წარსულია, მითუ-მეტეს თქვენთვის. და, რატომ აფხაზეთის ომი? — ცნობის მოყვარეობამ სძლია მარიამს.

— იქ, როგორც ბაბუამ გვიამბო, ჩვენი უბნის ერთი კარგი ბიჭი დაიღუპა, სოხუმის სატელევიზიო ანბის დაცვის დროს, — სევდიანად უპასუხა ანდრიამ.

— რა ერქვა? — სევდა მარიამსაც გადაედო.

— როგორც მახსოვეს ზურა, გვარად გაგუა, თუ არ ვცდები, — და ანდრიამ მარიამს ახედა. აშკარა იყო ბავშვების სხვა გრძნობაც ამოძრავებდა დაღუპულის მიმართ.

— კარგი ასე იყოს, — დაეთანხმა მარიმი და კარი შეაღო. კარებთან უკეთ ფასკუნჯი ელოდებოდათ, თით-ქოს წინასწარ იცოდა ბავშვების განზრახვა.

— ეე, ფასკუნჯი უკეთ აქ არის! — აღფრთოვანება ვერ დამალა დაჩიმ.

— ჲო, აქ არის. მაგრამ, იცოდეთ დღეს ჩვენ უხილავები ვიქნებით და მიუწვდომელნი, — გააფრთხილა მარიამსა.

— რას ნიშნავს მიუწვდომელი? — იკითხეს ძმებმა.

— რას-და, იქ მიმდინარე მოვლენებს პარალელურ სამყაროდან უნდა ვადევნოთ თვალი და, ეს იმიტომ, რომ ტყვია არ მოგვხვდეს... დროა, დაიკავეთ თქვენი ადგილები. — უკეთ ბრძანებით მიმართა მარიამმა ბავშვებს.



ფასკუნჯმა იგრძნო თუ არა, რომ ყველა მზად იყო ასაფრენად, მძლავრად მოიქნია ფრთები და პაერში აფრინდა. ცოტახანში, შორს, ჯერ ლურჯად მოლივლივე ზღვა გამოჩნდა, მერე ცეცხლის კვამლში გახვეული სოხუმი, გაისმა სროლის და აფეთქების ხმაც, რომელიც ქალაქთან მიახლოვებისას უფრო და უფრო ხშირდებოდა. ფასკუნჯი ნელა მიუახლოვდა იბერიელ მებრძოლთა ერთ პატარა ჯგუფს და მათ თავზე, პაერში დაეკიდა, ბავშვებმა ნათლად გაიგონეს საუბარი:

— რა ხდება, რა? ჩვენი მთავრობა სულ არ გვაქცევს ყურადღებას, — საუბრობდა ხაკისფერ კურთუქში გამოწყობილი წვერმოშეგებული ახალგაზრდა მამაკაცი.

— ჰოო... საჭმელი თუ არა, ტყვიები მაინც მოგვაწოდონ, — აღნიშნა, ასე სულ დიდი-დიდი ჩვიდმეტი წლის ბიჭმა.

— ამ რუსებმა საპაერო სივრცე გადაგიკეტეს, დაჭრილები ვერ გამოგვყავს, ფუ მაგათი, — შეიგინა წვერმოშეგებულმა ახალგაზრდამ.

— გაიგეთ? რუსების გენერალი კანდრატიევი ოცდამეოთხე ლაბორატორიის დაბომბვას გვაბრალებს. ეს ოხრები, ჩუმათ ხომ გვებრძვიან, ახლა მიზეზს ეძებენ აშკარა დაპირისპირებისათვის, — საუბარში ჩაერთო სათვალებიანი მამაკაცი.

— რა ლაბორატორიაა ეს ოცდამეოთხე ლაბორატორია? — იკითხა ჩვიდმეტი წლის ბიჭმა.

— მიწისქვეშა ლაბორატორიაა. ამბობენ ტექტონიკური იარაღის ლაბორატორიაა, — ამჟამად საუბარში ხანში შესული მამაკაცი ჩაერთო, კილოზე ეტყობოდა, რომ კახელი უნდა ყოფილიყო.

— ეს ჩეგოტკინი ვინდაა? — იკითხა სათვალებიანმა.



— ოხ მაგისი, — ისევ შეიგინა წვერმოშვებულმა ახალგაზრდამ.

— ეს ის გენერალია ხომ? ჩვენი ბიჭები, რომ შეიტყუა ლაბორატორიის ბაზაზე და მერე იქ ჩასაფრებულ სომხებს დაახოცინა? — იკითხა სათვალებიანმა.

— ჰო, ეგ არის. — მოკლედ უპასუხა კახელმა.

— რა ვქნათ? სანამდე ვეყაროთ აქ? — იკითხა წვერებიანმა.

ფასკუნჯი მაღლა აფრინდა და ქალაქის დასავლეთისკენ აიღო გეზი. შორიდან ცეცხლის კვამლში გახვეული ტელევიზიის ანძა გამოჩნდა, გამოჩნდნენ ანძის დამცეცლი იბერიელი ჯარისკაცებიც. ფასკუნჯი ჯარისკაცების თავზე, ასე დაახლოებით ცხრა მეტრის სიმაღლეზე, ჰაერში ჭალივით დაეკიდა. მმებმა, აფეთქებული ყველბარების კვამლში კარგად გაარჩიეს შვიდი ჯარისკაცის იმედდაკარგული სახეები:

— ეს სიმაღლე თუ დავთმეთ, რუსი კაზაკები სოხუმს აიდებენ, — გაისმა ერთ-ერთი მებრძოლის გაბედული ხმა.

— მაგრამ, ალყაში გვაქცევენ, — ხმადაბლა თქვა, ქვიშით ამოგსებულ ტომარას ამოფარებულმა ჯარისკაცმა.

— კარგი რა! სხვა დროს ასეთი შესაძლებლობა არ გვექნება ვაჟკაცობის გამოსავლენად! — ისე ლადად თქვა ეს, ხის მორს ამოფარებულმა ჯარისკაცმა, რომ ყველას სახეზე ენით აღუწერელი გაკვირვება გამოესახათ.

— რას ამბობ ზურა, ესე იგი აქ თუ დავიხოცეთ ბედნიერები უნდა ვიყოთ? — იკითხა ქვიშით ამოგსებულ ტომარას ამოფარებულმა ჯარისკაცმა.



— ბიჭო უბანს ნუ არცხვენ, — სიცილით მიმართა ზურამ მეგობარს.

— ეს რა შუაშია? მე, მირჩევნია რომელიმე მყინვარის დალაშქერის დროს დავიღუპო, ვიდრე რუსი ღორის ტყვიამ მომკლას, — გაბრაზებულმა უპასუხა ტომარას ამოფარებულმა ჯარისკაცმა.

— ბიჭო სამშობლოს გულისათვის იღუპები, — საუბარში ჩაერთო ფერმკრთალი ჯარისკაცი, რომელიც ხაშიშით გატენილ სიგარეტს აბოლებდა.

— ჰოო, შენ ალბათ, უკვე, შენს წარმოსახვაში შუაბულ ომში ხარ, ან კიდევ სამოთხეში, — გასცინა, ხაშიშით გაბრუებულ ჯარისკაცს, ჯინსებში გამოწყობილმა ახალგაზრდამ, და დაამატა: — ბევრი არ მოწიო, თორემ შეიძლება რაიმე მოგელანდოს და ჩვენ დაგვიშინო ტყვიები.

— აუ, ამან შემჰამა მთელი ომი რაა... რა შეწზე ნაკლებად ვიბრძვი? — შეუტია ფერკრთალმა ჯარისკაცმა და ხაშიშიან სიგარეტს ძლიერად დაარტყა ნაპასი.

— მოკეტეთ! რადროს ჩეუბია! შეხედეთ მოიპარებიან... უხ, მაგათი... რამდენი არიან ეგ ძაღლის შვილები, — და ავტომატი მოიმარჯვა ხანში შესულმა ჯარისკაცმა.

— დავეხმაროთ! — უეცრად წამოიყვირა დაჩიმ.

— სამწუხაროდ ვერ შევძლებო. ჩვენ სხვა განზომილებაში ვართ. — გულდაწყვეტით აღნიშნა მარიამმა.

— ნახეთ ორი ვერტფრენი! ისინიც ჩვენსკენ მოემართებიან. — და, ანდრიამ ისე ძლიერად მოუჭირა ბომბორას თათზე ხელი, რომ ძაღლმა წკმუტუნი ატეხა.

რუსების ორმა ვერტფრენმა იქ სადაც იბერიელი ჯარისკაცები იყვნენ, ექვსი რაკეტა დაუშინა და უკან



გაბრუნდა, იქაურობა ცეცხლის ალმა მოიცვა, გაისმა ჯარისკაცების სასოწარკვეთილი დრიალი:

- ოჲ, თქვენი დედები... ისე მოდით, ერთი ერთზე!
- თქვენ მამებს მივაფსი, რუსო ღორებო!
- ვაიმე, მუცელში დავიჭერი!
- გიო! რა გჭირს!
- თენგო მოკლეს!
- ზურა! სადახარ?! დროზე დამეხმარე!

როცა ცეცხლის კვამლი გაიფანტა დაჩიმ და ანდრიამ ნათლად დაინახეს ზურას ერთ-ერთი ჯარისკაცისათვის მხარი ამოედო, თვითონ კი მთელი ტანით გამართულიყო და ცალი ხელით გაფრენილი ვერტფრენის მიმართულებით ისროდა. ზურას შემყურე, ორი გადარჩენილი ჯარისკაციც წამოდგა:

- რაო?! ზურა! შეგუტიოთ!
- აბარა!

და, სიტყვა „აბარა“ ოთხივემ ერთად წარმოოქმდა. მერე, ერთად თავქვე დაეშვნენ, თან ყველა მხარეს ისროდნენ სადაც ჩასაფრებული მტერი ეგულებოდათ.

- მიდით! მიდით! ოჲ, მაგათი! – ამსნევებდნენ დაჩი და ანდრია, თან მარიამს გახედავდნენ რომელსაც სახე ხელებში დაემალა და ხმამაღლა ქვითინებდა.

ზურამ საშინელი სიმძიმე იგრძნო, ლამის მკლავი მოწყდა, მიხედა მისი მეგობარი „კრამიტა“, ასე ეძახოდნენ ზედმეტ სახელად, გარდაცვლილიყო. ფრთხილად დააწვინა მიწაზე და სროლით გზა განაგრძო. ცოტახანში გაჩერდა, მძიმედ ამოისუნთქა - ტყვიები გათავებოდა, მიიხედ-მოიხედა, მისი მეგობრებსაც გათავებოდათ ტყვიები, ერთმანეთს გაოგნებული მიაშტერდნენ. და! იმერელმა, იმერელი იყო და ზედმეტი სახელიც ასეთი პეონ-



და, იმერული სალაშქრო სიმღერა წამოიწყო, მეგობრებიც აყვნენ. სიმღერამ ჰაერი ააფეთქა, ზღვის ტალღები აშალა და ავტომატის შემაძრწუნებელი ხმა შთანთქა. მიწამ კი დაღვრილი იძერიელების სისხლი.

— დაგბრუნდეთ, — ითხოვა დაჩიმ, რომელიც ბომბორას ჩახუტებოდა და ცრემლებს ძლივს იკავებდა — ახსოვდა ბაბუას ნათქვამი: „ვაჟებაცები არ ტირიანო”, მაგრამ, ეტირებოდა.

ფასკუნჯი თითქოს დაჩის ნათქვამს ელოდა, უეცრად მოსწყდა იქაურობას და სახლისკენ გაქანდა.

ძმებს არ ეგონათ, რომ მარიამი იტირებდა და ახლა დამნაშავეებივით უცქეროდნენ, საგარძელში მჯდომ და ფიქრებში ჩაფლულ მარიამს.

ისევ მარიამმა დაარღვია უხერხული სიჩუმე:

— იციო რა არის ვაჟებაცობა?

ძმებმა დუმილით უპასუხეს.

მარიამმა დაბალი ხმით დაიწყო საუბარი:

— გმირობის შემფასებელია დრო, რამეთუ, იცვლება ფასეულობები და იცვლებიან აღამიანები, სიტყვა „გმირისადმიც” იცვლება დამოკიდებულება. ძველად, გმირობა სულის გაცისეროვნებასთან იყო გაიგივებული, ამჟამად, ადამიანებში, ამ ფასეულობამ უკან დაიხია და წინ წამოიწია მატერიალურმა გრძნობამ - „მე, გმირი გავხდები და უზრუნველყოფილი ვიქნები მეც და ჩემი ოჯახიც”. გრძნობა ანუ გაგება: „მე, ვიცავ ჩემს მიწას”, ან: „მე ვებრძვი ბოროტებას” ან: „მე, ვიცავ სარწმუნეობას”, ან კიდევ: „მე, ვიცავ ჩემს სამშობლოს” - გაქრა. ძველად, ცოცხლებს სიცოცხლეშივე მიაგებდნენ პატივს, გარდაცვლილებს კი იგონებდნენ. ძველი დროის გმირების ჩამოთვლას ალბათ მთელ დღეს მოვანდომებ, მაგ-



რამ, მაინც ჩამოგითვლით რამოდენიმეს: დავით-ალმაშენებელი, გიორგი-ბრწყინვალე, ცოტნე დადიანი, მხატვარი ფიროსმანი, ჩვენი ღვაწლმოსილი ილია ჭავჭავაძე. აი, მაგალითად ილია ჭავჭავაძემ ისეთი გმირობა ჩაიდინა, რომ ბევრ ქართველ მეუეს თუ მებრძოლს შეშურდებოდა. ილიამ ძალიან მმიმე ჟამს შეძლო გაყიდული იბერიის მიწების უკან დაბრუნება - გამოისყიდა. მაგრამ, არიან გმირებს შორის გმირები ესენია: სამასი არაგველი და დღევანდელი ბიჭები, რომლებმაც კარგად იცოდნენ, რომ ომი წაგებული იყო, მაგრამ ბოლომდე იბრძოლეს. ნათელი მათ ხსოვნას. და, თამარმა ძმებს გახედა.

ძმებმა ისევ დუმილით უპასუხეს, მაგრამ თამარმა მათი სათქმელი თვალებში წაიკითხა და შვებით ამოისუნოქა.

ბომბორა აწრიალდა.

- თქვენი სახლში წასვლის დრო მოსულა, - და მარიამი წამოდგა.

ძმები მიუხვდნენ მარიამს და თვითონაც წამოდგნენ.

ქუჩაში მიდიოდნენ ძმები და გვერდზე უზარმაზარი ძალლი მიჰყებოდათ. ძალლს რომელსაც ადამიანის გული უცემდა, ადამიანივით განიცდიდა უსამართლობას, უყვარდა სიცოცხლე და ტირილიც იცოდა. ძმები, როცა ბომბორას ეფერებოდნენ ზუსტად ისითივე სითბოს გრძნობდნენ როგორც ეს მამასგან მოდიოდა, და იქნებ ეს მართლაც ასე იყო, ვინ გაიგებს შემოქმედის სურვილს - ვერავინ.

- დღეს რადაც ადრე მოხვედით, - გაკვირვებულმა იკითხა სავლემ და შვილიშვილები კარებში გამოატარა.



— ბოლო გაკვეთილი გაგვიცდა, — უპასუხა ანდრიამ, ძმას გახედა და გულში გაიფიქრა: „გაი, რა ოსტატურად ვიცრუე, ეს ცუდია”.

— თქვენი მეგობარი ძალლი, ქვევით გელოდებათ? — ჰკიოხა ოთახში შემოსულ შვილიშვილებს სავლემ.

— ალბათ, — უპასუხა დაჩიმ.

— მიდიოთ, სამზარეულოში ძეხვია, მისთვის ვიყიდე, ჩაუტანეთ, — იცოდა სავლემ ბავშვებს ეს ამბავი გაახარებდა, და მართლაც:

— ბომბორასათვის! — ორივემ სიხარულით წამოიყვირა და ის ნადველი, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში მოყვებოდათ, გაუქრათ.

ბომბორა, რომელიც სადარბაზოს კარებთან გაწოლილიყო, კიბეებზე ფეხის ხმის ხმაურზე წამოხტა და წამუტუნით ბავშვებს მიეგება. თითქოსდა იცოდა, რომ მისთვის გემრიელი რაღაც მოჰქონდათ.

— ნახე, ნახე ძუდს როგორ აქიცინებს, — და დაჩი, ძალლს, კისერზე მოეხვია. ბომბორა კი ცდილობდა, დაჩი, მოეცილებინა და მთლიანად ძეხვის ჭამის სიამოვნების მორევში ჩაძირულიყო.

— დაჩი, შეხედე! აი, ეს ნაჭერი იმას გადაუგდე, — ანდრიამ, ძმა, მაწანწალა ძალლისექნ მიახედა, რომელიც შეშინებული, ამასთან მუდარის თვალებით უცქერდა მათ.

დაჩიმ, ძეხვის პატარა ნაჭერი გამოართვა ძმას და მაწანწალა ძალლს მიუტანა და მიწაზე ფრთხილად დაუდო. ძალლმა ჯერ უკან დაიხია, გაგცევა დააპირა, მაგრამ როცა იგრძნო, რომ საშიშროება არ ემუქრებოდა, კისერი წაიგრძელა, ფრთხილად მიეპარა ძეხვის ნაჭერს და როგორც კი პირი დაავლო, იმწუთშივე



გაიქცა. ბავშვებს, მაწანწალა ძაღლის საქციელზე გაუცინათ. ცოტახანში მაწანწალა ისევ გამოჩნდა. მაგრამ, ძმებს ძეხვი აღარ დარჩენოდათ. ორივემ ერთმანეთს გადახედეს და, მერე, ბომბორას, რომელიც ძეხვის ბოლო ნაჭერს მიადგა შესაჭმელად... - ძმები დადუმდნენ. ბომბორა, მიუხვდა მეგობრებს და უკანასკნელი ძეხვის ნაჭერს პირი დაავლო და თავის მომეს მიუტანა, როგორც ძმებმა, მანაც ფრთხილად დაუდო ძეხვის ნაჭერი მიწაზე - მაწანწალა ძაღლს.

- სად ხართ? რას აკეთებო აქამდე? - შვილიშვილების საძებნელად გარეთ გამოსულიყო სავლე, და როცა შეესწორ, იმ სურათს თუ ბომბორამ როგორ გაუყო ძეხვის ნაჭერი მაწანწალა ძაღლს, განცვიფრდა და თავისთვის ჩაილაპარაკა: - ღმერთ! ნეტა ადამიანებიც ასე იქცეოდნენ.

- აქ ვართ ბაბუ, - უპასუხა ანდრიამ.
 - ნახე რა კეთილია ჩვენი ბომბორა, - და დაჩიმ ხელი გაიშვირა ბომბორასაკენ, რომელიც უდრტვინველად უყურებდა თუ როგორ შეექცეოდა მაწანწალა ძაღლი მის მიერ მირთმეულ ძეხვს.

- ავიდეთ ზევით, გაკვეთილები გაქვთ მოსამზადებელი, - სავლემ ბავშვებს ხელი გადაავლო თავზე და წინ წაიძღოლა.

ძმები, თავის ოთახში განმარტოვდნენ. ანდრიამ, ისევ ისტორიის წიგნი გადმოიდო და, კითხვას შეუდგა:

- მეთვრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებიდან აშეარა გახდა რუს-სომეხთა ერთობლივი ქმედება - იძერიის დასუსტების და მეფე ერეკლე მეორის გავლენის დაცემის მიზნით. გაჩნდა ინჩ-რუს-უზუმეს ჯიშის ადამიანები, რომლებმაც შექმნეს ჯაშუშთა ქსელის



ერთიანი სისტემა. რუსეთი, ყველანაირად ცდილობდა იბერიის დასუსტებას. ამ საქმეში, მათი, უმთავრესი დასაყრდენი იყვნენ რუს-ოს-უზუმეები, ინჩ-რუს-უზუმეები და ქართ-მოღ-უზუმეები და განსაკუთრებით სომხეთის ეკლესია. სწორედ მათ უბიძგეს ირანის შაჟს აღა-მაჟმად-ტრაკ ხანს იბერიის დასალაშქრად, რომ წამოსულიყო - და, ყვითელი თხების შთამომავლები იბერიის ასაოხრებლად დაიძრა.

— რატომ იქცეოდნენ და იქცევიან სომხები და ოსები ასე? — გულდაწყვეტილმა პკითხა დაჩიმ უფროს ძმას.

— ისეთ ხალხს რომლებსაც საკუთარი მიწა არ გააჩნია და, მოსულია სხვის მიწაზე, ცდილობს ადგილობრივი მოსახლეობა გაანადგუროს. აი, როგორც ბერძნებმა გაანადგურეს პელაზგები, სწორედ ასე, — და ანდრიამ კითხვა განაგრძო: — საზოგადო მოღვაწე სვიმონ ქვარიანის გამოკვლევით, სომხები ამ დროს აწარმოებდნენ ორჭოფა პოლიტიკას, ანუ რუსებსაც უშლიდნენ გულს ფიანდაზად და ეპატიუჯებოდნენ იბერიაში საბატონოდ, და აღა-მაჟმად-ტრაკ ხანსაც უგზავნიდნენ ფულს - სთავაზობდნენ ერთგულებას. ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი წერს: „სომებთა კათალიკოსმა ლუკამ იბერიის ასაოხრებლად წამოსულ აღა-მაჟმად-ტრაკ ხანს, სამხედრო ხარჯების დასაფარავად ოქრო გაუგზავნა“. როგორც, სხვა ისტორიკოსების კვლევა ადასტურებს, აღა-მაჟმად-ტრაკ ხანს მეგზურად მოუძღვდა სომები იაკობ ბებუთოვი. მაგრამ, მცირერიცხოვანმა იბერიელთა ჯარმა შეძლო შპის შეტევის მოგერიება, მტერი, უბეე უკან აპირებდა წასვლას, რომ თბილისში მყოფმა სომხებმა არტემ არარატელმა და იოსებ ბებუთოვმა პატიმრად მყოფი სპარსეთის ელჩი ციხიდან გააპარეს. სამივემ



ამცნო შაჲს, რომ იბერიელებს ძალზე მცირერიცხოვანი ჯარი ჰყავდათ და მათი დამარცხება შესაძლებელია. აღა-მაპმად-ტრაკ ხანმა მოაბრუნა ჯარი, შეუტია იბერთა მცირე რიცხოვან ჯარს და, მართალია, დიდი გაჭირვებით, მაგრამ, მაინც დამარცხა და ქალაქ თბილისში შეიჭრა. დიდი უბედურება დააწია აღა-მაპმად-ტრაკ ხანმა იბერიელთა მოსახლეობას, ხოლო, ყვითელმა თხებმა სამაგიერო გადაუხადეს იბერიელებს, მათი, წინა საუკუნეებში დამარცხების გამო. ქალაქში შეჭრილი მტერი განსაკუთრებით ეკლესიის მსახურებს ერჩოდა, ზოგი ხმლებით აჩეხეს, უმეტესობა კი, ჯვარზე გააკრეს. ყველაზე ამაზრზენი მაინც ის იყო, რომ ყვითელ თხებს სისასტიკეში სომხებმა აჯობეს. სომხები ოჯახებიანად ხოცავდნენ იბერიელებს და მათ სახლში იდებდნენ ბინას. მათ შორის გამოირჩეოდნენ ყარაბაღელი სომხები მელიქ აბოვიანი, მელიქ ჯიმშიდიმი, არუთინ ალეკანიანი და სანიქ ლოლიავი. გარდა ამისა, ისინი ყიდულობდნენ დატყვევებულ იბერიელებს და სომხურგრიგორიანულ სარწმუნოებაზე აქცევდნენ. მოგვიანებით, როცა ასე თუ ისე ვითარება იბერიაში დაწყნარდა, რუსეთის იმპერატორს პავლე პირველს სომხებმა შეუთვალეს: „ცუდ დღეში არიან თურქეთში მყოფი სომხები და გთხოვთ ჩამოასახლოთ იბერთა მიწაზე გოგარენში“. რუსეთის იმპერატორმა თხოვნა აუსრულა, რამეთუ იცოდა, რომ ყოველთვის გამოიყენებდა მათ - იბერიაში პოლიტიკური ვითარების გასართულებლად.

— მართლაც რომ; ეს როგორც აფხაზეთში გამოიყენეს. მამა ამბობდა ყველა ერმა გვიმუხთლა, ებრაელების გარდაო. ხომ ასეა? — და დაჩი პასუხს დაელოდა.



— მთლად ასე არ არის, ქურთები, ასირიელები, პოლონელები და განსაკუთრებით უკრაინელები ჩენებს გვერდით იბრძოდნენ.

— მამა იბრძოდა? — ჩუმად იკითხა დაჩიმ და თვალი კარებისკენ გააპარა: „ბაბუა ხომ არ არის ახლოსო”.

— კი. და, სწორედ ამიტომაც მოქლეს, — ანდრიამაც კარებისკენ გაიხედა.

— დიდი რომ გავიზრდები ვიპოვი მათ და..... — არ დაასრულა სათქმელი დაჩიმ.

— ჰო, ერთად ვქნათ ეს... მაგრამ, ბაბუა და ბიძიები დაგვასწრებენ; რა ცუდია პატარები, რომ ვართ, — დანანებით ოქვა ანდრიამ.

— მორჩით მეცადინეობას? — სამზარეულოდან გაისმა სავლეს ხმა. — და თუ, მორჩით ჩემთან მოდით, გემრიელი საჭმელი მოგიმზადეთ.

სიტყვა „გემრიელზე”, ძმებს გაეცინათ.

ანდრიამ წიგნი დაეკცა, ადრინდელ ადგილზე დაბრუნა და დაჩის ანიშნა გავიდეთო.

სავლეს სუფრა უკვე გაეშალა და მოთმინებით ელოდა შვილიშვილებს.

— დიდება თქვენს მობრძანებას! — გაეხუმრა შვილი-შვილებს, და სამივე მაგიდას მიუსხდა.

ტელევიზორში უკრაინაში მიმდინარე საომარ მოვლენებს აშუქებდნენ, ერთ-ერთი წამყვანი დამაჯერებლად და ემოციურად საუბრობდა:

— „აღმოსავლეთ უკრაინაში აშკარად შეიმჩნევა რუსეთის ფედერაციის ძალების გადაადგილება და იმის მტკიცება, რომ სეპარატისტები არ მარაგდებიან რუსების მიერ - სიბრმავეა. ამ ფაქტს ადასტურებს ამერიკის შეერთებული შტატების სადაზვერვო სამსახურიც, თუმ-



ცა ევროპავშირის წევრი ქვეყნები მაინც არ ახორციულებენ ქმედით ღონისძიებებს უკრაინის დასაცავად”.

— ბაბუ, რა უნდათ რუსებს? რატომ ებრძვიან თითქმის მთელ მსოფლიოს? — გაკვირვებულმა იკითხა დაჩიმ.

— რა უნდათ და, — და სავლემ ისე მწარედ შეაგინა რუსებს, რომ ბავშვებს გაკვირვებისგან პირი დია დარჩათ. სავლეს ჯერ შერცხვა, ყურებიც კი გაუწიოთლდა სირცხვილისგან, მაგრამ შვილიშვილების გაკვირვებულ სახეებს, რომ შეხედა სიცილი აუგარდა. სიცილი ბავშვებსაც გადაედოთ. მხიარულებამ, სამივეს დაავიწყა, რომ იქ სადღაც ვიდაცა ომში იღუპება ან ვიდაცა შიმშილობს ან სადღაც ვიდაცას დაკარგული სიყვარული ენატრება, მაგრამ, ნათქვამია - „სიცილი და ტირილი განუყრელი მეგობრები არიანო, და....”.

სადამო ისე სწრფად მიიღია, რომ სავლემ ვერც კი იგრძნო დალამება, მხოლოდ ტელევიზიის თერთმეტსაათიანმა საინფორმაციო გადაცემამ მიახვედრა, რომ ბავშვების ძილის დრო დამდგარიყო.

— თქვენი ძილის დროა, — მოფერებით მიმართა ბავშვებს და თვითონ მისაღებ ოთახისკენ გაემართა და, სავარძელში ჩაეშვა.

მმები ბაბუის ნათქვამს დაემორჩილნენ. ხელ-პირი დაიბანეს, მეორე დღისათვის სასკოლო ჩანთა გაამზადეს... — თან ეშმაკურად ეღიმებოდათ: — უკვე მესამე დღეა რაც გაკვეთილებს აღარ დასწრებიან და, ამიტომ; თუმცა რა აზრი ჰქონდა მათი სკოლაში სიარულს, შეაგავეთილზე შემოვარდებოდნენ განათლების სამინისტროს რესურსების ცენტრის წარმომადგენლები, მიუსხდებოდნენ მასწავლებლის მაგიდას და მთელი გაკვეთილი სასკოლო უურნალს ამოწმებდნენ, ან მერიის საკრე-



ბულოს წარმომადგენლები შემოაბიჯებდნენ შეუვალი სახეებით საკლასო ოთახში, ათას სისულელეს ილაპარაკებდნენ, უამრავ რამეს დაპირდებოდნენ მოსწავლეებს, და რა თქმა უნდა არ ასრულებდნენ. ერთხელ საკრებულოს თვალსაჩინო წარმომადგენელი ადო ძნელლა-ძე-თავფქვილა ესტუმრათ და საუბარი ბავშვების აღზრდაზე და კოგნიტურ თეორიაზე წამოიწყო; ბავშვებს, ჯერ იმაზე გაეცინათ, რომ ადო კოგნიტურის ნაცვლად „სოგნიტურს“ ამბობდა, ხოლო ამღზრდელობითი თეორიის მიმდინარეობის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს ბანდურას, „ბაინდურას“ უწოდებდა; პო-და ბავშვებმა ამ საკრებულო დეპუტატს „ბაინდურა“ შეარქვეს. სკოლაში არ სიარულის კიდევ სხვა მიზეზი ისიც იყო, რომ რამოდენიმე დღეში სკოლის არდადეგები იწყებოდა, ხოლო სექტემბრიდან, ბაბუა მათ სემინარიაში გადაიყვანდა.

ჩანთა პირებელმა დაჩიმ ჩაალაგა და, დაიყვირა:

— ვინც ბოლო, ის მაჩანჩალა, — და დაჩი, საძინებელი ოთახისკენ გაიქცა. ანდრიაც უკან გაეკიდა.

სავლეს, კარგა ხანია, ბავშვების საძინებელი ოთახიდან, სიცილის ხმა არ გაუგონია და ძველი დრო გაახსენდა, დრო როცა მისი მეუღლე, შვილი და რძალი, ერთად ისხდნენ და ბავშვების ოინბაზობაზე ერთად იცინოდნენ; გული შეეპუშა, მოგონებებში წავიდა.

უცრად, იმ ადგილიდან საიდანაც საზიზდარს ჩვეოდა გამოჩენა ხმა გაისმა:

— მოკალი! მოსპე!

— რაო?! — გაკვირვებულმა წამოიყვირა თეთრწვერამ.



- მართალია ჩემზე არ ფიქრობდი... მაგრამ, სწორედ ამან შემაშინა, ხომ არ დაგავიწყდი-თქმ, და თავი შეგახსენე. გამოვჩნდე? — ეს საზიზღარი იყო.
 - გამოჩნდი, გამოჩნდი, მაინც დიდი ხნის არსებობა არ გიწერია, — და სავლებ კლდის ნატეხს გახედა.
 - გთხოვ, ბევრი არ ალაპარაკო, — თხოვნით მიმართა კლდის ნატეხმა სავლეს.
 - ვითომ რატომ? — და კედლის კუთხიდან, უკმაყოფილო სახით, საზიზღარი გამოძერა.
 - იმიტომ, რომ საზიზღრობებს ქადაგებ, — მკვახეთ უპასუხა კლდის ნატეხმა.
 - ვქადაგებ!?! გინდათ აგიხსნათ რა არის ქადაგება? — ვითომ მოკრძალებით იკითხა საზიზღარმა.
 - ჰო, მიდი ერთი გადმოაფრქვიე შენი გამრუდებული შეხედულებები, — დამცინავად მიმართა თეთრწვერამ საზიზღარს.
- საზიზღარი ჩვეულებისამებრ, იატაპზე, თეთრწვერას წინ, ფეხები მოირთხა და დამაჯერებელი ტონით საუბარს შეუდგა:
- ქადაგება ეს არის იმის სწავლება რისიც გჯერა და გსურს სხვაც დააჯერო. მაგრამ, კითხვა რომ დავსვათ თუ რა არის ქადაგებაში მნიშვნელოვანი, ალბათ რამდენ ადამიანსაც არ უნდა შევეკითხოთ, იმდენ განსხვავებულ პასუხს მივიღებთ, რადგან ყველას სხვადასხვა ხედვა აქვს ცხოვრებაზე და, შესაბამისად, ქადაგებასაც განსხვავებულ მნიშვნელობას ანიჭებს, რამეთუ, ზოგი ფიქრობს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია ცხოვრების გზის მშვიდობით და განცხომით გავლა, ზოგიერთისათვის ამქვეყნიური ძალაუფლების მოპოვებაა მნიშვნელოვანი, სხვა: სახელს და დიდებას ანიჭებს უპირა-



ტესობას, ზოგიერთი ცოდნას, ხოლო მორწმუნესათვის - სულის ცხონება მთავარი.

- შენ რასაც ახლა ამბობ სიმართლეა, მაგრამ, ეს შენს მიერ მოპარული გრძნობაა, რომელსაც შენ იყენებ ადამიანების შესაცდენად ან თუნდაც შენი თავის წარმოსაჩენად, შენ, შენს მიერ ჩამოთვლილს არცერთ გზას, თუდაც ყველაზე მრუდს, არ აღიხარ, შენ უბრალოდ ბოროტი ხარ, რომლის იქით ზღვარი არ არის და სულის ცხონების შესახებ ლაპარაკის უფლებაც კი არ გაქვს. - სავლემ, ხელის აწევით შეაწყვეტინა რა საუბარი საზიზდარს, და ყოველივე ეს მშვიდათ მოახსენა.

- კი მაგრამ, ბოროტება რა არის? - ირონიულად იკითხა საზიზდარმა.

- ბოროტება სიკეთის სრული ნაკლებობაა. ეს მდგომარეობაა და არა არსი. აი, შენს მიერ დასახელებული ყველაზე უგვანო ყოფა - ლტოლვა განცხომისაკენ, ისიც კი შეიცავს სიკეთის რაღაც მცირედ მარცვალს - აი, ბოროტება არა. - თეთრწვერამ საზიზდარს გამჭოლი მზერა ესროლა, წამოდგა და წიგნების თაროდან წითელყდიანი წიგნი გადმოიღო, ისევ სავარძელში ჩაჯდა და პკითხა: - გინდა კარგი რამ წაგიკითხო?

- მიდი აბა. იქნებ გავნათლდე, - ირონიულად აღნიშნა საზიზდარმა.

თეთრწვერამ წიგნი გადაშალა:

- მე, ახლა წმინდა იოანე დამასკელის სწავლების პატარა მონაკვეთს წაგიკითხავ.

დამასკელის ხსენებაზე, საზიზდარს თითქოს შეცივდაო, კანკალი დაწყებინა. მაგრამ, თეთრწვერას მის-თვის ყურადღება არ მიუქცევია და კითხვას შეუდგა:



— „... ბოროტება სხვა არაფერია, თუ არა სიკეთის ნაკლებობა, ისევე, როგორც სიბნელე ნაკლებობაა სინათლისა. სიკეთე გონისეული სინათლეა. მსგავსადვე, ბოროტება გონისეული სიბნელეა”.

— ჰოო, ასეა მჯერა ოღონდ მაგ წიგნი გადადე, სადმე ჩემგან შორს, — აკანკალებული ევედრებოდა საზიზდარი და მლიქენელურად იგრიხებოდა.

თეთრწვერამ წიგნი დახურა და იქვე, თავისთან, სავარძელის ხელის საყრდენთან ჩააცურა და საზიზდარს მიმართა:

— ახლა შენ, რომ გიყურებ ვხვდები, რომ ბოროტება ასევე არის შიში და მლიქენელობა.

საზიზდარმა როგორც კი იგრძნო, რომ წიგნი სიფათს არ უქმნიდა გაგულისძა:

— მაინც რა არის მლიქენელობა? — და თავისთვის როგორც ჩვევია საზიზდრულად ჩაიხითხითა.

— მლიქენელობა ანუ ფარისევლობა ეს ერთ-ერთი უმძიმესი ცოდვაა. ფარისეველი ადამიანი სათნოებას შეურაცხყოფს და თავისი საქციელით იმ პიროვნებებსაც აბრკოლებს, რომელთაც გულწრფელად სურთ, უფლისეკნ მიმავალ გზას დაადგნენ და მართლმადიდებლური წესების აღსრულებით იცხოვრონ. ფარისევლობა თითქოს-და კანონის აღსრულებაა, მაგრამ, ხშირად კანონი შორს დგას ზნეობისაგან, რამეთუ კანონი აღწერილობითი ხასიათისაა, ზნეობა კი თვისებაა გარემოებიდან შექმნილი და გენეტიკურად შეძენილი. — მშვიდად უპასუხა თეთრწვერამ.

— იცხოვრონ მერე ვინ უშლის, ზნეობის კანონებით.
 — თავხედურად უპასუხა საიზდარმა.



— აი, რას ქადაგებს წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელ ქიქოძე ფარისევლობის შესახებ, — და თეთრწვერამ ისევ წითელყდიანი წიგნი მოიმარჯვა.

საზიზღარს ისევ კანკალი დააწყებინა.

თეთრწვერამ კი მშვიდად განაგრძო კიოხვა:

— „ყოველთვის, როდესაც შენ, ნაცვლად გულის გაწმენდისა და ცუდთა ჩეულებათაგან განშორებისა, პმალავ ცოდვასა სიღრმესა შინა გულისა შენისასა და მიიღებ კეთილსა გარეგანსა სახესა, ფარისევლობასა შინა შთავარდები. ფარისევლობ, ოდეს შენ პირისპირ კაცს აქებ და ეფერები და პირიქით ცუდათ ასესენებ მას; ფარისეველი ხარ, როდესაც ელაპარაკები შენზე უფროსს კაცსა, ამბობ არა იმას, რასაც გული გეტყვის, არამედ რაც იამება იმ კაცს; არა სიმართლეს იტყვი, არამედ რასაც მოითხოვს შენი საკუთარი სარგებლობა. ფარისეველი ხარ, ოდეს შენ ერთს კაცს აქებ, არა მისთვის, რომელი ღირსი არის ქებისა, არამედ მისთვის, რომ იგი არს მოყვარე და მეგობარი შენი, ხოლო მეორეს განკითხავ მისთვის, რომელ იმას აქვს შენთან მცირეოდენი უკმაყოფილობა; ოდეს ენითა შენითა ამტკიცებ დიდსა სიყვარულსა სიმართლისა და სათხოებისასა, ხოლო საქმით კი უმართლო ხარ. რა არის, თუ არა ფარისევლობა, ოდეს სინდისი გამხილებს შენ რომელთამე ცოდვათათვის და შენ კი პირმოონედ იტყვი: ღმერთი მოწყალე არისო, რა ვქნაო, კაცი სუსტი არისო, სხვანიც ესრეთ სცხოვრობენ, ვინ არის უცოდელი ქვეყანაზედაო, თავის დროზე მოვინანიებო; ყოველთა შინა ესევითართა შემთხვევათა კაცი ცხადად ეზიარება ფარისევლობის ცოდვასა”.



— ეს თქვენი პრობლემაა, — და საზიზდარმა შვებით ამოისუნთქა, როცა დაინახა, რომ თეთრწვერამ, წიგნი, ისევ სავარძელის ხელის საყრდენთან ჩააკურა.

— პო, რასაკვირველია ბოროტს პრობლემა არ გააჩნია, მისი პრობლემა მხოლოდ ისაა, რომ სხვას შეუქმნას პრობლემა, — თეთრწვერამ ბოლო სიტყვები დაქადნებით თქვა.

— პო, კარგი ასე იყოს... მაინტერესებს შიში რა არის?
— და ისევ საზიზდრულად ჩაიხითხითა საზიზდარმა.

— შიში, პოოო, შიში, ეს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ადამიანური ემოციაა, რომელიც უკავშირდება თვითგადარჩენისა და უსაფრთხოების სურვილს. შიში თავისი ბუნებით ადაპტურია, მისი გავლენით მომხდარი ტრანსფორმირებები ადამიანს აიძულებენ საკუთარი თავი მიმართოს გარეგნული მოთხოვნილებისაკენ. იმავდროულად ქცევითი ადაპტაცია მიმართულია იქითქენ რომ მოახდინოს შიშის ჩახშობა და დააბრუნოს ფსიქიკა პირველყოფილ, გაწონასწორებულ მდგომარეობაში. შიშს სხვა ემოციებისაგან განსხვავებით შეუძლია ადამიანის ქცევაზე უფრო ძლიერი გავლენა მოახდინოს, ამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის პიროვნულ თვისებებს და მის სულიერ სიმტკიცეს. გასაგებია?... და, ყოველივე ჩემი ნათქვამი, შეგიძლია შენებურად გადაამუშაო, შენს ნაგვით გამოტენილ ტვინში, — ბოლოს დამცინავათ მიმართა თეთრწვერამ საზიზდარს.

— მაშასადამე, მე თუ მაგ წიგნის და ჯვარის მეშინია დროთაგანმავლობაში შეიძლება ადაპტაცია განვიცადო?

— ირონიულად იკითხა საზიზდარმა.

— რავიცი, აბა ცადე, — ასევე ირონიულად მიუგო თეთრწვერამ.



— არა! დიდი მადლობა, — შეშინებულმა აღნიშნა საზიზლარმა.

— პო-და მოკეტე! — დაუყვირა კლდის ნატეხმა საზიზლარს, რომელიც აქამდე ჩუმად იყო და ითმენდა საზიზლარის თავხედობას.

— ოო, მესამე ძალა ჩაერთო, — მართალია შიში შეპარეოდა საზიზლარს, მაგრამ იხტიბარს არ იტეხდა.

— შენ, საითკენაც მიგყავს საუბარი კარგადაც ვიცი, და რაც გინდა იმასაც ვხვდები, — უკვე მშვიდათ უპასუხა კლდისნატეხმა.

— ვითომ? — ჩვეული თავხედობა დაუბრუნდა საზიზლარს.

— ასეა, — გაუხარდა თეთრწვერას კლდისნატეხის მხარდაჭერა.

— თქვენი მიკვირს თუ ჭეშმარიტებას ნაზიარები ხართ? მაშინ მე, რა მინდა აქ, — ირონიულად თქვა საზიზლარმა და, ვაი რამე არ დამიშავდესო, უკან მიჩონდა, ქედლის კუთხისეკენ, საიდანაც გამოძვრა.

— სიმართლე რომ გითხრა, ასეა. მაგრამ, ჩემი ამგვარი ყოფა დროებითია და მე, მწამს ღმერთის ანუ სიკეთის! შენ კი... — და თეთრწვერამ ისევ ამოიღო წითელყდიანი წიგნი რომლის ყდაზე ჯვარი იყო გამოსახული და საზიზლარს მიუშვირა. საზიზლარი ასისინდა, მერე საცოდავათ აწმუტუნდა, დაპატარავდა, თაგვის წრუწუნას დაემსგავსა და, გაქრა. თეთრწვერას გაეცინა. სიცილი კლდისნატეხესაც აუგარდა და, კიდევ ვიღაც მესამე იცინოდა და რასაკვირველია ეს მესამე ქარაოცა იყო, რომელიც დიდისანია ყურს უგდებდა საუბარს.

— შენახარ ქარაოცა, ნულარ იმალები გამოჩნდი, — მხიარულად მიმართა თეთრწვერამ მეგობარს.



ქარაოცაც გამოჩნდა:

— რაო ჭეშმარიტების სხვაგვარი ხედვის შემოთავაზება სურდა. სწორედ მაგის მსგავსმა ადამიანებმა გაწირეს იქსო, — ქარაოცა ჩაფიქრდა, მერე მძიმედ ამოისუნთქა და თეთრწვერას მოპირდაპირე საგარძელები მძიმედ ჩაესვენა.

თეთრწვერამაც მძიმედ ამოისუნთქა და ქარაოცას მიმართა:

ცრემლი იქსოსი აღრჩობს მარტოობას,
გლოვა მარიამის აკრთობს განშორებას,
ისეთი სიცივეა თითქოს მოეთოვოს,
იქნებ, ვინმემ მაინც, ტკივილს მოეფეროს.

დრო შეიკუმშა, თვალი მიაბჯინა სივრცეს,
სივრცე გაიწია, მზერის შეეშინდა,
ღრუბელი ვერ გაექცა კოსმოსის ხახას,
ცრემლი დაედინა ბეთლემის ვარსკვლავს.
დამფრთხალი მიწა სასწაულს ელის,
შემკრთალი მთვარე ვერ ხედავს საშველს,
საცაა ეშმაკი გამოკრავს ჩახმახს,
დემონი, ციურ ბილიკებს ხლართავს.
მოულხენიათ დუქანში თავხედებს,
„დაცალეთ თასები!“ — თამადა იძლევა ბრძანებებს,
ბუმბული ცვივა შერცხვენილ ანგელოზს,
ისეთი მტვერია, ქარი თვალებს ძლივს ახელს.

სულის ჯალათებს ეშმაკი აქეზებს:
„ნუ გეშინიათ! — გაამათრახეთ,
ეკლის გვირგვინი დაადგით,
მერე - ტალახში ათრიეთ,
ჯვარზე გააკარით,



რადასდა უცდით - ლურსმები დაარჭეთ".

ნანახით შემცბარმა ღმერთმა დაიქუხა: „გიჩვენებთ სეირს -

ჯვარზე გაქვრისათვის დაგამტვრევთ ხელებს,
უწმინდურებო! ვერ ელირსებით ცხონებას,
გარეთ დარჩებით! ჩავრაზავ სამოთხის კარებს".

ცრემლი დაედინა თეთნუდის მყინვარს,
განრისსებული ზღვა - ადგილზე ბრდლვინავს,
გული ვერ იტევს დაგროვილ ნაღველს,
გონება დადუმდა - გაურბის სათქმელს.

თვალცრემლიანი ნათლია გვამშვიდებს:

„დვოთისშობელი დაგვინთებს
სანთელებს".

სანთლის სინათლე ლოცვას ეგებება,
გაჩნდა სინაული, სინდისის კათარზისი,
მერე განბანა, გულწრფელი აღსარება,
რასაც მოჟყვა ცხონების სამზადისი.

ასეთმა ლექსმა ქარაცა ჩააფიქრა და გამამხნევებული ხმით მიმართა თეთრწვერას:

მუდამ გახსოვდეთ ადამის ძენნო,
თქვენთვის გაეკრო ჯვარზე იესო,
თქვენთვის იწამა, უპეთურს კეთილად ევნო
რომ, ყოველ თვენგანს მშვიდობით ევლო.

თეთრწვერა გახალისდა:



შენ მართალი ხარ, რწმენა გვამადლებს,
რწმენა გეაცოცხლებს, გეაერთიანებს,
აწონასწორებს ჩვენს გულის წადილს,
ცუდ ზრახვებისგან გონებას წმინდავს.

მაგრამ, ქარაოცამ ასე მიმართა:

ფუთფუთებს ჟამი საშინელების...
საღღაც ეშმაკი თავის მსხვერპლს ელის,
უცოდველ სულებს ყლაპავს დემონი,
კარებს მომდგარან გველეშაპები.

თეთრწვერა ცოტახანს ჩაფიქრდა და გაფრთხილება-
ზე უპასუხა:

გველეშაპები, ვერ შეაშინებს იბერთა მოდგმას,
ჩვენ ვაუკაცობა ძველთაგან მოგვდევს,
იქსოს ლოცვით გავაპობთ ბნელეთს,
ჩვენი ქვეყნიდან გავდევნით გველებს.

ქარაოცამ ლიმილით უპასუხა:

შენ კაცურ სიკვდილს უფრო აიტან,
გიდრე, ბილწი ცხოვრების მსახეობობას,
მჯერა - ბედის სიმძიმის ლელოს გაიტან
და თავს გადადებ სიყვარულისთვის.

თეთრწვერამ, შემართებული განწყობით უპასუხა:

ვიცი ძნელია დღეს გულწრფელობა,



და აღსარებას ყველა დასცინის,
 მაგრამ სიმტკიცე, სულის ქველობა,
 შთამომავლობით ჩემს სხეულში ზის.

დარაჯად დავდექ ჩემი სამშობლოს,
 ჩემი პატარა ჭერის და ფუძის,
 თუ საჭიროა კეთილ საქმისთვის,
 მე, დავისაჯო ყველაზე უწინ.

ქარაოცას არ გაკვირვებია თეთრწვერას განწყობა:

შენ, სიკვდილი რას დაგაკლებს,
 შენ უკდავების გვირგვინი გადევს,
 შენი, სურვილი თავის გაწირვის -
 ესეც კი კმარა, უკდავებისთვის.

თეთრწვერამ ისევ შემართებით განაგრძო:

სიცოცხლე, როგორც მთვარის ნათება,
 ჩემში ანათებს გარდაცვალებას,
 ორივე ჩემთვის არის საწყისი
 როგორც შობის
 ასევე, ღმერთოან კავშირის.
 „მოკვდაო“ – ითქმის შერცხვენილებზე,
 ესაა მათი კვდომის მიზეზი,
 იმათი სული უზიარები,
 დღესაც დაქრიან შერცხვენილები.

ქარაოცას დადლილობა შეეტყო, თანაც გარეთ დილის პირველმა სხივმა ფოთლებში გამოანათა. ქარაო-



ცას ესიამოვნა დილის სხივის დანახვა, მაგრამ ბევრი
საქმე ელოდა დღეს და უნდა მოესვენა:

ოჂ, დავიღალე, არ მაქვს ხალისი,
ერთი სული მაქს,
თავი ჩამოვდო ფაფუქ ბალიშზე,
სხვა დროს განვსაჯოთ მტყუან-მართალი,
მოდი გადავდოთ ჩვენი ბაასი.

თეთრწვერა დაეთანხმა:

კარგი, ნახვამდის.

დაღლილმა თვითონაც მიადო თავი სავარძლის საზუ-
რგის კიდეს და ტკბილად ჩაეძინა.



სეტიალი წარსულის სამყაროში

სავლეს ეძინა მაგრამ გარკვევით ესმოდა ტიმოთეს
ხმა, რომელიც ხმამაღლა, თან მუქარით გაიძახოდა:

გაუსროლელი ტყვია ვარ -
მტრისათვის გადამალული,
ჩასაფრებული სიტყვა ვარ -
ყველა ჩვენგანის სათქმელი,
ჯერ არ დაღვრილი სისხლი ვარ -
მფარველობს ნათლისმცემელი,
გაუტეხელი სული ვარ -



ბრწყინვალე დღესასწაული.

ტიმოთეს ხმას, კარზე გაბმული ზარის წკრიალი შეერწყა, რამაც სავლეს თავში ბგერების შეჯახება გამოიწვია.

— ნეტა ვინ არის? ამ დილადრიანად ვის გავახსენდი? — ხმამაღლა წარმოთქვა სავლემ, მძიმედ წამოდგა სავარძელიდან, ზლაზნაზლაზნით კართან მივიდა გააღო და, სახე გაუნათდა:

— მაია! შენ ხარ! შემოდი.

მაია, ქარივით შემოქროლდა ოთახში და სვანეთის სუფთა ჰაერის სურნელება მოაფრქვია ოთახში.

— სად არიან ბავშვები? რა ჯერ კიდევ სძინავთ? აბა სადახართ? სკოლაში ხომ არ წასულან? — და გონების მზერა იქითეკენ მიმართა სადაც ბავშვები ეგულებოდა. ბევრი ლოდინი არ დასჭირებია, კარის მიღმა მხიარული ხმები გაისმა:

— დიდი ბებია!! — ერთმანეთს უმტკიცებდნენ მმები, — ბებია ჩამოვიდა, დიდი ბებია! — და მმები, უეხშველა, საცვლების ამარა, კარიდან გამოვარდნენ და მაიას მოეხვინენ.

— ჩემი სიყვარულები. წამოხვალთ სვანეთში? მაინც, საცაა, არდადეგები დაგეწყებათ, — და მაიამ სავლეს მიმართა: — ერთკვირაში მაინც არდადეგები ეწყებათ. თანაც რას ასწავლიან სკოლაში? — და თავისივე კითხვას, თვითონვე გასცა პასუხი: — არაფერს.

— წამოვალთ! წამოვალთ! — გახარებულები გაყვიროდნენ მმები.

— ჰო-და, აბა დროზე: პირის დაბანა, ჭამა, ტანსაცმელის ჩალაგება და სვანეთისკენ, — მხიარულად ჩამოუ-



რიგა დავალება მაიამ, და ძმას მიმართა: – უკვე, ძალიან შემებარა სიბერე, შენც სულ გამითეთრდი... წამოდი შენც ჩვენთან, – მაიამ კარგად იცოდა რომ სავლე არ წამოვიდოდა, მაგრამ მაინც სცადა და, სთხოვა.

– არა, აქ მირჩევნია ყოფნა ჩემს კედლებში, თან მონასტერიდან კლდის ნატეხი წამოვიდე და უფრო მყუდროდ ვგრძნობ თავს; ამით თითქოს ყველა დროის მოგონება გავაერთიანე.

– გუშინ, ძალიან მაღალი წნევა მქონდა, შეშინდნენ ჩემი ბიჭები, – სხვა თემაზე გადაიტანა მაიამ საუბარი.

– რას აკეთებთ მანდ! – შეეხმიანა შვილიშვილებს სავლე. – სამზარეულოდან თევზების რაკუნი ისმოდა. – შევალ ერთი დავხედავ, თორემ დაამტვრევენ ყველა-ფერს, – შეწუხებულმა მიმართა სავლემ დას, და სამზარეულოში გავიდა.

მაიამ, როცა თავი მარტო დაიგულა, კედელზე ჩამოკიდებული, შავჩარჩოში ჩასმული სურათების თვალიერება დაიწყო. ერთ სურათზე შეაჩერა მზერა, რომელიც განსაკუთრებით უყვარდა, აქ მათი მშობლები და სავლეს შვილი ერთად იყვნენ აღბეჭდილნი. სამზარეულოს დერეფანში, უკან მოპრუნებული სავლეს ფეხის სმა გაისმა, მაია სურათს მოსცილდა და სავარძელში ჩაეშვა.

– მოკლედ, შენზე გიუდებიან. რას არ ვუკეთებ, მაგრამ მაინც შენ უფრო უყვარხარ, – ეს, სავლეს მხრიდან საყვედური კი არა, უფრო მოფერება იყო და მაიას სახეზე უსაზღვრო სათნოება გამოესახა.

– რას აკეთებენ?! საცაა ჯარჯი მოვა, – უკმაყოფილება გამოთქვა მაიამ და სამზარეულოში გავიდა - ონავრებთან.



შემოსასვლელ კარზე ისევ გაისმა ზარის ხმა.

— მაშინ ეს ჯარჯია, — თავისთვის ჩაილაპარაკა სავლემ და კარის გასაღებად გაემართა.

— ჯარჯია? — სამზარეულოდან იკითხა მაიამ.

— კი, — მოკლედ უპასუხა სავლემ და დიშვილს მაგრად მოეხვია.

— სად არიან ყაჩაღები? — მხიარულად იკითხა ჯარჯიმ და ორცა სამზარეულოდან ბავშვების ხმა გაიგონა იქითქენ გაემართა, სავლეც უკან გაჟყვა.

ბავშვებმა ჭამა მიატოვეს და ჯარჯის მიეგებნენ.

— რაო, მოდიხართ უშგულში? — და ჯარჯიმ ონავრები მკლავებში მოაქცია.

— წელს ხომ წაგვიყვან სანადიროდ? — პკითხა ანდრიაძე.

— შარშან ხომ დაგვპირდა, — გაამაგრა ძმის პოზიციები დაჩიმ.

— რახან დაგპირდით, ესე იგი წაგიყვანთ. ოღონდ ახლა დოროზე... რაც შეიძლება სწრაფად, თორემ გზაში დაგვიძნელდება, — დააჩქარა ჯარჯიმ ძმები.

ცოტახანში, სამგზავროდ გამოწყობილმა ძმებმა, ბიძამ და ბებიამ, თბილი გამომშვიდობების შემდეგ, დატოვეს სიყვარულით და მოგონებებით გაჟღენოსილი ოთახი.

ბინაში, მარტო დარჩენილი სავლე ჭერს მიაშტერდა და გონებაში დაიწყო მანბილის განსაღვრა, თუ სად იქნებოდნენ ახლა მისი შვილიშვილები - გზის რომელ მონაკვეთში:

— ალბათ უკვე გორს გასცდნენ, — თავისთვის ჩაილაპარაკა, მერე კლდის ნატეხს გახედა, ღრმად ამოისუნთქა და თავის თავს უბრძანა: — ჯობია ქუჩაში გაიარო თორემ გაგიყდები!



სავლე, ფიქრებში წასული დასეირნობდა ქუჩაში, ერთი ადგილი ძალიან ეცნო, თითქმის საერთოდ არ შეცვლილიყო, მაღალი აგურით ნაშენები დობე, რომელიც სახლის და მეწადის ჯიხურის კედელთან ერთად მშეგნიერ თავშესაფარს ქმნიდა. გაეჭიმა, და შიგნით შეიხედა და, შეცბა, როცა დაახლოებით ცამეტი წლის სამი ბიჭი დაინახა, რომლებიც მალულად სიგარეტს აბოლებდნენ. ბავშვებმა სავლეს დანახვაზე სიგარეტები ზურგს უკან დამალეს. სავლეს გაეცინა და იქაურობას გაეცალა, მაგრამ მოგონება უკან აედევანა:

— სანდრიკ, დროზე დაარტყი ნაპასი, — არ ეშვებოდა ოთარ ლოლაძე, რომელიც რიგში მესამე იყო, ზურა კიკოლიშვილის შემდეგ.

— მაცალე, — ცხარობდა სანდრიკა, ასე ეძახოდნენ სავლეს ბავშვობაში მეგობრები.

— მაიტა, — და ხელიდან გამოართვა ზურამ სიგარეტი სანდრიკას. ნაპასი ძლიერად დაარტყა და ისეთი ხელება აუვარდა, რომ ჯიხურში ჩაძინებულ მეწადეს გაედგიძა.

მეწადეს სიგარეტის სუნი ეცა. მიხვდა რაშიც იყო საქმე და გარეთ გამოვარდა:

— ოდ, ცქევ გაკეთებულებო, — მეწადეს უნდოდა ეთქვა: „თქვე გაფუჭებულებო“. ის ქურთი იყო და იძერიულ ენას კარგად ვერ ფლობდა, რის გამოც ბავშვებს მის ნათქამზე ხშირად ეცინებოდათ, მაგრამ არა ბოროტულად, ყველას უყვარდა მეწადე გაბო, ის ხშირად ურიგებდა ხურდა ფულს ბავშვებს ნაყინზე. ხოლო, გაჭირვებული ოჯახის ბავშვებს უფასოდ უკერავდა ფეხსაცმელს. — ვინ გოგცათ სიგარეტი? — უნდოდა ეთქვა: „მოგცათ“.



ბიჭებს ჯერ შეეშინდათ, მაგრამ როცა გაბო დაინახეს, შეებით ამოისუნთქეს და გასცინეს:

- გაკეთებულებო!
- გოგცათ! გოგცათ!

მაგრამ, სიგარეტი გადააგდეს, ვინაიდან გაბოს შინაგანად პატივს სცემდნენ.

- ვაიმე კუსა მამაშენი, - შემცბარმა აღნიშნა ლევანმა. - აუ, მგონი დაგინახა... მიდი ბიჭო გეძახის, - გამხნევების ნიშნად ხელი ჰკრა ლევან ხარაძემ თავის კლასელს კუსა დოლიძეს, თვითონ კი სახეზე უცოდველი კრავის ნიღაბი მოირგო. მაგრამ, არც ნიღაბმა და არც თხოვნამ - „მეტს აღარ მოვწევთო”, არ უშველათ, კუსას მამას როგორც კი ეცა, შვილისგან, სიგარეტის სუნი, ერთნაირად დაახია ყურები ყველა იქ მყოფთ.

ამ მოგონებამ კინოფილმივით ჩაირბინა სავლეს გონებაში და სასიამოვნო გრძნობები გაუდვიძა, ახლა სვანეთის უბანში მოუნდა გასეირნება და ვიწრო ქუჩებს აუყვა. აი, ის ხე, და ამჟამად სხვა სურათი გაუცოცხლდა თვალწინ:

- სანდრიკ, მიდი რა გთხოვ ფანჯარაზე დაუკაკუნე. ვიცი სახლშია, - ლამის დაჩოქილი ეხვეწებოდა ზურა.

- ხომ გაიგე რა გვითხრა ბებიამისმა სახლში არ არისო, - სანდრიკა, ზურას თავიდან მოცილებას ცდილობდა.

- არა, არა სახლშია. რას ამბობ მოთელი ხუთი საათი ვდარჯობდი. - არ ეშვებოდა ზურა.

- ჰო, კარგი, - და სანდრიკა ხეზე აძვრა, ხოხვით გაუყვა ხის ტოტს, ფანჯარას მიუახლოვდა და მინაზე დააკაკუნა.



ფანჯარასთან, გაოცებული ხანში შესული ქალბატონი გამოჩნდა, ის მანანას ბებია იყო. ქალბატონმა, გაკვირვებულმა გამოაღო ფანჯარა და როცა სანდრიკა დაინახა, ყველაფერს მიხვდა.

— თინა ბებო, მანანა სახლშია? — ჰკითხა სანდრიკამ.
— კი, შვილო ახლავე დავუძახებ, — და თინა ბებია ოთახის სიღრმეში გაუჩინარდა.

— სახლშია! — გახარებულმა ჩამოსძახა სანდრიკამ ზურას, მაგრამ, როცა იატაკის საწმენდი ჯოხით მომარჯვებული თინა ბებია დაინახა ყველაფერს მიხვდა და განწირული ხმით ყვირილი მორთო: — არა, თინა ბებო! არა! ჩამოვარდები!

და, მართლაც თინა ბებიას რამოდენიმე შეტევის შემდეგ, და განსაკუთრებით ბოლო დარტყმა იყო მწარე, სანდრიკა ტოტიდან ჩამოვარდა და ძირს დაენარცხა.

— გაი! — ერთდროულად დაიყვირეს სანდრიკამ და ზურამ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სანდრიკას ეტკინა, ხოლო ზურამ იცოდა: ახლა კარგი დღე არ დაადგებოდა.

— მანანა ბებო! — ამ შემახილმა სავლე წარსულიდან მოაბრუნა.

— მანანა ბებო! — ისევ გაისმა ხმა და, ფანჯრიდან ხანში შესულმა ქალბატონმა გამოიხედა, ჰო იმ მანანამ, მართალია ასაკმა სახეს თავის დაღი დაასო, მაგრამ თვალებში ისევ ის სითბო ანათებდა, რაც ასე მოსწონდა სავლეს ბავშვობის მეგობარს - ზურას.

— მანანა ბებო, დედამ გთხოვათ ჩამოვიდესო, — ბიჭი პასუხს არ დაელოდა და თავის ტოლებისკენ გაიქცა, რომლებიც ქუჩის გადასახვევთან ელოდებოდნენ.



სავლე, ისე აჟინებით აკვირდებოდა მანანას, რომ ქალმა იგრძნო მზერა, თვითონაც აჟინებით დააკვირდა, და თვალებში ჯერ გაკვირვებამ და, მერე, ტკბილმა მოგონებამ გამოანათა, გაეღიმა, ფანჯარა ნელი მოძრაობით მიხურა, ფარდა გადაწია - თითქოსდა რადაცას სამუდამოდ დაემშვიდობა.

სავლეს, მეეზოვე ტიმოთეს დილანდელი ლექსი გაახსნდა და თავისი სკოლელის, ზურა წერეთლის, საფლავზე გასვლა გადაწყვიტა. ტაქსი გააჩერა:

— გამარჯობა, — მიესალმა სავლე მძღოლს.

— გაგიმარჯოს სავლე, — და მძღოლს გაეცინა.

სავლეს გაუკვირდა მისი სახელის ხსენება და მძღოლს დააკვირდა:

— გაა!? ბადრი! — და სავლე ბავშვობის მეგობარს მოეხვია.

— სახლში მივდიოდი... დაგინახე... აგედევნე. წამოდი ჩემთან ავიდეთ, — ლიმილი არ სცილდებოდა ბადრის სახედან.

— წავიდეთ, — სიამოვნებით დაეთანხმა სავლე.

ცოტახანში ბადრი ნებიერიძის სახლის ფანჯრიდან სიმღერის ხმა გაისმა. სუფრას მისხდომოდნენ ძველი მეგობრები და ბადრის მრავალრიცხოვანი ოჯახი:

— გახსოვს? ამ მხელები რომ ვიყავით... — სავლემ ბადრის უფროს შეილიშვილისაკენ, სანდროსკენ გაიშირა ხელი და განაგრძო: — შენ ჩვენს შორის ყველაზე მაგარ მსმელად ითვლებოდი, თამაღაც ყოველთვის შენ იყავი და კახეთშიც შენ აგირჩიეთ - გვეიმედებოდი. მაგრამ... — და სათქმელი არ დაამთავრა სავლემ.

— პოო, ეს წნორში იყო. მაშინ ჩვენი ჯგუფელი ლია წერუაშვილის ქორწილი იყო. რაა?... მაშინ პირველი



კურსელი ვიყავი და დამჯაბნეს კახელებმა, – ბადრიძ
 მუშტი შეკრა და პაერში შემოატარა, – სამაგიეროდ მე-
 რე, მეორე ბავშვის ნათლობაზე, ხომ გახსოვს? ყველას
 მოვტეხე კისერი, – და უკვე გამარჯვებული იერით
 გადახედა თავის ოჯახის წევრებს. – პო, მართლა, შენ
 მაშინ ლექსი შეთხზე ჩემზე. შენახული მაქვს. მიდი
 ნათია, ჩემი მწვანე ყდიანი რვეული გამოიტანე, –
 სთხოვა ბადრიძ შვილიშვილს.

– მე, მეგონა ის ლექსი დახიე, გაბრაზებულ გულზე,
 – სავლეს გაკვირვება გამოეხატა სახეზე.
 – შენ, დაგანახე რომ გავბრაზდი, სინამდვილეში
 მესიამოვნა ჩემზე, ლექსი რომ დაწერე, შევინახე და
 მერე, ამ რვეულში გადავწერე, – და ბადრიძ, ნათიას
 მოტანილი რვეული ჩამოართვა, გადაფურცლა ის ლექსი
 იპოვა, რომელზეც საუბრობდა, და რვეული ისევ ნათიას
 დაუბრუნა. – მიდი ბაბუ წაიკითხე, – სთხოვა შვილი-
 შვილს.

ნათიამ ლექსის კითხვა დაიწყო:

ღვინო დაილია,
 ყანწები ფერთხეს,
 ღვინის სურნელება,
 ათრობდა ღმერთებს.
 თამადა შექანდა,
 მუხლი ჩაეშალა,
 ეს რა დაემართა?
 სახე წაეშალა.
 სუფრა ახარხარდა,
 იცინის ბახუსი:
 „თამადამ ჩაიმუხლა,



შეურცხვეს ნამუსი".

ხალხი აირია,

ატყდა რია-რია -

დაიჭი! გაიქცა!

სუფრა ჩაიქცა.

შერცხვენილი თამადა,

ჩუმად გაიპარა,

თან აედევნა სიმღერა:

„ეს თამადა ვინ ყოფილა,

ცოტა ლვინო გვამყოფინა".

— ბაბუა?! სუფრიდან გაიპარე? — გაკვირვებულმა იკითხა სანდრომ.

— მთლად ასე არ იყო, — დიმილით უპასუხა ბადრიძ და სავლეს გახედა.

— ბაბუაშენი, ყველაზე ბოლოს დანებდა ქახელებს, ჩენ უკვე ისეთი მთვრალები ვიყავით ერთმანეთს ვეღარ ვცნობდით, — მეგობარს მხარი დაუჭირა სავლემ და გადაიხარხარა: — მართლა, გახსოვს ავთო დავითაშვილს რა დაემართა?

— რომელ ავთოს? ჩემს ნათლიას ხომ არა? — იკითხა დათომ - ბადრის შვილიშვილმა ქალიშვილის მხრიდან.

— ჰო, — დაეთანხმა ბადრი.

— ავთო, დათოს ნათლიაა? — იკითხა სავლემ.

— და, ჩენი ხშირი სტუმარი. — უპასუხა ბადრიძ სავლეს და დანანებით დაამატა: — აბა, შენ რომ დაგვეკარგე, ასე კი არაა.

— მე, ხომ უდაბნოში წავედი. თბილისში, იშვიათად ჩამოვდიოდი, — ასევე დანანებით აღნიშნა სავლემ.



— მაინც, რა დაემართა ნათლიაჩემს, — არ ეშვებოდა ბაბუას დათო.

— აი, სავლემ მოჟყვეს, — და ბადრიმ სავლეს გახედა.
— კარგით, — დაეთანხმა სავლე და თხრობას შეუძგა:
— ლიას ქორწილში, ავთო ძალიან დაგვითვრა და აიტეხა უცხოპლანეტელი ვარო. სამზარეულოდან ქვაბი გამოიტანა, თავზე დაიმხო და როცა მოცილება დაგაპირეთ ყვირილი ატეხა: „ეს ჩემი სკაფანდრია, არ მომაცილოთ თორემ დავიხრჩობი უქანგბადობის გამო”.

— აუ, ახალგაზრდობაში თურმე რა კარგად უბერავდა ნათლიაჩემი, — და დათო, კიდევ უფრო გახალისდა.

— მე, ავთოსაგან შენზეც ვიცი რაღაც რაღაცები - იმ ქორწილიდან, — ნიშნის მოგებით მიმართა ბადრის რძალმა სავლეს.

— რაა? მას რა უნდა მოეყოლა, ისეთი მთვრალი იყო თავიც არ ახსოვდა, — შეიცხადა სავლემ.

— რა-და სუფრაზე ერთ გოგოს თურმე უმტკიცებდი ჩემი წინაპრები არაბეთში ცხოვრობდნენო და ჯვრის მონასტერის კლიტეს მფლობელები იყვნენო და, თუ ცოლად გამომყები იქ წაგიყვან საცხოვრებლადო, — ისევ ნიშნის მოგებით მიუგო ნინომ სავლეს.

— ვაღიარებ ცოტა ზედმეტი მომივიდა, მაგრამ, ჩემი წინაპრები მართლა ცხოვრობდნენ მაშინდელ არაბეთის მიწაზე და, იქ მეფემ ვახტანგ გორგასალმა გადაასახლა, ჯვრის მონასტერის ადრინდელ ადგილზე აშენებული სასწაულმოქმედ სალოცავის სადარაჯოდ. ხოლო რაც შეეხება ჯვრის მონასტერს თუ, გნებავთ მოკლედ მოგიყვებით მის შესახებ ისტორიას? — მორიდებით შესთავაზა სავლემ.



— კი, გვაინტერესებს, — ყველას მაგივრად უპასუხა ნინომ.

— მაშ კარგი, — და სავლემ ჯვრის მონასტერის შესახებ თხრობა დაიწყო:

— ჯვრის მონასტერი დაარსა იბერიელმა მოღვაწემ გიორგი-პროხორე შავთელმა მეთერთმეტე საუკუნის ოციან წლებში. მონასტერი აიგო, როგორც უკმ გითხარით, იქ სადაც იყო სასწაულმოქმედი სალოცავი და იზრდებოდა მეტად უცნაური ხე, რომელსაც ფისის მაგვარი სითხე სდიოდა და ყოველ დამე, თავზე, ოქროსფერი ვარსკვლავი დაანათებდა. სწორედ ეს ხე მოჭრეს ჯვრის გასაკეთებლად — მონასტრისათვის, და ამიტომაც შეარქვეს, მონასტერს „ჯვრის მონასტერი“. მეთერთმეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში იერუსალიმის აღების შემდეგ, მონასტერი დაარბის თურქ-სელჯუქებმა. მეთორმეტე საუკუნეში მეფე დავით-აღმაშენებელმა ის აღადგინა. ეგვიპტის სულთანის სალაჳ ალ-დინის მიერ იერუსალიმი კვლავ დაბპყრობილ იქნა და მონასტერი კვლავ მძიმე დღეში აღმოჩნდა, მაგრამ თამარის მეფობის დროს ისევ აღდგა. ხოლო მეთხუტმეტე საუკუნეში მონასტერს დიდი დახმარება გაუწია ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილმა და მზეჭაბუკ ათაბეგმა. მეჩვიდმეტე საუკუნეში ამ მონასტერში დიდი კულტურული საქმიანობა გაჩაღდა ნიკოლოზ ჩოლოებშვილის შემწეობით, მაგრამ ამავე საუკუნის ბოლოს იბერიელთა გავლენა იერუსალიმში შემცირდა, ამით ისარგებლეს ბერძნებმა და ჯვრის მონასტერი, სხვა იბერიული სავანეებთან ერთად ხელში ჩაიგდეს. ბერძნებმა, მონასტერში, იბერიული წარწერები წაშალეს, ხოლო იბერიული წიგნები



ზოგი დაწვეს, ზოგი კი, სომხებს გადასცეს გადასაწერად.

— ვახ, ეს სომხები და ბერძნები რა ყველაფერს ითვისებენ. კი მაგრამ, თქვენ ხომ თქვით რომ ვახტანგ-გორგასალმა ჯვრის მონასტერის ადრინდელი ადგილის დასაცავად ოჯახები ჩაასახლა? — გაბრაზებას და, ამასთან, გაკვირვებას ვერ ფარავდა სანდორ.

— მოღი გავაგრძელებ ოჯახების გადასახლებაზე ამბის თხრობას, — თითქოს-და ნებართვა აიღო სავლემ და თხრობა განაგრძო: — მეფემ, მაშინ ასი ოჯახი გადაასახლა არაბეთში ანუ როგორც ახლა მოიხსენიება იერუსალიმში. და, უფრო სწორედ კი არ გადაასახლა — ეს ცუდი ნათქვამია, არამედ შეარჩია ძლიერი ოჯახები და სთხოვა მათ იქ იბერიული დასახლება შეექმნათ. ასეც მოხდა არაბეთის მიწაზე იბერიულებმა შექმნეს სოფელი მალხა და კატამონი. პო, მონასტერი კატამონი დღესაც მოქმედია.

— მართლა? — გაიკვირვა სანდომ, — მოგვიყევი რამე კატამონის მონასტერის შესახებ, — და დანარჩენებს ანიშნა გაჩუმდითო.

სავლეს ბევრი თხოვნა არ დასჭირვებია, დაეთანხმა, მაგრამ, თან სთხოვა:

— მოგიყევით, და აუცილებლად შემახსენეთ, ოღონდ ჯერ დაგასრულებ თუ როგორ მოხდა იმ იბერიულების შერჩევა, რომლებსაც სასწაულმოქმედი სალოცავი უნდა დაეცვათ... მეფემ, ეს საქმე, თავის მოძღვარს დაავალა, რომელიც ადამიანის ბუნების კარგი ამომცნობი და, ამასთან, დვითის მიერ წინასწარმეტყველებით იყო დაჯილდოვებული, და არა მარტო იბერიაში, არამედ ინდოეთში, სპარსეთში და არაბეთში კარგად იცნობდნენ მას,



და ყველა, „მოძღვარის“ სახელით მოიხსენიებდა. მოძღვარმა, ოჯახების ამორჩევის შემდეგი მეოთოდი გამოიყენა: სახლში შესვლისთანავე ოჯახის უფროს დმერთის სახელით დაწოქებას უბრძანებდა და თუ ოჯახის ორმელიმე წევრი, რა ასაკისაც არ უნდა ყოფილიყო, არ დაიზოქებდა, ოჯახს ტოვებდა და თუ კი, მაშინ ხმალს და სხვა საბრძოლო იარაღს მოითხოვდა და, თუ საბრძოლო იარაღს ბრძოლის კვალი არ აჩნდა, ხელს ჩაიქნევდა და იტყოდა: „მხდალები ყოფილანო“ და ოჯახს ტოვებდა; მესამე თხოვნა, სუფრის გაშლა იყო და თუ მასპინძელი მეზობელს არ დაუბახებდა, იტყოდა: „მეგობრობა არ ცოდნიათო“ და ოჯახს დატოვებდა. მაგრამ, თუ ამ გამოცდას მასპინძელი ჩააბარებდა, დამის გასათვალ რჩებოდა, დილას კი მეფის ბრძანებას აუწყებდა, და თუ მასპინძელი ბარგის ჩალაგებას ძვირფასი ნივთებით დაიწყებდა, ხოლო საბრძოლო იარაღს და ხატებს ბოლოს გაიხსენებდა, დასცინებდა მასპინძელს და ოჯახს დატოვებდა. ასე, წვალებ-წვალებით ამოარჩია დირსეული იბერიელები და მათთან ერთად გზას გაუდგა არაბეთისკენ. გზაში მრავალი დაბრკოლება შეხვდათ.

– ყაჩაღები დაესხნენ? – იყითხა ბადრის ყველაზე უმცროსმა შეილიშვილმა - იოსებმა, რომელიც მთელი არსით უსმენდა სავლეს.

– მომისმინე და გაიგებ, – სავლემ გახედა სმენად ქცეულ მთელ ოჯახს და როცა დარწმუნდა ყველა მისმენსო, თხრობა განაგრძო: – როგორც კი გაცდნენ იბერიის ძირძეელ მიწას - კაბადოკიას, სომებს და ბერძენ ვაჭრებს გადაეყარნენ, რომლებსაც რომში, ინდოეთში შეძენილი საქონელი მიჰქონდათ. ვაჭრებმა გაიგეს რა, თუ რისთვის მიდიოდნენ იბერიელები არაბეთში



მათი დაღუპვა განიზრახეს და როცა იბერიელებს დაღლილობისგან დრმათ ჩაეძინათ, ხმლები იშიშელეს, მათ დასახოცად, მაგრამ, აღმართეს თუ არა ხმლები, ბეთლემის გარსკვლავის სიკაშკაშემ სუჟველა გააქვავა. გაქვავებულებს, დილით, უდაბნოს ცხელმა ქარმა დაუბერა და ქვიშად ჩამოიშალნენ. გამოღვიძებულ იბერიელებს, მხოლოდ ვაჭრების საქონელი და ცხენები დახვდათ, გაუკვირდათ ხალხის გაუჩინარება. მოკრიბეს მათი საქონელი, ერთ ადგილზე დაალაგეს - იქნებ პატრონები გამოჩნდნენო, თან ზემოდან მძიმე ქვები დააწყვეს - ქარს რომ არ გაეფანტა, დაბმული ცხენები კი აუშვეს და გზას გაუდგნენ. მეორე ხიფათი, იბერიელებს, არაბეთის მცირე უდაბნოს გადალახვისას გადახდათ - უეცრად, აქლემებზე ამხედრებული, მუსულმანთა მოთარეშე ყაჩაღთა რაზმი გამოჩნდა. იშიშვლეს ხმლები იბერიელებმაც, კედლად აღიმართნენ თავიანთი ოჯახების დასაცავად.

იბერიელებს შორის მამაკაცთა სიმცირემ, ყაჩაღებს გამბედაობა შემატა, მაგრამ, ვერაფერი დააკლეს და როცა შეამჩნიეს, რომ იბერიელები ჯაბნიდნენ, უკან დაიხიეს მოშორებით შეჯგუდნენ და შორიდან დაუწყეს ჭვრეტა... განცვიფრდნენ, როცა დაინახეს, რომ იბერიელები მათ დაჭრილ მებრძოლებს ჭრილობებს უხვევდნენ, მაშინ ხმლები ჩაარგეს ქარქასში, ჩამოქვეითდნენ და ეახლნენ. იბერიელებმა, მათ, უფლება მისცეს, თავიანთი დაჭრილი და დახოცილი მეგობრების წაყვანის. ამის შემდეგ ყაჩაღები, გაეცალნენ. მესამე დაბრკოლება, იერუსალიმში გადახდათ. როცა იბერიელები იერუსალიმში შევიდნენ იქაურმა მაცხოვრებელმა ხალხმა მათ ქრისტეს გმობა დააბრალეს. მაშინ იბერიე-



ლებმა ლოცვა დაიწყეს და სასწაული მოხდა, ცა გაიხსნა და იქსოს ხმა გაისმა: „ეს ხალხი ჩემი რჩეულია და ვინც მათ წინ აღუდგება, მე აღმიდგება”. ამის შემდეგ იერუსალიმის მაცხოვრებლები კეთილად ეპყრობოდნენ იბერიელებს.

— კატამონიის მონასტრის შესახებ? ხომ გვითხარი შემახსენეთო, — არც კი აცალდ იოსებმა, სავლეს, თხრობის დასრულება.

იოსების სულმოუთქმელობაზე სავლეს გაედიმა და მოკლედ მოჰყვა კატამონიის მონასტერის შესახებ:

— კატამონიის მონასტერი აღმართულია იბერიიდან წაღებული შვიდ ვარდისფერი გრანიტის ქვაზე, რაც მის იბერიულ წარმოშობას ადასტურებს, ეს შვიდი ქვა მონასტრის საძირკვლის კუთხეებშია განლაგებული და მისი გამოცლა შეუძლებელია, ასე რომ, ბერძნებმა ეკლესიის კედლებზე, რამდენი არ უნდა შალონ ქართული წარწერები, იმ შვიდ ქვას ვერ გაუქცევიან ანუ მონასტრის იბერიულ წარმოშობას.

— გაუმარჯოს იბერიელებს! — აღფრთოვანებულმა წარმოთქვა იოსებმა, ღვინით სავსე ჭიქა აიღო, მაღლა აღმართა და პირთან მიიტანა - დალევა მოინდომა, მაგრამ სავლემ ჭიქა ჩამოართვა.

— ჯერ პატარა ხარ ღვინოსათვის. მე, დავლევ შენს წარმოთქმულ სადღეგრძელოს... და, სავლემ სადღეგრძელო ლექსად თქვა:

მობუბუნებდა სამხრეთიდან იბერთა გენი,
სულით მოჰქონდა ლეგენდები შუამდინარეთის,
მოჰქონდა მზეს მოღვენთილი ეფუთის წესი
და კანონები დაწერილი მაღალი ღმერთის.



მართალი სიტყვით აამაღლა გოლგოთა ცამდე,
გადაიშალა გაფოთლილი მზის ვენახივით,
მეფედ შემოჯდა გენეოლოგის ბიბლიურ ხეზე,
ამაღლდა ზიარებით და ზეთის შვიდგზის ცხებით.
მობუბუნებდა, მოდიოდა იბერთა გენი,
გენი ადამის, ევას და შეთის,
კეთილი ხის, კეთილი ფესვი,
გენი შემქმნელი უკვდავი ერის.
ერი ბრალდებელი -
ბოროტის მსაჯული,
მიწასთან შეზრდილი -
უმანკო მსხვერპლი,
ცდუნებებთან მებრძოლი -
ხშირად ტანჯული,
ღმერთისგან რჩეული -
მარადისობის ცეცხლი.
მობუბუნებდა და მოჰკონდა ხარაჩოები,
მხრებზე აზიდული ალავერდი, სვეტიცხოველი...
მოიმლეროდა სიმღერას –
შენ ხარ ვენახი,
შენ ხარ გუთანი,
ბურჯი ხვალინდელ საქართველოსი!
და მოდიოდა ღმერთის მორჩილი,
და ივლის მარად ერი დიადი,
ერი რჩეული,
გაუტეხელი -
ქრისტიანობის გადამრჩენელი!

და, სავლემ ჭიქა ბოლომდე დაცალა. სანდრომ მრა-
ვალუამიერი დასჭექა, ყველა აჟყვა და ჰაერი შექანდა,



დატრიალდა, გარეთ გავარდა, აიყოლია ქუჩაში ლადად
მოფარფატე პოეტთა სულები და იერუსალიმში იბერთა
მონასტრისაკენ გაქანდა დაეტაკა ზარს და აამდერა:

აი ია, აი ია, კოლხა მქვია -
მზემ გოლგოთას სხივი სტყორცნა,
პატრონს ელის ეკლესია,
აი ია, აი ია, გაბრწყინდება იბერია!

სავლე შინ გვიან დაბრუნდა. ღვინო ძლიერ მოკიდე-
ბოდა, ამიტომაც არც საზიზდარი გახსენებია და არც
მეგობარი ქარაოცა. საზიზდარის არ ვიცი რა, მაგრამ
ქარაოცა მოწყენილი დაჟურებდა ლრმად ჩაძინებულ
მეგობარს.



სიზმარში ნანახი სინამდვილე და რეალური სიზმარი სიზმარში

მოასფალტებულ გზას სისხლის სუნი ასდიოდა. გზის
ორივე მხარეს თეთრ, წითელ და ლურჯ ფერებში
გამოწყობილი ჯარისკაცები იდგნენ. გზაზე გასაოცარი
სისწრაფით ავტომანქანა მიქროდა. საჭეს, წაბლისფერ-
თმიანი მამაკაცი მიჯდომოდა, გვერდს უმშგენებდა
აუქერელი სილამაზის ქალბატონი, უკან ორი ბავშვი
ისხდა და ახალგაზრდა ბიჭი, ასე დაახლოებით თვრა-
მეტი წლის.

- ვაი, - შეცბა, სავლე როცა ნათლად აღიქვა მანქა-
ნაში მსხდომნი: - ეს ხომ ჩემი ვაჟია - გაბრიელი, რძა-



ლი - ასმათი, ჩემი ნათლული ბექა და ჩემი შვილიშვილები.

მანქანა აღუწერელი სიჩქარით მიქროდა და მიქროდა, მაგრამ ისევ ერთი და იგივე აღგილზე ჩნდებოდა. ქუჩის გასწვრივ მდგომი ჯარისკაცები კი, საშინლად ხარხარებდნენ. გაბრიელმა მანქანა დაამუხხუჭა.

— არა არ გააჩერო! — დაუყვირა სავლემ შვილს, მაგრამ, გაბრიელს არ ესმოდა მამის ყვირილი.

უეცრად, მანქანის წინ, მიწიდან, სოკოებივით ამოძვრნენ, სპორტულ ტანისამოსში გამოწყობილი სამი ჩასუქებული, მყვრიმალებიანი სახის, მოდონდლო სხეულის მქონე, სამი კაცი.

— „დაბონტა ხორზ”, — ოსურად მიესალმენ გაბრიელს და აგტომატები დაუმიზნეს.

გაბრიელი ყველაფერს მიხვდა - ბოროტობა შემორტყმოდა გარშემო. ამას სავლეც ხედავდა, რომელიც ამ ყველაფერს ზემოდან დასცექროდა, მაგრამ, ვერაფერით შველოდა, დადუმდა და ყურთასმენა უფრო მგძნობიარებაუხდა:

— ამათ, მე, გავიტყუებ. შენ საჭეს მიუჯექი და გაქანდით, — ცოლს მიმართა გაბრიელმა და მანქანიდან გადმოვიდა.

— გამარჯობა, — ხმადაბლა მიესალმა გაბრიელი, მერე, შეილდივით მოიზიდა და ერთ-ერთს, რომელიც პირველი მიუახლოვდა, იმისთანა მოსდო ყბაში, რომ ჰაერში ამოატრიალა, და მინდორისკენ გაიქცა — ჩანაფიქრი აუხდა სამივე გამოეკიდა.

— სწრაფად! სწრაფად გაიგეცი! — ყვიროდა სიზმარში სავლე და ყვიროდა ცხადში ასმათი.



გაბრიელმა, უკან მოიხედა და როცა დადევნებული ოსები დაინახა – გაეღიმა, და სირბილი შეანელა, შეე-შინდა: „იმედი არ დაკარგონ, ჩემი დაწევის, და უკან არ მიბრუდნენო - მანქანასთან”

– ყოჩალ შვილო! – სიამაყით თქვა სავლემ, როცა გაბრიელის ჩანაფიქრი ამოიცნო.

გამწარებულმა ოსებმა - „არ გაგვექცესო”, ავტომატი-დან ესროლეს. გაბრიელი წაიქცა.

– არაა! – გაისმა ასმათის განწირული ხმა. ბექას გახედა და მუდარის ხმით მიმართა: – ხომ იცი მანქანის ტარება? მიუჯექი საჭეს და გააქანე, აი იმ ნათელ წერტილისაკენ. თვითონ კი მანქანიდან გადმოვიდა და ქმრის საშველად გაიქცა.

– არა ასმათ! არა! ვერ უშველი... – ახლა სავლე რძა-ლს უყვიროდა.

სასიკვდილოდ დაჭრილ გაბრიელს, ოსები თავზე წამოდგომოდნენ და კონდახით უმოწყალოდ სცემდნენ. ასმათი, უკნიდან ერთ-ერთს მივარდა და კისერში კბილებით წვდა, იგრძნო სისხლის გემო, და უფრო მოუჭირა კბილები. ოსმა საშინელი ყვირილი მორთო. მეორემ სცადა დახმარება - მაგრამ არ გამოუვიდა, მაშინ, წელზე ჩამოკიდებული სანადირო დანა საბუდარიდან ამოიღო და ასმათს ბეჭში ჩასცხო. დანამ გულა-მდე ჩააღწია და ასმათი ძირს დაეცა, თავისი მეუღლის გვერდით.

სავლეს, ხმა დაკარგვოდა, მხოლოდ ცრემლები სდიოდა და ბუნდოვნად ხედავდა მანქანას, რომელიც თეთრი წერტილისაკენ მიექანებოდა. ესმოდა მანქანის საყვირის გაბმული ხმა, რომელიც უფრო და უფრო ძლიერდებოდა.



— რა ჯანდაბაა? — წამოიყვირა სავლემ და წამოხტა.
 — რაო, თეთრწვერავ, ცუდი სიზმარი ნახე? — ჰქითხა
 კლდის ნატეხმა.

სავლე მიხვდა, რომ ეს უკვე სიზმარი არ იყო და
 მანქანის საყვირის გაბმული ხმა ქუჩიდან შემოდიოდა.
 აივანზე გავიდა. გარეთ, მანქანის მძღოლი, საყვირის
 ხმით, ვიღაცას უხმობდა. იქვე მენაგვეც იდგა, რომელიც
 ცოცხეს ცელივით იქნევდა და ნაგავს ხან ერთ მხარეს,
 ხან მეორე მხარეს მიაყრიდა და მერე, მეორე განზომი-
 ლებაში გააქანებდა, თან თავისთვის ლილინებდა:

ვინც კი იწამა იესოს სიტყვა,
 გული გაუხსნა ეფუთის ლოცვებს,
 მას გვერდს აუკლის სოდომის ცოდვა,
 გადაურჩება იუდას რისხვას.

სავლე ცოტახანი მენაგვეს უცექრდა, მერე ზლაზვ-
 ნით უკან შემობრუნდა. სამზარეულოში გავიდა და
 გაზის ქურაზე ჩაიდნით წყალი დადგა. შემდეგ, აბაზა-
 ნაში შევიდა, წყალი გადაივლო, ჩაი დალია და ისევ
 მისაღებ ოთახში დაბრუნდა, წიგნის თაროდან კლდის
 ნატეხი გადმოიღო, სავარდელში ჩაჯდა, კლდის ნატეხი
 მუხლზე დაიდო და ჰქითხა:

- როგორ მოგწონს ადამიანის სამყარო?
- არ მომწონს. თქვენ ერთმენეთს ანადგურებთ, — მკვახეთ მიუგო კლდის ნატეხმა.
- რას გულისხმობ? — ცოტა გაბრაზებით იგითხა
 თეთრწვერამ.
- ომებს, ერთმანეთის ჩაგვრას, დაბეზღებას... თქვენ,
 პატიოსანი და ნიჭიერი ხალხის გასაკონტროლებლად



მრავალ საფეხურებიანი მსტოვრების ქსელი შექმენით... თუ ვცდები? – ახლა კლდის ნატეხმა ჰქითხა სავლეს, თანაც ირონიულად ახედა.

- არა, არ ცდები, – დაეთანხმა სავლე.
- პო-და რაღას მეკითხები. ჯერ მარტო საგანმანათლებლო სისტემაში რამდენი ჯაშუში გყავთ. მარტო შენი ნათქვამიდან ვიცი... გინდა ჩამოგითვალო? – არ დაელოდა პასუხს კლდის ნატეხი და უცბად ჩამოუთვალა: ავ-ათო ჩუთ-ლა-ძვირა, ლა-მარი ბეგი-ძე, ბე-სი ალი-და-შილი, ზი-კა ქათამა, კა-კა ტკიპა-როიძე, კოტ აბულიყ-ძე, ზუ-გა გარა-ყა-ძე. რა, არ კმარა?

– მართალი ხარ. და, კიდევ, ყველაზე ცუდი რა არის იცი? ისინი საქმიდან გამომდინარე კი არ მოქმედებენ, არამედ საკუთარი ინტერესებიდან. თუმცა, არც პირველია გამართლებული, რამეთუ როცა მთავრობა დეგრადირებულია, შესაბამისად ასეთი სამსახურის მიზანი არაკეთილსინდისიერია და მართვაც არაკეთილსინდისიერ პრინციპებზეა აგებული. – სავლეს აშკარად შეეტყობულგატეხილობა. – არ ჯობია სხვა რამეზე ვისაუბროთ?

- ჯობია! მაგრამ, ერთი რამ მაინტერესებს ჩვენს ქვეყანაში განათლებას ყურადღებას რატომ არ აქცევენ?
- კლდის ნატეხის კითხვა უფრო მუდარას ჰგავდა.
- გინდა ერთი პატარა ისტორია მოგიყვე? – ჰქითხა სავლებ.

– მინდა, – და კლდის ნატეხი მოსასმენლად მოემზადა.

– ეს მოხდა მეცხრამეტე საუკუნეში, – დინჯათ დაიწყო თხრობა სავლემ, – იბერიაში ცხოვრობდა ერთი წმინდანი, სახელად - ილია. ამ კაცს უზომოდ უყვარდა



თავისი სამშობლო და თავისი ერი. იბერიას როგორც ახლა, მაშინაც ჩრდილოელი ვირთხები ცდილობდნენ დაპატიონებას, ამ მიზნით, მათ ინჩ-რუს-უზუმეს მსტოვრების ფართო ქსელი შექმნეს, ამ მსტოვრების ქსელის მთავარი მიზანი იყო იბერიელების ზნეობრივი გახრწნა, ხოლო ზნეობრიობა რომ მოესპოოთ, საჭირო იყო განათლების და განათლებული ადამიანების განადგურება. და, როგორ უნდა მოეხდინათ ეს? – სავლემ, დასვა-რა კითხვა, ჩამოთვლას შეუდგა: – პირველ რიგში ხალხში ფულის ადვილად შოვნის სურვილი უნდა დაენერგად; შემდეგ, ერთმანეთის ქიშპობა. დაბოლოს ყველაფერი უცხოურის განდიდების და საკუთარი ფასეულობების დაკნინების სურვილი. პირველი, ადვილად მოახერხეს – უმაღლეს სასწავლებლები ხელში ჩაუგდეს საკუთარ მსტოვრებს, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ და ცდოლობენ ცოდნის მნიშვნელობის გაუფასურებას, რასაც რიგიანად ასრულებენ დღემდე - შემდეგი ხერხით: „ფულს გადაიხდი, დიპლომს მიიღებ; სულერთია მცოდნე ხარ თუ უცოდინარი“. და, ასევე, თუ მხარს დაუჭერ ისეთ მოძრაობას, რომელიც ხელს უწყობს სხვა რელიგიური მრწამსის დანერგვას, უცხო ტომის ხალხის ჩამოსახლებას, გამრუდებული სექსუალურ მიმდინარეობას, მაშინ, უმაღლეს სასწავლებელში წარმატებული იქნები. ასეთი მიდგომა, ადამიანებში, ფულის ადვილად ან კიდევ უფრო უარესი არაკეთილსინდისიერი გზით შოვნის სურვილს ბადებს, რაც თანდათანობით ცხოვრების წესად გადაექცევათ.

– ერთმანეთის ქიშპობა, როგორ დანერგეს? – ცნობისმოყვარეობა დაეტყო კლდის ნატეხს.



— ერთმანეთის ქიშპობა, იბერიელებში პირველად დანერგეს ბერძნებმა, კერძოდ იაზონმა, ამ უმგვანომ - მედეა, თავის მამას - აიეტს დაუპირისპირა, — სიბრაზით და თან გულის ტკიფილით აღნიშნა სავლემ.

— როგორ მოახერხა ეს? — იკითხა კლდის ნატეხმა.
 — ცდიერებით, — მოკლედ უპასუხა სავლემ.
 — გასაგებია. და, სხვისი განდიდება როგორ? — და, კლდის ნატეხმა შეამჩნია, რომ სავლეს ამ საკითხებზე საუბარი გულსტავნდა.

— როგორ და, როცა შენი ახლობლის მიმართ ქიშპობა გიჩნდება, მაშინ სხვისი ყველაფერი გირჩევნია და „გირჩევნია“ ბადებს არასწორ შეფასების საფუძველს.

— ეს გასაგებია, ახლა, ილიაზე მომიყევი, — კლდის ნატეხმა სავლეს ისე მიმართა, თითქოს, სავლეს მისი რაიმე ემართა.

— რახან დაგპირდი მოგიყვები, — და სავლემ თხრობა დაიწყო: — მეცხრამეტე საუკუნეში იბერიაში მეტად რთული ვითარება შეიქმნა, ქვეყანაში მოძლიერდა ინჩ-რუს-უზუმეს მსტოვრების ქსელი, ხალხი სამად გაიყო ჩრდილოელი წითელი და თეთრი ვირთხების, და მესამე - დასავლეთის ცისფერი მელიების მომხრეებად. ამ, სამივე ცხოველს, იბერიის მიწის ხელში ჩაგდება სურდა. მართალია, სოფელი დვთაების მაცხოვრებლები ბევრს ცდილობდნენ ხალხი ამ სამი გაიძვერა ცხოველის ქადაგებიდან ეხსნათ, მაგრამ არ გამოსდიოდათ, რამეთუ ხალხი, ამ პერიოდში, ძალიან გონება არეული იყო.

— სოფელ დვთაებაზე და ჯადოსნურ ტყეზე გამიგია,
 — თხრობა შეაწყვეტინა კლდის ნატეხმა.



— მეგობარო, ჯადოსნური ტყე და სოფელი ღვთაება სხვა განზომილებაშია. ამ სოფელში ღვთივმიმადლებული ხალხი ცხოვრობს, იქ მაცხოვრებელი ხალხის უმეტესობა ადამისა და ევას მესამე ძის - შეთის, უშუალო შთამომავლები არიან, რომლებსაც წარდგნა არ შეხებიათ.

— ახლაც ხომ არსებობს ეს სოფელი? — ჰეითხა კლდის ნატეხმა სავლეს.

— რასაკვირველია. ერთი კვირის წინ, როგორც ეს ჩვენმა მეზობელმა მომიყვა, ინჩ-რუს-უზუმეს მსტოვრებს, სწორედ ამ სოფელში გაექცათ პარალელური სამყაროს ჩვენი ქუჩის მაცხოვრებელი დავითის ოჯახი. და, ამ სოფლიდან იყო იღიაც, ის ხალხში სიკეთეს, ქვეყნის და ღმერთის სიყვარულს ქადაგებდა, მაგრამ მაშინდელმა ცნობილმა და ვითომ განსწავლულმა ხალხმა, როგორც ახლა ხდება, იღიას მოსაკლავად ჩრდილოეთიდან, ლენინის პირადი ხელქეთი, ადამიანის გარეგნობის მქონე, წითელი ვირთხა ჩამოიყვანეს, ორჯონიქიძედ ცნობილი. იღიას სურდა, — და სავლეს გულგატებილობა შეეტყო: — ფრთხილი პოლიტიკით, ყოველგვარი სისხლის ღვრის გარეშე გაენთავისუფლა იბერია წითელი ვირთხებისაგან. გეგმა ასეთი იყო: იბერიას ჯერ ფართო ავტონომიის უფლება უნდა მოეპოვა ინჩ-რუს-უზუმეს იმპერიის ფარგლებში, შემდეგ დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებთან დაახლოების გზით მსოფლიო პოლიტიკაში აღგილი დაემკვიდრა და, როგორც კი მსოფლიო პოლიტიკაში აღგილს დაიმკვიდრებდა, ხრული დამოუკიდებლობა მოეთხოვა. მაგრამ, ამ ჩანაფიქრს მიუხვდნენ ინჩ-რუს-უზუმეს მსტოვრები და როცა ქალაქიდან, მეუღლესთან ერთად, თავის



მშობლიურ სოფელში ბრუნდებოდა, ორჯონიკიძე, თავის თანამოაზრე გირთხებთან ერთად გზაზე ჩაუსაფრდა - მოსაკვლელად. მკლელების განზრახვა, თეთრმა ირემმა შეიტყო - ჰოო, - და სავლე თეთრი ირემის ამბის თხრობაზე გადაერთო: - როცა ილიას მშობლები სოფელ საგურამოში დასახლდნენ, მაშინ ილია ათი წლის იყო. ილიას ოჯახმა, თავისი გულქეთილი საქციელით, სოფლის მაცხოვრებელთა სიყვარული მოიპოვა, და ყველა ცდილობდა მათ დახმარებას და მათთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებას, განსაკუთრებით დაუახლოვდათ საგურამოელი გლეხი - გაბო. გაბოს, ილია, ხშირად დაჟყავდა ტყეში, აცნობდა ცხოველების, ფრინველების ქცევას, მინდვრის ყვავილების სახეობებს და მათ სამკურნალო თვისებებს. ერთ-ერთი ასეთი სეირნობის დროს მგლებისაგან დაგლეჯილ ირემს წააწყდნენ, რომელსაც თავზე, თეთრი ფერის ნუკრი წამოდგომოდა. შეეცოდა ილიას ნუკრი, სახლში წამოიყვანა, გაზარდა და, როცა შეატყო, რომ დამოუკიდებლად შეძლებდა არსებობას, ტყეში გაუშება. - ჰოო, - ისევ ამოიოხრა სავლემ და ილიას მკვლელობის ამბავს დაუბრუნდა: - და, როგორც გითხარი მკვლელების განზრახვა თეთრმა ირემმა შეიტყო, შეიტყო მეგობარ ნიავისაგან, რომელიც შემთხვევით შეესწრო ყაჩაღების საუბარს. ქარიშხლის ფრთები გამოიბა ირემმა, მაგრამ მაინც დააგვიანდა, მკვლელებს თავისი საქმე უკვე მოეთავათ. შეძრწუნებულმა ირემმა როცა ტყვიით განგმირული ილია იხილა ისე ხმამაღლად დაიბლავლა, რომ მთები შეიძრა, ცა მოიქურა, შხარას მყინვარიდან ზვავი მოწყდა - აუტანელი კივილით, ტყლაშანით თავზე დაემხო ზღვას და თან ჩაიტანა იმედი. ზღვაში ჩაძირული იმედი, ფსკერზე



დაეშვა, ისევე როგორც ქალაქი აია. ერთხანს მარტო იხეტიალა, ჩაძირული ქალაქის ქუჩებში, მერე მასავით მიტოვებული, დაობლებულ წარსულს გადააწყდა, მისი დანახვა გაუჟხარდა, დამეგობრდნენ და ერთად დაიწყეს ხეტიალი ქალაქის ნანგრევებში, როცა დაიღალნენ გადაწყვიტეს მომავალი ეპოვნათ, მაგრამ არ იცოდნენ სად ეძებნათ, ვის არ კითხეს: თევზს, კიბორჩხალას, ზღვის ზღარბს, ბოლოს ზღვაში ჩაღწეულ მზის სხივს; სხივი ჯერ ვერცხლისფრად ალივლივდა და, მერე, უპასუხა:

— მომავალს თუ ეძებთ, აჲყევით ჩემს ნათებას და იპოვით იმას რასაც ეძებთ.

მეგობრები, სწორედ ასე მოიქცნენ და როცა ზღვის ზედაპირზე აღმოაღწიეს, სანაპიროზე ულამაზესი წყვილი დაინახეს. ქალი ფეხმძიმედ იყო.

— აი, ეს არის მომავალი! — ერთდროულად წარმოთქმეს მეგობრებმა და მათ სხეულში ჩასახლდნენ.

— ვინ იყო ის ქალ-ვაჟი? — თხრობა შეაწყვეტინა კლდის ნატეხმა სავლეს, რომელიც მთელი არსით წარსულში ჩაძირულიყო.

— ჩემი შვილი და რძალი. მაშინ ასმათი უფროს შვილიშვილზე იყო ფეხმძიმედ. — და, სავლემ ისე ამოიოხერა, რომ კლდის ნატეხსაც კი ეტკინა გული.

— ბოროტი ვერ გაიხარებს, — გაამსნევა კლდის ნატეხმა.

— გეთანხმები და, ბოროტება ვერასოდეს ვერ მოსპობს იმ ერს, რომელსაც წარსული, იმედი და მომავალი ერთ არსებად აქვს გამჯდარი ცნობიერებაში. — სავლემ კიდევ ერთხელ მძიმედ ამოისუნოქა, კლდის ნატეხი



თავის ადგილზე დააბრუნა და ქუჩაში გავიდა – სახე-ტიალოდ - ისევ, მოგონებებთან შესახელრად.

– შენ სავლე არ ხარ? – ხელში წავლო სავლეს, მოპირდაპირე მხარედან მომავალმა, ასაკს მიტანებულმა მამაკაცმა.

– ნუგზარ შენა ხარ? – ძლივს იცნო სავლემ ბავშვობის მეგობარი და, უეცრად გაახსენდა თუ როგორ პარავდა ნუგზარი მარკებს, როცა სავლე მარკების ალბომს ათვალიერებინებდა; და, გუნებაში გაეცინა.

ნუგზარი სავლეს მეზობლად ცხოვრობდა, ეროვნებით ოსი იყო, მაგრამ იბერიელობას ჩემულობდა და, მოსწონდა სავლესთან მეგობრობა.

– რამდენი ხანია ერთმანეთი არ გვინახია? გამიხარდა შენი დანახვა! – და ნუგზარი გადაეხვია მეგობარს.

– მეც ძალიან გამიხარდა, – და სავლემ მეგობარს ხელები ძლიერად მოხვია.

– წავიდეთ ავლნიშნოთ ჩვენი შეხვედრა, – შესთავაზა ნუგზარმა.

– წავიდეთ, – სიხარულით მიიღო შეთავაზება სავლემ და, ბავშვობის მეგობრები უახლოეს დუქანში შევიდნენ.

ლუდის, არყის და ხინკალის ორთქლში, გაიხსენეს ბავშვობის ოინები.

– გახსოვს საშა ჯაფარიძის ბებია - „პაუარნიკა”, როგორ გვეშინოდა მისი. – და, ნუგზარმა შიშის იმიტაცია მოახდინა.

სავლეს, ნუგზარის პანტომიმაზე გაეცინა. – კი, როგორ არ მახსოვეს, ერთხელ ბურთი წაგვართვა იმის გამო, რომ მისი შვილიშვილი არ ვათამაშეთ. თუმცა ბურთი მისი იყო და... ორო, მაგრამ, ბაბუა ძალიან



დირსეული კაცი ჰყავდა. ერთხელ მახსოვს ალიკა დავთექებ, ხომ გახსოვს სომეხი ალიკა? ბაგშობაში ტანით ჩემზე დიდი იყო...

მახსოვს, როგორ არ მახსოვს, – მხიარულად გამოეპასუხა ნუგზარი.

პო-და, როცა ალიკა დავთეთქვე, საშკას ბაბუა მოვიდა ჩემთან, ხელი ჩამომართვა და მითხრა: „ყოჩაღ შენზე დიდის, რომ არ შეგგშინდა”.

– „პანიდელნიკა” თუ გახსოვს? – პკითხა ნუგზარმა.

– როგორ არ მახსოვს, მახსოვს. საუკეთესოდ თამაშობდა ფეხბურთს და ამიტომაც შევარქვით ცნობილი რუსი ფეხბურთელის სახელი. – და, სავლეს მოგონებების სასიამოვნო ნიავმა გადაუფრინა სახეზე.

მოგონებები ხან სავლეს არყის ჭიქაში ბანაობდა და, ხან ნუგზარის, და უფრო და უფრო ატკბობდა მეგობრების გულს.

სავლე კარგა ნასვამი დაბრუნდა სახლში. თავის საყვარელ სავარძელში ჩაესვენა და თავისთვის, მაგრამ კლდის ნატეხის გასაგონად, ახალგაზრდობაში დაწერილი ლექსი წარმოთქვა:

ერთად დავლიეთ მე, და დემონმა
და გადავეშვით თრობის მორევში,
სასმელმა ლექსის რითმი ჩახლართა
და სტრიქონები სადღეგრძელოში.

ლვინომ წაშალა სიბრძნის ნიშანი
და სიყვარული გაჩნდა ჩვენს შორის,
დემონი გახდა ჩემი მორჩილი,
მე კი, დემონის თანამზრახველი.
გადავეხვიე ვით ძველ მეგობარს,



ქიშპი ჩავგალით ორივემ გულში,
 გეფიცებოდი ძმობას, სიყვარულს
 თურმე რა ძალა ჰქონია ბახუსს.
 თასი დავცალე, ყანწები ვფერთხე,
 თავი მეგონა სამყაროს მეფე,
 უცებ, მეუფემ თავში წამარტყა
 და ყველაფერი ისევ დალაგდა.

- ერთად დალიეთ შენ და დემონმა? — გაისმა ნაცნობი ხმა.
- ქარაოცა შენ... როგორ გამიხარდა შენი ნახვა, — სიხარული ვერ დამალა თეთრწვერამ.
- დღეს არ გამოჩენილა საზიზღარი? — გაკვირვებულმა იკითხა ქარაოცმა.
- არა. როცა მთვრალი ვარ მერიდება. ეშინია. — და, თეთრწვერას ირონიულად გაეღიმა.
- მას შიში არა აქვს. ხომ იცი რატომაც. სანამ ბოროტი ადამიანები იარსებებენ ისიც იცოცხლებს. — გულდაწყვეტილმა აღნიშნა ქარაოცმა.
- ნეტავი ვინ მოიგონა ბოროტება, სიძულვილი, ერთმანეთის მტრობა. ჩენ იძერიელები ყოველთვის კაცის მოყვარულნი ვიყავით და არასოდეს ვესხმოდით სხვა ხალხს, არასოდეს ვიტაცებდით სხვის მიწებს. — გაჯავრებულმა გაიქნია ხელი ჰაერში თეთრწვერამ და ქარაოცას ლექსით მიმართა:

იყო ტკივილი გაუსაძლისი,
 მოუნათლავი სული დაწრწოდა,
 გაჩდა სინათლე, გაჩნდა წყვდიადი,
 ვიღაცამ ცოდვა გამოიგონა.



თალხი ებურა იბერიის მთებს
და მოჩვენება ტყეში დაქროდა,
ატყლაშუნებდა დაძონძილ ფრთებს,
მისი კივილი ზეცას წვდებოდა.
ალმოსავლეთით შუქი გამოჩნდა,
მოაბიჯებდა მწყემსი კეთილი,
გული სიკეთეს ეშურებოდა,
განათდა სული გაუმარგლავი.
მცხეთას გაბრწყინდა სვეტიცხოველი,
ხუროთმოძღვარი ჩუქურთმებს ქარგავს,
ქალალდზე იწვის ლექსის სტრიქონი,
კახელი მღერის მრავალუამიერს.
მაგრამ, ისევ მოჭიმა მტერმა ისარი,
შორიდან ისმის გლოვა,
აფხაზეთს ყლაპავს რუსი დემონი
სამაჩაბლოს კი, - ოსი.
სომეხმა „ძმური“ სარმა გამოგვდო,
თურქი არ იშლის თავისას,
სიხარბე დაქრის მოჩვენებივით,
თავზე ვერცხლის ფულს გვაყრის.
გაჩნდა სიბრივე გაუგონარი,
ისევ ჩამოწვა თალხი,
მხოლოდ იმედით ცხოვრობს იმედი –
იქნებ გამოჩნდეს მგზავრი.
მჯერა - გააპობს წყვდიადს ნათელი,
აღორძინდება ერი,
ისევ ვიმღერებთ მრავალუამიერს,
დმერთო მითხარი - ამინ!



— პოდა, აწი უკვე უნდა ვისწავლოთ ჭკუა, — ნიშნის
მოგებით აღნიშნა ქარაოცამ:

იბერიელმა კარი გაუღო -
 სტუმარად ჩამოსულ გლახაკს,
 დღეს ეს სტუმარი უკვე მანსპინძლობს,
 იბერიელის ნაცვლად.
 იბერიელო, გზა გამოკვერე!
 დროზე მოუხმე ჭკუას!
 თორემ დარჩები სხვისი შემყურე,
 სხვასთან დაიდებ ბინას.

— ყველა რასაც იმსახურებს იმას მიიღებს, — დამუ-
ქრებით აღნიშნა თეთრწვერამ და წარმოთქვა:

ჩაიძირება გზა მრუდი -
 როგორც ტალახი,
 წყლით გაჟდენთილი,
 აზელილი,
 მზისგან დამსკდარი.
 ზუსტად ასევე ჩაიძირება კაცი -
 ვისაც არ უყვარს სიტყვა მართალი,
 ვინც არ დაანთებს სანთელს ტაძარში,
 ვისაც არ უყვარს თავისი ერი,
 ვინც ერთგულებას დაადო ფასი
 და სიკეთეზე აღმართა ხელი.

— ქარაოცა დაფიქრდა და უპასუხა:

ერში გამჯდარა შური და ერთმანეთის გმობა,



განა ეს არის საქმე?
 ეს გადაარჩენს ძმობას?....

— შენ მართალიხარ... მაგრამ:

მე, მჯერა მხოლოდ დმერთის,
 მისი მართალი სიტყვის,
 მჯერა მშრომელი კაცის,
 განსაკუთრებით გლეხის.

— რა გადაარჩენს იბერიას, ყველაფერი გაერთიანები-
საკენ მიდის. — და, ქარაოცამ დანანების ნიშნათ თავი
აქეთ-იქეთ გააქნია:

ოო, მეგობარო, მე შენი მჯერა და გეთანხმები,
 ჩაიფერფლება დრო, სწრაფად გაივლის წლები,
 და მათთან ერთად სამყარო - შენი და ჩემი,
 მიუღებელი იქნება ჩვენთვის, ურთიერთობის ახალი
 წესი.

— არა! — თეთრწვერას არ მოეწონა ნათქვამი და:

ურთიერთობის უგვანო წესი?
 ის ვერ გახდება კანონი ჩემი!
 გახსოვდეთ:
 ადამიანი ვერასოდეს გაექცევა სისხლის ყივილს,
 სისხლს ეფუძნება არსების მისი იერარქია,
 სისხლი განსაზღვრავს კაცის ქცევას,
 შესაბამისად - ერის.



— რას გეტყვი იცი? — და ქარაოცამ, პასუხი, სახეში
სილასავით გააწნა:

დღეს ისეთი სიბრიუვეა,
ღვთის ისეთი გმობა,
სისხლის ყივილს კი არა-და,
უყვართ სისხლით თრობა.

— პოო, — თითქოს-და დაეთანხმა თეთრწვერა:

მაინც რა არის ჩვენი ცხოვრება -
დროის ტარება?

დვინის დალევა?
ქალთან შეხვედრა
და განშორება?

ეს განგებაა, თუ შთაგონება?
პასუხს ვინ გასცემს?

ამ უაზრობას,
ვინ შეაჩერებს?
ოინმბაზობას,

ის?!

იმედის თვალით გუცქერ ჰორიზონტს,
რატომ არ ჩანს?

ნეტავ რა გველის?
სული სხეულში ჩატენის იმედს,
როგორც გულკანი საკუთარ ლაგას,
მე, მაინც მჯერა - მორედ მოსვლის!
იმედიანად გული ჩურჩულებს:
ის დაბრუნდება!
და ბევრ პოსტულატს გადააფასებს.



— ქრისტე ყველაფერს განსჯის, — იმედით წარმოთქმა
ქარაოცამ და ოეთრწვერას დასამშვიდებლად თქვა:

შენი არ იყოს, მეც, იმედით უუცქერ მომავალს,
ის დაბრუნდება და გულის სითბოს გაგვინაწილებს,
გაანადგურებს რაც კი ცუდია, რაც სულს ახავსებს,
ყველა ცოდვილი წარსულს უარყოფს,
და

მას მიბაძავს,
და ბევრი რამე შეიცვლება ამ ქვეყანაზე.
კვლავ გავიგონებო მართალ სიტყვას:
„მე ვარ აღდგომა - თქვენი სიცოცხლე!
გისაც ჩემი სწამს - მარად იცოცხლებს!“.

— შენ მართალი ხარ მაგრამ ახლა:

ჩამოდგა ჟამი პირქუში, შავი.
ეშმაკი ლეწავს კალოზე სინდისს,
გაექცა კაცი საკუთარ ნამუსს -
ზავით შეეკრა ტუტუცს.
თითქოს გერეშაპს ზღვა გაუფხრიწავს,
თითქოს დაემხო ცა დედამიწას,
თითქოს ღრუბლები კვანძავენ ყულფებს
და ქარიშხალი სამყაროს გლიჯავს.
ღრო ისე ბლგრძის მომდგარ მომავალს,
თითქოს ლამობდეს აწყმოსთან გაყრას,
თითქოს გაურბის წარსულის ცოდვებს
და ემალება კოსმოსის ხახას.
ღროის სიხმდალე, სამყაროს მაღა



და ჯოჯოხეთის ფერთა ნათება,
 ვერ შეაშინებს იმ ადამიანს
 ვინც
 გაითავისა იესოს სიტყვა.

— გაგიმარჯოს, — და ქარაოცამ თეთრწვერას მიმართა:

შენ მართალი ხარ:

ვინც კი იწამა იესოს სიტყვა,
 გული გაუხსნა ეფუთის ლოცვებს,
 ვერ შეაშინებს იუდას რისხვა,
 თავს აარიდებს მიწიერ ცოდვებს.

— ჰო, მართალი ხარ, მაგრამ:

არც მსაჯული გარ, არც ბრალდებელი,
 მაგრამ გამიჩნდა კითხვა ასეთი -
 განა ცოტაა საღიღებელი იბერიაში?
 და მაშინ:
 რატომ ვადიდებთ უკეთურ საქმეს?
 ნუთუ ღირსებად ითვლება ნაკლი?
 რატომ ვაღმერთებთ ფულიან ჩარჩებს
 და რატომ მოგეწონს ჭამბაზის სახე?
 რატომ გავურბით საკუთარ გენს
 და რატომ ვუფრთხით წარსულს?
 უნდა გვახსოვდეს!
 ბოროტი საქმე ღირსებას გვართმევს,
 წარსულის ცოდნა ამაღლებს გრძნობას!
 სისხლის აღრევა ჩვენ ყველას გვავნებს



და ვერ აღვიქმავთ ჩვენს ნამდვილ სახეს.

ქარაოცამ იმედიანად თქვა:

მოდის აღდგომა
და სამჯავროზე გამოიყვანენ,
გინც კი ღვთის ნებას, ზურგი აქცია
და იძერია ნარდის თამაშად გადააქცია.

თეთრწვერა:

პატრიოტიზმზე ბევრი კამათობს,
ლაზლანდარობენ, იცვლიან ნიღბებს,
ინაწილებენ თეატრში როლებს,
როლის მიხედვით - წილებს.
ბრძოს, გრძნობა როდი აინტერესებს,
უდარდელობის აღევთ უღელი,
ფულისთვის - მგლებივით იწყებენ ყმუილს,
მერე - ემსგავსებიან კურდღელებს.

ქარაოცა:

როცა დრო წარსულს სვავივით კორტნის,
მაშინ ცხოვრება ემსგავსება დეკორაციას,
ეს მოჩვენება, ცხოვრებას მატყლივით ბერტყავს,
და კაცის მიზნებს,
მისამართს უცვლის.

თეთრწვერამ ცას გახედა, უპავ თენდებოდა, თან წვი-
მაც დაწყებულიყო:



აბლაბუდაში, წყლის წევთი წევთაგს
და ეღვიძება გონებაში განაბულ სიზმრებს,
სხივმა დრუბელში გაინაპირა,
მთვარე გაოგნდა,
მზე კი,
აეპრა დრუბლების ბადეს.

ქარაოცა:

პო მართალი ხარ, უკვე თენდება,
დროა წავიდე, ისევ შევხვდებით.

ჩად◆გ◆გ◆გ◆გ◆გ◆გ

ზაფხულს, იანვარის ცივი დღე შეეპარა

სავლეს ქუჩიდან მეეზოვეს ხმა შემოესმა, ფანჯრიდან
გახედა, ტიმოთე ცოცხს ცელივით იქნევდა და ნაგავს
ხან ერთ მხარეს მიაყრიდა, ხან მეორე მხარეს, მერე კი
მეორე განზომილებაში გააქანებდა. გადაყრილი ნაგავი,
მეორე განზომილებიდან პიველში იყრებოდა, და ასე
ტრიალებდა განზომილებებს შორის. გასაკვირი ისიც
იყო, რომ სამივე განზომილებაში, სამჯერსამი მენაგვე
ერთიდაიგივე ლექს ამბობდა და სამივე, სამგანზომილე-
ბიან კვადრატში აყვანილ სამყაროს ნაგვისაგან განთა-
ვისუფლებას ცდილობდა.

ტიმოთემ, სავლეს სახლის ფანჯრებს გახედა. დიდი
ხანია გათენებულიყო, მაგრამ, სავლეს, ბინაში მაინც
ენთო შუქი:



— „ეტყობა სბინავს”, — თავისთვის გაიფიქრა ტიმო-
თემ და მეორე ლექსი, უფრო ხმამაღლა წარმოთქმა:

სიომ ყურში ჩაგვჩურჩულა:

გაზაფხული დადგაო, მიწაც უკვე გალლვაო,
გლეხმა თავის ეზოში, ბარი მიწას დაპერაო,
კომშიც ლამის აყვავდეს, შენს პატარა ბაღშიო,
ჩქარა გარეთ გამოდი, რას დამჯდარხარ სახლშიო.

სავლეს გაეცინა. მიხვდა, რომ ტიმოთემ მის გასაგო-
ნად თქვა ლექსი, თან გაიფიქრა: „რა დროს გაზაფხუ-
ლია, დააგვიანდა. აა, შეიძლება სხვა რამეს გულისხ-
მობს” და მძიმედ წამოდგა სავარძელიდან, პირი დაიბა-
ნა, წინა დღეს გაკეთებული საღილი გაიცხელა, შეჭამა
და გარეთ გავიდა - სასეირნოდ, ვერ იგრძნო როგორ
გაცდა ქალაქის საზღვრებს, უფრო შორს მოინდომა
წასვლა, მანქანა გააჩერა და მძღოლს სთხოვა:

— თეთრი და შავი არაგვის შენაერთთან მიმიყვანე.

მანქანა ჯერ მოასფალტებულ გზას მიუყვებოდა,
მერე მარჯვნივ გადაუხვია და ოღონო-ჩოღორ ქვიან გზას
გაუყვა.

— მეტზე ვერ წაგიყვან, მანქანა სულ დამემტვრევა, —
დანანებით მიმართა მძღოლმა სავლეს.

— კარგი არაუშავს აწი ფეხით წაგალ, — მხიარულად
მიმართა სავლემ მძღოლს, ფული გადაუხადა და გზას
ფეხით გაუდგა. ფერდობზე ბილიკი შეამჩნია, იქითკენ
გაეშურა. ბილიკს აუყვა, ფერდობზე ავიდა, ზემოდან
გადმოხედა მდინარეს. მდინარის ხეობაში, დაახლოებით
შვიდას მეტრში თვალი მოკრა ადამიანებს, რომლებსაც
მანქანის საბარგულზე, სუფრა გაეშალად, სამნი იყვნენ,



რატომდაც მათ დანახვაზე შეცბა, გონების თვალით მიუახლოედა და სამივე იცნო, მართალია თვალის მზერა მათ სახეებს კარგად ვერ წვდებოდა, მაგრამ გონების თვალი კი – პო ისინი იყვნენ. ფერდობზე თავქვე დაეშვა, მიუახლოედა, კეთილად მიესალმა:

- დმერთი იყოს თქვენი მფარველი.
- ამინ! – ერთდროულად უპასუხეს ოსებმა.

სავლე მათ სახეებს კარგად დააკვირდა, დარწმუნდა: „პო ესენი არიან და, ისევ ერთად არიან”.

ოსებმა არყის დალევა შესთავაზეს. სავლემ უკან არ დაიხია და მათთან ერთად რამოდენიმე ჭიქა დაცალა, აღლეგრძელა იბერია, სიკეთე და იბერიისათვის ომში დაღუპულები, მერე ვინაობა გამოკითხა, და მათი გულახდილობის მოპოვების მიზნით, თავი ოსად გააცნო, იმათაც თავიანთად მიიღეს და გული გადაუშალეს, მხოლოდ ის არ მოუწონეს, რომ იბერიისათვის დაღუპული მებრძოლების მოსაგონებელი სადლეგრძელო დალია, და დასძინეს: „მაგრამ, რახან ოსი ხარ გაპატიებთო”. მერე, მოუყვეს თავიანთი „საგმირო“ საქმეები, თუ როგორ ხოცავდნენ იბერიელებს, და დღესაც როგორ გადასცემენ ინფორმაციას, კოკოი-ყლითას - პატრიოტი იბერიელების შესახებ, იქნება-და მომავალში გამოადგეს... და ერთი ბოლოდროინდელი ამბავიც გაიხსენეს, ეს ამბავი სავლეს შეიღს და რძალს ეხებოდა, მომხდარს გატაცებით და თან შიშით ყვებოდნენ - მამა ჰყოლია ძალიან უშიშარი...

სავლემ ისარგებლა მათი უყურადღებობით და ფარულად დაიწყო მათი შეფასება - ზომავდა თვალით – მოერეოდა სამივეს თუ არა... ჯიბეში დანა მოისინჯა, გაიფიქრა: „რა კარგია ჯიბეში, რომ აღმომაჩნდა”. მერე



მანქანაში შეიხედა, უკანა სავარძლის საზურგებოან თვალი მოკრა აეტომატის კონდახს; დაღლილობა მოიმიზება და ითხოვა: – მანქანაში ჩავჯდებიო, და სანამ მათგან თანხმობას მიიღებდა, კარი გამოაღო, სწრაფი მოძრაობით აეტომატი გადმოიღო, ჰაერში გაისროლა და გაოგნებულ ოსებს დაუმიზნა, ოსები სავლეს მიაშტერდნენ, მომხდარი არ სჯეროდად. სავლემ მშვიდათ მიმართა:

– იმ დახოცილების მამა ვარ, თქვენ, რომ ასე გატაცებით იგონებდით მათი სიკვდილის ამბავს, ახლა თქვენი წამებით უნდა ვიჯერო გული.

სავლეს სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ სამივე მუხლებზე დაეცა და ლუდლული მორთეს:

- არ დაგვხოცო,
- შეგვიბრალე,
- ბავშვები გვყავს,

სავლემ ზიზღით შეხედა სამივეს. ამ მზერამ კიდევ უფრო დააფრთხო ოსები და მიწაზე ლოდვა დაიწყეს. ერთ-ერთი ფეხებთან მიუღოლდა და ფეხების კოცნა დაუწყო. სავლემ უკან დაიხია მიუხვდა განზრახვას და მრისხანე ხმით დაჟყვირა:

- ფეხსაცმელის თასმები ერთმანეთზე გადაიბით.
 - ოსები უსიტყვოდ დაემორჩილნენ.
 - ახლა აი იმ ხრამის პირთან მიდით!
- ოსები სკუპსკუპით მიუახლოვდნენ ხრამს და გაირინდნენ.

სავლე მანქანას მიუახლოვდა და რაღაცის ძებნას შეუდგა, საბარგულში ტილო იპოვა, სიგრძეზე სამ ნაწილად გახია, თოკის მსგავსად დაგრიხა და ერთ-ერთ ოსს უბრძანა:



— ეი შენ, ხელები შეუკარი მათ!
 ბრტყელსახიანმა მორჩილად შეასრულა ბრძანება.
 მერე სავლემ მასაც შეუკრა ხელები.

— მოვიდა თქვენი განკითხვის დღე, ძალლის შვილებო! — სავლემ ავტომატი დაუმიზნა, მაგრამ, უეცრად საზიზღარი გაახსენდა. გულში უზომო ტკივილი იგრძნო, თვალებზე ცრემლი მოადგა, ზეცას ახედა და მძიმედ წარმოოქვა:

— ო, დმერთო ჩემო შემინდე... — და ასე ზეცას აბყრობილი გაქვავდა. ცოტახნის შემდეგ, ავტომატი ძირს დაუშვა და ტკივიბის ჯერი მიწას დაახალა, ტკივიბისაგან დაცლილი ავტომატი ოსებს, ფეხებთან მიუგდო, შემობრუნდა და მტკიცე ნაბიჯით გზატკეცილისაკენ გაემართა.

სავლეს, სულ რაღაც სამოცდაათი მეტრი თუ პქონდა გავლილი, როცა ოსების ხმა შემოესმა:

— გვიშველეეთ!!!
 უკან მოიხედა, ხრამს მიწა მოწყვეტოდა და სამივე ოსი ძირს ჩაეტანა. სავლე, საშველად გაიქცა, მაგრამ, უპირვე გვიანი იყო - არაგვს გაეტაცა ოსები. სავლე, მიხვდა რომ ვეღარ უშველიდა, თანაც ენიშნა: ეს უპირვერთის სურვილი იყო.

სახლისკენ მიმავალი სავლე, აჟინებით თან ხმამაღლა, თავის ლექს გამუდმებით იმეორებდა და იმეორებდა:

ტიროდა ქარი დაბურულ ტყეში,
 მისი ქვითინი ზეცას წვდებოდა,
 ღამემ ჩაულაპა ცივი ზამთარი
 და ალუბლების ხეებს ათოვდა.



სიბნელემ შთანთქა მთვარის სხივები,
სადღაც, მინდორში მგელი ყმუღდა,
ისმოდა ძაღლის მწარე წკმუტუნი
და განუწყვეტლივ იფიფქებოდა.
იდგა ზამთარი მიუსაფარი,
ყველას სციოდა,
ყველა ჩიოდა,
ფანჯრებს მოადგნენ ანგელოზები,
სოფელს ათბობდა მათი გალობა.
„ოცდახუთსა დეკემბერსა
ქრისტე იშვა ბეთლემსაო...“
უეცრად დატბა...
და, სიყვარული ყველას ათბობდა!
დრო მიდიოდა,
დრო მიდიოდა,
და მიდიოდა,
თავჩაქინდრული,
ციგი ზამთარი...

სამაშრუტო თაქსის მგზავრებს, სავლე ჭავიდან შეშ-
ლილი ეგონათ და როცა ჩავიდა, ყველამ თანაგრძნობის
მზერა გააყოლა.
სავლე, სახლში შევიდა თუ არა, თავის დას დაურეკა:
— ხეალ მეც ჩამოვდიგარ, ბავშვების წაყვანა მინდა
ზღვაზე.
— ძალიან კარგი, — დაეთანხმა მაია და, გულით
იგრძნო, რომ მოსახლენი მოხდა, შვებით ამოისუნთქა,
ფანჯარას მიუახლოვდა და შხარას გახედა — შხარა
ასეთი ამაყი არასოდეს ენახა.



ზღვა მშვიდად დელავდა, უფრო სწორედ ლივლივებდა. ხანდახან მისი ტალღები ჩუმად მიეპარებოდნენ ნაპირზე მსხდომ ბაბუას და შვილიშვილებს, ფეხებს დაუკოცნიდა და მხიარული შხარა-შხურით უკან დაიხევდა, ამას ხშირად იმეორებდა თან არ ბეზრდებოდა ამ დალოცვილს, ან რატომ უნდა მობეზრებოდა როცა მის ნაპირზე მისი შვილები ისხდნენ, ერთი მთლად გაჭაღარავებული, ორი კი ჯერ ბავშვები იყვნენ. ზღვის ნაპირზე მსხდომთ კი, ბალიან მოწონდათ ზღვის ტალღების ალერსი და თვითონაც ალერსით პასუხობდნენ მათ ფეხებთან მოლივლივე წყალს; და, ერთად ისხდნენ სიჭარმაგე და მომავალი და უერც იგრძნეს თუ როგორ ჩასახლდა მათ სხეულში წარსული და იმედი, ზუსტად ისე როგორც ეს მოხდა ათი წლის წინათ. ჰო, კიდევ მათ, უკდავებაც დაემატათ.

- ბაბუ, წელიწადის რომელი თვე გიყვარს?
 - შემოდგომა, — ბაბუას ნაცვლად უპასუხა ანდრიამ.
 - რატომ? — ისევ იკითხა დაჩიმ.
- სავლეს გაედიმა და თანხმობის ნაცვლად ლექსი თქვა:

ზღვამ ქვიშა ნაპირზე გამორიყა,
 იქვე, კლდის ძირში მიყარა,
 დარდიმანდულად ტალღები აიქოჩრა
 და კლდეს უტიფრად მიმართა:

„შენი არსებობა უაზროა,
 მე კი ვარ ცხოვრების ფაბულა,
 პირველად დმერთმა მე შემქმნა,
 ის არის ჩემი პატრონი“.

კლდეს, ზღვის ნათქვამზე გაეცინა,



სულის სიბობოქრეს მიუხვდა,
 „წყალი მომატებია“ - თავისთვის გაიფიქრა, -
 „ესე იგი სადღაც გაწვიმდა“.
 ზღვის საქციელზე, მზესაც გაეცინა
 მერე, მორიდებით მიმართა:
 - „ძმობილო, რა დროს ქიშპობაა, მოუკვდეს
 გამჩენი,
 შემოდგომა მობრძანდება ჭარმაგი ბატონი,
 შეხედე! ჩამწიფებულა მსხალი,
 კანში ვეღარ ეტევა წვნიანი ვაშლი,
 ქალის მკერდივით აღზნებულია ლეღვი,
 ბროწეული გამსკდარა - გადმოსდის წვენი,
 ყურძენიც დაიწურა, ჩუხჩუხებს მაჭარი,
 შენ კიდევ რა გჭირს, რატომ ხარ ამტყდარი?
 შეხედე რა ფერებია, ხარობს ბუნება!
 ვინ არის შენ გარდა ბუნებანაქცევი?
 ზღვა დაწყნარდა, უკან დაიხია,
 კლდეს, ზღვის საქციელზე, გულიანად გაეცინა,
 „წყალი შემოაკლდა“ - თავისთვის გაიფიქრა, -
 „ესე იგი აღარ წვიმს - დარია“.
 ბუნება ხალისობს,
 ბუბუნებს თავისთვის:
 „მზე მართალია - რა დროს ქიშპობაა,
 მოუკვდეს გამჩენი,
 ახლა მთავარია, მოსავალს -
 გაუჩნდეს პატრონი“.
 - მაგრამ, მე გაზაფხულიც მიყვარს. აი, ამასაც
 ჩაწვდით:



დახეთქვაზეა ნუშის კვირტები...
 მაცდურ ქალივით იყურებიან,
 ისე გიმზერენ,
 ისე გიმზერენ,
 თითქოს მოხვევას გეხვეწებიან.
 საცაა დასკდეს ლორთქო ბალახი...
 მიწის სურნელი ჩაჟუბებიათ,
 ინაბებიან,
 ჩუმათ გიხმობენ,
 ხვევნა-ალერსი მონატრებიათ.
 ატეხილია არყის ხეები,
 ზამთრის სივერცესლე გამოჰყოლიათ,
 მათი ნათება,
 და ახირება,
 უცხო ქალივით მიმზიდველია.
 მინდვრებს მოედო თეთრი პეპლები,
 გამართეს ცემა თავბრუდამხევე
 ნაზი ფარფატით,
 სათხო ლიმილით,
 ახლოს გიხმობენ ამორძალები.
 მინდორში ატყდა ყვავილთა ტევრი,
 ციდან დაეშვა ლურჯი არილი,
 გაშიშვლებულა ტბასთან ტირიფი
 ისეთი ნაზი
 და იდუმალი,
 დაგემართებათ - ელეომელეთი.

ბავშვები კიდევ უფრო გამხიარულდნენ, ცელქობის
 ხასიათზე დადგნენ, წამოხტნენ და სავლეს შემოეხვივ-
 ნენ, მისი წაქცევა მოინდომეს, მაგრამ, გაუჭირდა




მომავალს წარსულის დამარცხება. რამეთუ, წარსულის ფესვებიდან იღებდნენ საზრდოს.

ბავშვების მხიარულება ზღვასაც გადაედო და ოთხივეს მხიარულება - მზეს. ყველა და ყველაფერი ხალისობდა. ამ საერთო მხიარულებამ აიეტის მიძინებული სული გამოაფხიზლა და ისიც შეუერთდა საერთო ზემოს. მხოლოდ ბნელ ორმოში ჩაგუბებული მტრის ზრახვები ბუყბუყებდნენ: ბუყ-ლავროვ, ბუყ-პუტინ, ბუყ-ლავროვ, ბუყ-პუტინ. ამასთან, ირგვლივ უსაშეელოდ საშინელ სუნს აფრქვევდნენ: ფუ, ფუ. და, ყველასათვის აუტანელი ხდებოდა, მათი არსებობა.

.....





-182-

ზღაპრის ფილოსოფია - 2
(ჭკვიანებო?! საზიზღარი შეიძლება იყოს ჭკვიანი?)
ვაჟა ქაქაბაძე



ვაჟა ქაკაბაძე
Vazha (Vaja) Kakabadze

ზღაპრის ფილოსოფია - 2

(ჭკვიანებო?! საზიზღარი შეიძლება იყოს ჭკვიანი?)

“Philosophy of a Fairy-Tale - 2
(Clever?! Can bad be clever?)”

მხატრული გაფორმება და ლექსების ავტორი: ვაჟა ქაკაბაძე
ქაღალდის ზომა 60x80, 1/16; პირობითი ნაბეჭდი ქაღალდი 30;
ტირაჟი 500. სტამბაში შესულია 2016 წ.

ლფასი სახელშეკრულებო

დაიბეჭდა: გამომცემლობა „მერიდიანი”, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47.

E-mail: meridiani777@gmail.com

ISBN 978-9941-0-8610-6

-183-

ზღაპრის ფილოსოფია - 2
(ჭკვიანებო?! საზიზღარი შეიძლება იყოს ჭკვიანი?)
ვაჟა ქაკაბაძე

